

„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განმანათლებლის უფლებები

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი

2009 წ. თებერვალი* №19 * ფასი 1 ლარი



საქართველო
მართლმადიდებლური
საგარეო ურთიერთობები



ენა
მშობლივი
საზღვრეუნი

მზიანი მეუფე, ზომილიც საკაშვილის სპექსამსახურებმა მოკლეს

ლელა კომაია

დღემდე არ ცხრება ინტერესი მეუფე ამბროსის (ქათამაძე) მოულოდნელი, უეცარი გარდაცვალების მიმართ. მეუფე, გასული წლის 26 ნოემბერს აბაზანის კართან უსულოდ მომწყდარი იხილა მისმა უფროსმა შვილმა მამა ნოდარმა. მეუფე 67 წლისა იყო. გაიზიარა თუ არა მეუფე ამბროსმა კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის ბედი და ნიშანდობლივია, თუ არა გარდაცვალების თარიღებისა და ადგილების თანხვედნაც, ამის გარკვევას ჩვენ თანმიმდევრულად შევეცდებით. მანამდე კი, ორიოდ სიტყვით, კირიონ II-ის გაურკვეველ ვითარებაში გარდაცვალების ისტორიასაც გავიხსენებთ.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მოღვაწე ეპისკოპოსი კირიონ II, 1918 წლის 26 ივნისს, სახლში ტყვეობით განგმირული იპოვეს. კირიონ II-ის მსგავსად, მეუფე ამბროსიც, მრავალწლიან დევნილობაში რუსეთში იმყოფებოდა. მეუფე ამბროსი საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეკლესიის სინმინდის დასვა-შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ვინაიდან აცნობიერებდა რა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას, ან უკვე სხვაგვარი ფორმით,



უცილობლად მოჰყვებოდა ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვაც. ისევე, როგორც კირიონ II-ის მკვლელობა, მეუფე ამბროსის მკვლელობაც შიდა საეკლესიო დაპირისპირებისა და ანტიეროვნული ძალების ინტერესთა თანხვედრის შედეგად განხორციელდა. განსხვავება მხოლოდ მკვლელობის იარაღშია; დღევანდელმა სპექსამსახურებმა აშკარად დახვეწეს მკვლელობის მეთოდები და არასასურველი პერსონების წინააღმდეგ მათთვის ხელსაყრელ მომენტში უკვე ეფექტურად იყენებენ გაზით (CO) მონამვლის, ანუ უსისხლო მკვლელობის მეთოდებს. გულითადი ქადაგ-მლოცველი მეუფე ამბროსისათვის განუყოფლად სისხლბორცეული იყო, როგორც საეკლესიო, ასევე საერო ცხოვრებაც. ამგვარი მაღალსულიერების გამო იგი გულგრილი ვერ დარჩა 1989-92 წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გაჩაღებული ბრძოლების მიმართ და მტკიცედ დადგა ჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სწორუბოვარი ლიდერის, ხოლო შემ-

გავრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი გვ. 1

დგომ დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მხარდამხარ და საკუთარი ორი ვაჟიშვილიც ჩააბა სამშობლოს თავისუფლების დაცვაში. ამ იდეური მრწამსით მეუფე ამბროსი მკვეთრად გაემიჯნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და სინოდის იმ წევრებს, რომლებიც რუსეთის იმპერიის მიერ დაფინანსებულ და ორგანიზებულ სამხედრო-კრიმინალურ ხუნტას თანაუგრძობდნენ საქართველოს ეროვნული პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების დამხობის გადაწყვეტილებაში. ისევე, როგორც კირიონ II (მკითხველს შევახსენებთ, რომ იგი, საქართველოს ეკლესიამ, წმინდანად მხოლოდ 2002 წ. შერაცხა), არც მეუფე ამბროსი ყოფილა მარტო თავის წმინდა ბრძოლებში; თუ კირიონ II ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლაში გვერდით ედგა მიტროპოლიტი ლეონიდე (ოქროპირიძე, შავ-ბნელი ძალები, კვალის არევის მიზნით, კირიონ II-ის მკვლელობას მასაც კი აბრალებდნენ), ასევე მეუფე ამბროსის მხარდამხარ იბრძოდა მეუფე ქრისტეფორეც (წამალაიძე), რომელიც საპატრიარქომ, აგრეთვე განკვეთა და დღემდე ამაოდ ითხოვს თავის უფლებებში აღდგენას.

მთავრებისკოპოსი ამბროსის მკვლელობის გარემოებებისა და მიზეზების უკეთ გარკვევაში ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ მის უფროს ვაჟიშვილს მამა ნოდარს.

– მამა ნოდარ, რა დასკვნა დადო ექსპერტიზამ, რითი გარდაიცვალა მამათქვენი, მეუფე ამბროსი?

– ქალბატონო ლეილა, მამაჩემის უეცარ გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩვენ შეილებსა და ოჯახის სხვა წევრებს მაშინვე გაგვიჩნდა ეჭვი მისი ბუნებრივი აღსრულების მიმართ, ვინაიდან მამა სრულიად ჯანმრთელი, ენერგიული, სულიერად და ფიზიკურად ძლიერი კაცი იყო, მას წნევაც კი არასოდეს აწუხებდა და არასოდეს მიუღია რაიმე წამალიც. ყოველივეს გათვალისწინებით, განსაკუთრებით დაავადებულად იქსპერტიზით. ექსპერტის დასკვნით მამაჩემის ორგანიზმში აღმოჩნდა დიდი რაოდენობით - 68% გაზი (CO), რამაც გამოიწვია მისი სიკვდილი.

– თქვენ აზრით, საიდან უნდა აღმოჩენილიყო მის ორგანიზმში გაზი, ჰქონდა მას გაზის გამათბობელი?

– მამას არანაირი გაზის გამათბობელი არ ჰქონდა და იგი საერთოდ არ იყო მცვიანა, ძლიერი სიცივეების დროს მხოლოდ ელექტრო-სათბურს იყენებდა ლოგინში და ისიც მცირედი ხნით. ჰქონდა, მხოლოდ, გაზის წყლის გამარცხებელი, რომელსაც გასარეცხად იყენებდა.

– იქნებ, სწორედ ამ დანიშნულებით ჩართვისას დაგროვდა გაზი ოთახში?

– მამა მე 27 რიცხვში ვნახე გარდაცვლილი და ექსპერტის დასკვნით იგი 26-ში გარდაცვლილა. მე, როცა მამის საცხოვრისში შევედი იქ ჩართული არ დამხვედრია, არც გაზის ე. წ. პლიტა და არც წყლის გამაცხელებელი. აბაზანში, ეტყობა ცუდად გახდომის გამო უნდოდა შესვლა, მაგრამ უკვე სიკვდილი დაუდგა. იგი, ყოველ დღე, აბაზანში დაგროვილი ცივი წყლით ბანაობდა, ზამთარ-ზაფხულ და იქაც „ვინტილატორი“ ჰქონდა ჩართული.

– დაინტერესდა, თუ არა პროკურატურა მომხდარი ფაქტით?

– როგორ არა, დაინტერესდა და საქმეც აღიძრა 108 მუხლით, ანუ განზრახმკვლელობის მუხლით. მამას ჰაერის გათბობა არ უყვარდა, ელექტრო ქურასაც კი არ მართვევინებდა-ხოლმე, „ა, ბიჭო, ისუნთქე სუფთა ჰაერიო“, მამუნათებდა. სამზარეულოს დიდი სარკმელი ზამთარშიც კი, მუდამ ღია ჰქონდა. იგი მთელი ცხოვრება ვარჯიშობდა, ექსპერტებმა თქვეს, ბავშვის ორგანოები ჰქონდაო, ხოლო გარეთა კანი 30 წლის ბიჭისო. იმდენად ჯანსაღი და წმინდა ცხოვრებით ცხოვრობდა, ერთთავად ლარივით გაჭიმული დადიოდა. მე, თვითონ სახალხოდ მლანძღავდა „ლიპი და ჯიპი არ უნდა ჰქონდეს მღვდელსო“.

– მამა ნოდარ, თქვენ ცალ-ცალკე ცხოვრობდით?

– დიახ, მე ჩემი ოთხი შვილით და მეუღლით ცალკე ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ, მამა ცალკე ნაქირავებში ცხოვრობდა. ხშირად ვთხოვდი, ერთად გვეცხოვრა, მაგრამ იგი მეუბნებოდა, ერთად ცხოვრების უამს მეტი დრო ბავშვების მოფერებაში უნდა გავატარო და ლოცვას დავაკლებო. იგი ბერული ცხოვრებით ცხოვრობდა და როცა შინ იყო სულ ლოცვაში ატარებდა. ლოცვის დროს ტელეფონზე არ მპასუხობდა და მეც მიჩვეული ვიყავი. ამიტომაც გამომეპარა ის ერთი დღე, ტელეფონზე, რომ არ მპასუხობდა, ვიფიქრე ლოცვებშია-მეთქი, თურმე თავს უბედურება დამტყდომია.

– მამა ნოდარ, მეუფე ამბროსს ჩემთანაც და სხვასთანაც არაერთხელ უთქვამს, მომკლავენო და ამავსე შიშობდა თქვენზეც, თქვენთვის მსგავსი არაფერი აქვს ნათქვამი?

– დიახ, ბოლო სამი თვის განმავლობაში იგი ამას ამბობდა, მამა, მებრძოლი ღვთისმსახური იყო და ამის გამო გარკვეულ ძალებში არსებობდა მისი თავიდან მოცილების სურვილი, მოგესხენებოდა, მე მამას მძლოლიც ვიყავი და ორჯერ საიდუმლო ვითარებაში ნახევრად გადახერხეს ჩემი მანქანის საჭის ლერძი, რამდენჯერმე ავარია მოგვიწყვეს, რამდენჯერმე გვესროლეს.

– გესროლეს კიდეც?

– დიახ, სხიერობას 1990 წელს ონის რაიონში მამას ესროლეს მაშინდელმა კგბ-ს თანამშრომლებმა (ეროვნული ხელისუფლება ჯერ არ იყო

მოსული) და მე ავეფარე, ტყვია ხელში მომხვდა... მამას შეურაცხყოფდნენ, აკნინებდნენ, ფიზიკურადაც ეხებოდნენ. „მხედრიონელებმა“ გაიტაცეს ჩემი ძმა სულხანი. მოგესხენებოდა მამაჩემი, – მეუფე ამბროსი, მე და ჩემი ძმა, სამხედრო გადატრიალების დროს უზენაეს საბჭოს შენობაში შევედით და დავდექით კანონიერი ეროვნული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გვერდით. მამამ დროებით ამყარა ხარისხი (დეკანოზობა), შემიჩერა მღვდელმოქმედება და განმიცხადა, რომ იარაღით ხელში დამეცვა ჩემი ქვეყნის ეროვნული პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლო. მე ბედნიერი ვარ, რომ ეს არანაკლებ ამაღლებული დღეები გავიარე და არასოდეს ვინანებ ამას.

– სამხედრო გადატრიალების შემდგომ თქვენ სად წახვედით?

– ჩვენ სამივენი წახვედით ტყიბულში და იქ სამლოცველოს შევაფარეთ თავი, მაგრამ იქაც მოვიდნენ „მხედრიონელები“, დაცხრილეს ხატები და ჩვენ იარაღის ლულის ქვეშ დაგვაყენეს, სასტიკად გვეცემეს, სადღაც გაიტაცეს ჩემი ძმა. როგორც იქნა დავიხსენით იგი და გადავწყვიტეთ სამივეს, როგორმე დაგვეტოვებინა საქართველო. გადაცმულელებმა ბათუმიდან მოვახერხეთ სოჩაში ჩასვლა ნათესავეებთან, სადაც დავყავით ერთი წელი. ერთი წლის შემდგომ გავემგზავრეთ მოსკოვში ბიძაშვილთან, სადაც 2003 წლამდე ვიმყოფებოდით და საქართველოში ჩამოვედით მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქაშუეთის ეკლესიაში, სახელმწიფო მინისტრ გურამ აფსანძესა და პრეზიდენტ სააკაშვილის ხელმოწერით გაფორმდა ე. წ. შერიგების აქტი. ჩვენ, არც რუსეთში ვიყავით უსაფრთხოდ. თავდასხმა მამაზე მოსკოვშიც განხორციელდა, მას თავს დაესხნენ „მხედრიონელები“ და მამა პერაგოვოს საავადმყოფოში ინვაკარგა ხანს.

– მამა ნოდარ, მეუფე ამბროსი განკვეთილი იყო საპატრიარქოდან?

– დიახ, საპატრიარქომ 1996 წელს მეუფე ამბროსი განკვეთა „ეპარქიის თვითნებურად მიტოვების გამო“, (სხვათაშორის ამ მოტივით განკვეთეს მეუფე ქრისტეფორეც - წამალაიძე). სინამდვილეში კი პრეზიდენტ გამსახურდიას დაცვის, – ხოლო შემდგომ გროზნოში ანგანსვენებული პრეზიდენტისათვის წესის აგების გამო. მამაჩემი იყო ჯერ ეპისკოპოსი, შემდგომ მთავარეპისკოპოსი, რომელიც განკვეთის გამო იძულებული გახდა დაკავშირებოდა საზღვარგარეთის ეკლესიას, რუსეთის იმ ეკლესიის დაჯგუფებას, ფრთას, რომელიც არ შეეკრა კომუნისტურ კგბ-ს, გამოეყო სერგიანელებს და წავიდნენ საზღვარგარეთ. დღეს უკვე შერიგებულები არიან რუსეთში ოფიციალურად მოქმედი და საზღვარგარეთის რუსული კატაკომბური ეკლესიები. მამა მოსკოვში მიიღეს ამ ეკლესიის ერთ-ერთ შტოში და აღიარეს პირველ იერარქად და მიტროპოლიტის ხარისხიც უბოძეს. იმის გამო; რომ მამა ეკლესიის გარეთა არ ყოფილიყო, იძულებული იყო დროებით ასე გაეგრძელებინა ღვთისმსახურება.

– ეს იყო რუსული მართლმადიდებლური ეკლესია?

– დიახ, ჭეშმარიტად მართლმადიდებლური კატაკომბური ეკლესია, რომელიც არ თანამშრომლობს ხელისუფლებასა და კგბ-სთან, არამედ ეწევა წმინდა მღვდელმსახურებას. იქ არ არის პატრიარქის ნოდება, არამედ მაღალ იერარქიულ პირს ჰქვია „ადგილის მოსაყდრე“.

– ვფიქრობთ, მკითხველისთვის ინტერსმოკლებული არ უნდა იყოს მეუფის პირადი ცხოვრება, როგორ ცხოვრობდა იგი?

– მეუფე წმინდა ბერული ცხოვრებით ცხოვრობდა. ამის გამო იგი ხორციელად განერიდა ოჯახს და შვილებიც გაიყავით. სულხანი დედასთან დარჩა და მამასთანაც ხშირად ჩამოდიოდა, მე მამასთან დავრჩი და დედასთანაც ჩავდიოდი. ერთად ყოფნის დროს მამა შვილებს გვივლიდა, გვირეცხავდა, გვიუთოვებდა, შეჭამადს გვიკეთებდა და გვიკერავდა კიდეც. მამას ყველაფერი ეს ზედმინევენით კარგად და ხარისხიანად გამოსდიოდა.

– და თვითონაც ერთთავად საგულდაგულოდ მოვლილი დადიოდა და ჩვენ გვეგონა, მას ვინმე დამხმარე ქალი ჰყავდა.

– არა, ყველაფერს საკუთარი ხელებით აკეთებდა და დარჩენილ დროს გულმხურვალე ლოცვაში ატარებდა. მამამ, 1978 წელს გახსნა ნიკორწმინდის საკათედრო ტაძარი და განკვეთამდე იყო სინოდის წევრი. მამა დაბადებულია 1941 წელს.

– მამა ნოდარ, თქვენ ამჟამად სად მსახურობთ?

– უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ვმსახურობ სამების საკათედრო ტაძარში, მამაც სამების ტაძრის მორჩილი იყო.

– ჩვენ მეუფისაგან ვიცით, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას თანადგომის გამო პატრიარქი მეუფისაგან მონანიებას მოითხოვდა და მხოლოდ ამის შემდგომ აღუთქვამდა უფლებებში აღდგენას.

– არც მამა მოინანიებდა და არც მე არასოდეს მოინანიებ ჩემი ქვეყნის ეროვნული პრეზიდენტისა და თავისუფლების დაცვას, ეს არა მარტო ერის კაცის, არამედ ყოველი ბერისა ღვთისმსახურის მოვალეობაცაა.

გახდა თუ არა მეუფე ამბროსი ეროვნული იდეალებისა და შიდა საეკლესიო დაპირისპირების მსხვერპლი, ამ ვერსიის განსამტკიცებლად გთავაზობთ ბათუმის ეპისკოპოსისა და მეუფე ამბროსის ერთობლივ წერილს პატრიარქისადმი (იხ.გვ.13,14,17)

გურამ შარაძე ამხელს: დავით აქუბარდიას, გიორგი თარგამაძეს, ინგა გრიგოლიასა და სხვას

(გამოუქვეყნებელი ინტერვიუ, ჩაწერილია 2005 წლის დეკემბერში. იბეჭდება შემოკლებით)

გელა ზედელაშვილი, „ალია-ჰოლდინგის“ ჟურნალისტი: რაშია საქმე, ბატონო გურამ, კონკრეტულად რა პრეტენზიები გაქვთ ჩვენი ტელევიზიების მიმართ?

გურამ შარაძე: სიტყვა პრეტენზია არ მინდა ვთქვა, რადგან ძალიან ხმა-მალა ნათქვამი გამოიძვრა. რა უფლება მაქვს მოვთხოვო ჩვენს ტელემედიას, რომ მაინცდამაინც ჩემი პიროვნებით დაინტერესდნენ... მაგრამ სხვაა, როდესაც ვიცი და ვხედავ, რომ ეს ხდება უმაღლესი ხელისუფლების განკარგულებით; „გურამ შარაძე ეკრანზე არ დამანახოთ!“ - ეს პირდაპირ პრეზიდენტის დავალებაა და მისი გულის მოსაგებად ჩვენი ტელემედიის ხელმძღვანელები თავს იკლავენ და ასრულებენ ამ დავალებას. ეს გამიმჟღავნა ე. წ. ოპოზიციური ტელევიზია „კავკასიის“ ხელმძღვანელმა დავით აქუბარდიამ. ყველაფერი კი ასე დაიწყო: როდესაც დაგროვდა თემები, რომლებზედაც ისეთი ადამიანები ალაპარაკდნენ, ვინც თავის დროზე ამ თემების გამო მე მებრძოდნენ, რამდენჯერმე მივმართე ბატონ დავით აქუბარდიას. მახსოვს, ის ჩემს მეგობრობაზე დებდა თავს და ერთ დროს მეუბნებოდა, რომ „კავკასიას“ თუკი ვინმე უყურებს, ერთ-ერთი რესპოდენტი და სტუმარი თქვენ ბრძანდებითო, გახსოვთ, ალბათ, ჩვენი საყვარელი „იუმორინას“ ცნობილი იუმორიც ამ თემაზე... და აი, ერთ მშვენიერ დღეს ბატონმა აქუბარდიამ ამიკრძალა ტელე-ეთერი. მე და ელიზბარ ჯაველიძემ, როდესაც შევატყვევით, რომ ეს ხდებოდა ჩვენი მისამართით, მივედით და ვკითხეთ, თუ რაში იყო საქმე. - „ბატონო გურამ, ბატონო ელიზბარ, როგორ გეკადრებათ, ამ საღამოსვე მობრძანდით, დავითობით დროს გადაცემა „სპექტრში“. შევთანხმდით. ცოტა ხანში გვირეკავს მეც და ელიზბარსაც - „უი, უი, დამაინყდა, დღეს პარასკევია და ინდური ფილმის დღე გვაქვს, მაყურებელს ვერ დავკარგავ და ამიტომ, ბოდიშს ვიხდით. დაგირეკავთ ორშაბათსო“, გავიდა ორასი ორშაბათი...



ტელეფონით არაფერი გამოვიდა... როცა შევატყვევებ ცრუპენტელოზა, ვიფიქრე - ავდგები, მივალ, თვალბუნი ჩაახედავ ამ კაცს, აბა, თუ გაბედავს მოტყუებას-მეთქი. რომ მივედი ესაუბრებოდა ირინა გოგოსაშვილს... გამიხმო ცალკე ოთახში. მითხრა - „რა ვქნა ბატონო გურამ, ძლივს პურის ფულს ვშოულობ და გინდათ დახურონ ჩემი ტელევიზიაო? პირდაპირ მითხრა სააკაშვილმა, შარაძეს დამანახებ და დაგხუროვო“. ამ ყველაფერს რომ აქუბარდია გაგიბედავს, კაცო!.. ჩემი გამოჩენა შემოსავლებს დაუფრთხობდა, ალბათ, ვინ კადრულობდა „კავკასიაზე“ რეკლამას და ეს-ლა ხომ ხედავთ რა ხდება...

ოპოზიციური ნიშნით აქუბარდია ჯერ კიდევ სუნთქავს. მე მას ბევრი დრო მივეცი, რათა გონს მოსულიყო, მაგრამ უკვე ვეღარ დავფარავ, რადგან პრეზიდენტ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების განკარგულება, რომ გურამ შარაძე არსად გამოჩნდეს, წარმატებით ხორციელდება.

ეხლა გადავიდეთ „მზეზე“. იქ იყო ერთი წამყვანი ჟურნალისტი ირაკლი იმნაიშვილი, რომელიც სადაც კი წამასწრებდა, ასე ვთქვათ, ყველგან „კბილს მკრავდა“. ყურადღებას არ ვაქცევდი, რა ჩემი ტოლია... ერთ დღეს მირეკავს და მეუბნება - „ბატონო გურამ, ძალიან გთხოვთ, უარი არ მითხრათ, ამ საღამოს უნდა მობრძანდეთ ჩემს გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე“. ვიფიქრე, თუ არ აქვს პირი შერცხვენილი ამ კაცს, ასე რატომ მხვნივება გადაცემაში მისვლას, უარს ისედაც რატომ ვეტყვი-თქო... მაინც ვკითხე, ვინ იქნება ჩემთან ერთად-მეთქი. - „არავინ, ბატონო გურამ, ისე მოენატრეთ ხალხს, რომ მარტოს დაგეთმობათ ეთერიო“. მაგრამ, იმნაიშვილი ის ჭაბუკი არ არის, რომელსაც რამე სირცხვილის გრძნობა ჰქონდეს. შუა გადაცემაში აცხადებს: „ეხლა ჩაგვერთება გიგა ბოკერია!...“. იმ საღამოს, იმნაიშვილმა და ბოკერიამ, ორივემ მოინდომეს ჩემთვის კიდევ ერთხელ „კბილის გაკვრა“, მაგრამ იქით გავკარი ორივეს მაგრად, იმნაიშვილსაც და ბოკერიასაც (იცინის)... და თან ისე, რომ როგორც კი გადაცემა დამთავრდა, სტუდიაში მყოფმა ჟურნალისტებმა ტაშით დაანგრეს იქაურები. ჰკითხეთ, თუნდაც, ნინო ჟიჟილაშვილს... იმნაიშვილს კი კარგადაც გადაუხადა ბოკერიამ - გააპანდურა და გადაცემაც დაუხურა.

ეხლა მივუახლოვდეთ „იმედს“. დავინწყით გიორგი თარგამაძით. მე ვიცი რომ თქვენ ჩემს ამ სიტყვებს აქუბარდიასთანაც გადაამონებთ, თარგამაძესთანაც და გრიგოლიასთანაც, რომელზეც მერე მოგახსენებთ. თქვენ ხომ არ გგონიათ, რომ შემდეგ ამას უკომენტაროდ დავტოვებ? ახლავე გთხოვთ, მათი კომენტარი მერე უნდა „გავაკომენტარო“, თუ იმავე ნო-

მერში არა, მომდევნოში მაინც.

თარგამაძეზე არის ნათქვამი: „ვისაც ჩავაცვი, იმან გამხადა“. სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა, რომ გავიცანი. 1993 წელს კოლხური კომპის დანვაზე რამდენიმე რეპორტაჟი გავაკეთებინე „იბერვიზიისთვის“... მოგეხსენებათ, 1994 წელს სამუშაოდ გადადი ასლან აბაშიძესთან. მასთან ვაქე და ვადიდე. ასლან აბაშიძე მაშინ ჭკუაზე იყო, ჯერ კიდევ არ ჰყავდათ გადაყვანილი ჭკუიდან მის მეგობრებს, მათ შორის გიორგი თარგამაძეს...

18 წლის თარგამაძე გახდა მინისტრი. მერე გალსტუკიანი გიორგი თარგამაძე გადაჯინდა და დაიწყო ცუნცულ-ცუნცული. მომდიოდა ხმები მის ავკაცობაზე და ამბების მიტან-მოტანაზე. ასლან აბაშიძემ რომ პარკი გააშენა, იმის მშენებლობის ერთ-ერთი დათვალეირებაა და მოვკიდე ხელი თარგამაძეს, მივიყვანე ასლან აბაშიძესთან და ვუთხარი: „აბა, ეხლა თქვი, რას ელაპარაკები მას ჩემზე ყურში, ჩემს ზურგს უკან!“. ნახდა, გაშავდა... „მეტი აღარ დაგინახო ჩემზე ილაპარაკო, არც ჩემს ზურგს უკან და არც ისე-მეთქი“...

თბილისში, რომ იყო „ალორძინების“ საარჩევნო შტაბის უფროსი, მაშინ მიხვდა აბაშიძე, რაშიც იყო საქმე. თარგამაძემ დაასწრო და სანამ გამოადგებდნენ, თვითონ დატოვა პარლამენტი და „ალორძინება“. აი, კაცი! კაცად აქცია, ჯერ გურამ შარაძემ, მერე აბაშიძემ, ორივეს უღალატა, ორივე გადააგდო... აბაშიძის „ალორძინების“ ქერის ორმოდან მოხვდა ბადრი პატარკაციშვილის კიდევ უფრო დიდ ქერის ორმოში - გახდა „იმედის“ საინფორმაციო სამსახურის უფროსი და დღეს წარმატებით ასრულებს ხელისუფლების დავალებას, რომ გურამ შარაძე არ გამოჩნდეს ეკრანზე... ალბათ, პატარკაციშვილს რომ დაიჭერენ, ან აქ, ან რუსეთში, იგივეს იზამს...

(შარაძის წინასწარმეტყველება პატარკაციშვილზე 9 თვეში ფატალურად ახდა; სააკაშვილის რეჟიმის მიერ, პატარკაციშვილის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაში ლალატი, ორგულობითა და ვერაგობით ჩაერთო თარგამაძეც და ახალგაზრდა პატარკაციშვილს გული გაუსკდა; იგი 2008 წ. 12 თებერვალს

გარდაიცვალა - ლ.ც.).

„ვარდების“ რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, მირეკავს ბადრი პატარკაციშვილი და მეკითხება, რა დაგიშავე, რატომ მლანძღავო? სად-მეთქი და აგერ თარგამაძე გამოვიდა და თქვა, გურამ შარაძემ ბადრი პატარკაციშვილი გალანძღა ერთ-ერთ მიტინგზე. მე ვუთხარი - ეხლავე მივალ თარგააძესთან, - და მივვარდი „იმედში“. ვეუბნები, მისი მეუღლეც იქ იყო, - ამოიღეთ ჩანანერი, სადაც მე ამას ვამბობ-მეთქი. - გვაპატიე, ბატონო გურამ, ახლავე გამოვასწორებთო. მაშინ იყო, რომ „ლამის ქრონიკაში“ მიმინვიეს, მეფერენ, მაგრამ მე მაინც ვთქვი ჩემი სათქმელი. რა მქონდა მე გიორგი თარგამაძესთან გასაყოფი ან საბრძოლო?! ასლან აბაშიძეს ხომ გადაამკიდა და ახლა პატარკაციშვილის გადაკიდება მოინდომა.

გეხსომებათ, თუ როგორ ჩააკითხა ამასწინათ ჰოლანდიაში ექსკლუზიური უფლებით ოჯახური იდილიის გასაშუქებლად პირადად თარგამაძემ სააკაშვილს... ხვალ თუ ზეგ, „დროებაში“ უნდა იყოს მისი თავის მომჭრელი მლიქვნელობის დოკუმენტი - დაბადების დღე პრეზიდენტ სააკაშვილის.

დღეს, ეროვნულ მოღვაწეებად ითვლებიან ისინი, ვინც ილია ჭავჭავაძეს აძაგებდნენ, წაგვარტყეს მამის სახელი, ამოგვიშალეს ეროვნება... ავდექი და დავურეკე ინგა გრიგოლიას. ვუთხარი - „ინგა, რა ხდება, რად გინდათ ასეთი სპეკულაცია, ვის ალაპარაკებთ საქართველოზე, საქართველოს მტრებს, საქართველოს მოძულეებს...“, - „რა ვქნა ბატონო გურამ, ხელისუფლება უარს აცხადებს თქვენთან პირდაპირ ეთერში დაჯდომაზეო“. რა ჩამოყვია ამისთანა ინგა გრიგოლიას სამტრედიიდან, რომ მთელი საქართველო ყურით ყავს დაბმული - პრეზიდენტი, პრემიერი, მთავრობა... ზოგი „პირველებში“, ზოგიც „რეაქციაში“. მე ვეკითხები ინგა გრიგოლიას - ესე იგი, ოპოზიციონერ კობა დავითაშვილს და ლევან ბერძენიშვილს პრეზიდენტი გისვამს სტუდიაში? აკი, დამოუკიდებელი ჟურნალისტი ხარ?..

ალარაფერს ვამბობ, „რუსთავი-2“-ზე და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ფილიალად ქცეულ „პირველ არხზე“, რომლის დირექტორად გია ნოდიაშვილი თავისუფლების ინსტიტუტელი თამარ კინწურაშვილი დანიშნა.

გელა ზედელაშვილი: ლოგიკურად, თქვენ უნდა გიხაროდეთ, რომ ისეთ საშიშ და ძლიერ მოწინააღმდეგედ გთვლიან, რომ ეშინიათ თქვენი ეკრანზე გამოჩენის. ეს ასეა?

გავრძელება მე-4 გვ.

გურამ შარაძე ამხელს: დავით აქუბარდიას, გიორგი თარგამაძეს, ინგა გრიგოლიასა და სხვას (გამოუქვეყნებელი ინტერვიუ, ჩაწერილია 2005 წლის დეკემბერში. იბეჭდება შემოკლებით)

დასაწყისი გვ. 3

გურამ შარაძე: რომ დაგეთანხმობთ, ჩემი მხრიდან ნარცისობა გამოვა. მე რაც ვთქვი, სიმართლე ვთქვი. ჩემი რვატომეულის - „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიის“ პრეზენტაციაზე ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელიც ამასწინათ გაიმართა, თქვენ საკუთარი თვალთა ნახეთ, რომ, იქ, არც ერთი ტელევიზია, - არც სახელმწიფო, არც ე. წ. დამოუკიდებელი და ოპოზიციური, არ მოვიდა. ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ ღრმად დამარწმუნა, რომ ეს იყო მართლა ეროვნული დღე, რომ ჩვენ ჭეშმარიტად ეროვნულ, ქართულ, საქართველოსთვის დანერგულ ნიგნებს განვიხილავთ.

მე მინდა მთელმა საქართველომ იცოდეს, რომ გურამ შარაძეს, არც ხელისუფლება და არც ხელისუფლების ყურმობრილი ტელევიზია ეკრანზე არ აჩენს იმისთვის, რომ სიმართლე ვუთხრა ქართველ ხალხს და მთელს მსოფლიოს.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე და აქტიური პოლიტიკოსი გურამ შარაძე, თავში სამი ტყვიის გასროლით, 2007 წლის 29 მაისს მოკლეს დღისით მედიკოსების ქუჩაზე. რამდენიმე წუთში ვაკეში ე. წ. მრგვალ ბალთან დაიჭირეს „მკვლელები“, გურამ შარაძის ნაცნობი გიორგი ბარათელი, რომელსაც 27 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. პატიმარმა ბარათელმა სასამართლოზე ერთობ ყურადსაღები განცხადება გააკეთა: მე შარაძე მოვკალი, არა მედიკოსებზე, არამედ რუსთაველზეო. ამ სარკაზმული ქარაგმით ბარათელმა საზოგადოებას მიანიშნა, რომ იგი არ არის ნამდვილი მკვლელები, არამედ გარემოების მსხვერპლია.

იმის გამო, რომ გურამ შარაძე სააკაშვილის ანტიდემოკრატიული რეჟიმის მიერ უკანასკნელ წლებში მოქცეული იყო საინფორმაციო ბლოკადაში ფართო საზოგადოებისათვის უცნობი დარჩა მისი სამზადისი დიდი პოლიტიკოსათვის - შემდგარი იყო საინიციატივო ჯგუფი საპრეზიდენტო არჩევნებში შარაძის კანდიდატურის წამოსაყენებლად, რაც გაუგებარი არ დარჩებოდა სააკაშვილს.

რაც შეეხება ე. წ. ოპოზიციური ტელეკომპანია „კავკასიის“ ხელმძღვანელის დავით აქუბარდიასა და სხვა ტელეკომპანიების წამყვანების დამოკიდებულებას გურამ შარაძესთან, ესეც სრული სიმართლეა და ნაცნობი რეალობაა, რაც პირადი მაგალითით შემიძლია დავადასტურო. როდესაც

ზვიად განმათავისუფლებლის პარტიელები აქტიურ საპროტესტო გამოსვლებს ვანყობდით შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივ-ანტიეროვნული რეჟიმის წინააღმდეგ, ტელეკომპანია „კავკასია“ ბოლო წლებში მორჩილად ასრულებდა ხელისუფლების განკარგულებას, აღარ გაეშუქებინათ ჩვენი საპროტესტო გამოსვლები და თვით პრესკონფერენციებიც კი, როგორც მიუმხრობელი და შეურიგებელი ოპოზიციისა. ამ მეთოდით, დროთა განმავლობაში ჩვენ მოგვაქციეს სრულ საინფორმაციო ბლოკადაში, რაც დღემდე გრძელდება. ტელეკომპანია „კავკასიას“ სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან დღეს მინიჭებული აქვს ექსკლუზიური უფლება „ოპოზიციური“ ელექტრონული მედიისა, მაშინ როცა პროფესიული ტელევიზიების („რუსთავი-2“, „მე-9 არხი“, „იბერია“) პირობებში ღირსეული ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, არც კი კადრულობდნენ ტელეკომპანია „კავკასიით“ გამოსვლას, რომლის წამყვანებმა დღემდე ვერ აიმაღლეს პროფესიული დონე და ვერ გამოიმუშავეს დებატების კულტურა, რომ არაფერი ვთქვათ უსაშველო ტექნიკურ ხარვეზებზე. სააკაშვილის დიქტატორულმა ხელისუფლებამ, ოპოზიციას და ქართველ საზოგადოებას მდარე ხარისხის ტელეკომპანია „კავკასიის“ სახით „სახრავად“ მიუგდო ძვალი და ამგვარად მსოფლიოს თვალში „დემოკრატი ხელისუფალის“ იმიჯიც გაიჯახირა, ტელეკომპანია „კავკასია“ კი ოპოზიციონერებად წარმოაჩინენ ერთი და იმავე ფსევდო-ოპოზიციონერებს, ხოლო მიუმხრობელ და შეურიგებელ, ჭეშმარიტ ოპოზიციას საინფორმაციო ვაკუუმში აშთობენ, რითაც ხელოვნურად ქმნიან დავინყების ბურუსს მათ მიმართ, რომ თითქოს ისინი აღარ იბრძვიან, ვითომ წავიდნენ პოლიტიკიდან, რომ აღარ არსებობენ, რათა, საჭიროების შემთხვევაში გაუადვილდეთ რეალური კონკურენტის მოკვლა და ჩადენილი ბოროტება ტრივიალური მოტივით შენიღბონ, ისევე, როგორც შარაძის შემთხვევაში, რათა სააკაშვილის რეჟიმმა ტელეკომპანიების წამყვანებმაც დასტური ჰყონ: რა შუაშია მკვლელობის პოლიტიკური მოტივი, იგი ხომ აღარ აქტიურობდა, წასული იყო პოლიტიკიდანო.

გურამ შარაძის საინფორმაციო ბლოკადაში მოქცევა იყო პრევენცია, რათა სააკაშვილს, თავიდან, იოლად მოეცილებინა რეალური კონკურენტი, რაშიც მას ნებისთნე უნებლიეთ დაეხმარა ოპოზიციაც, რომელმაც სრული რეაგირების გარეშე დატოვა შარაძის პოლიტიკური მკვლელობა.

ლელია ცოხაია

ჩ ე ნ ე პ ა შ ე პ ი

აქ წარმოდგენილი პერსონები გახლდნენ დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას იდეური მრწამსის მატარებლები, მაგრამ ბოლომდე ვერ უერთგულეს მას - შეიცვალეს იდეურ-პოლიტიკური მრწამსი და კონიუნქტურიდან გამომდინარე, ან უკვე, ზვიად გამსახურდიას სრული ანტიპოდის - მიხეილ სააკაშვილის ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ სახელისუფლო უმრავლესობაში აღმოჩნდნენ:



კაკა ხერხეულიძე



ნურბაზარ ნიკოლაშვილი



შოთა მალაშვილი



ხათუნა ორიაშვილი



იულონ ბაგაშვილი

დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე აღზევებული იულონ გაგოშიძის მოღვაწეობის ქვემოთხსენებული ეპიზოდი უეჭველად შავ ლაქად დაედება მის ბიოგრაფიას; შობის წინა დღეებში, ბატონ იულონმა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გიორგი ხაჩიძემ, სომხეთის სამთავრობო დელეგაციის თანხლებით, ჯვრის მამის (ყოფილი გოლგოთაი) ეკლესიის ეზოში მდებარე ხარების ეკლესიის (ლესელიძის ქუჩა) კარზე უხეშად ჩამოამტვრიეს ძველი საკეტი და იგი ახალი, უფრო საიმედო საკეტით შეცვალეს და აჭედეს კიდევ, ვინძლო, საშობაოდ, მართლმადიდებელ ქართველ მრევლს არ მოენებებინათ სალოცავად შესვლა, რამეთუ ამ ქართული ფრესკებით მოხატულ ხარების მართლმადიდებლურ ეკლესიასაც (ისევე, როგორც ყველაფერს) სომხები გვედავებიათ. სააკაშვილის მთავრობის ნევრების გაგოშიძისა და ხაჩიძის საქციელი აშკარად მეტყველებს მათ „კეთილ ნებაზე“, არათუ გაანანწყენონ, არამედ იურიდიულადაც გაუფორმონ სომხებს ეს ქართული მართლმადიდებლური ტაძარი.

ჯვრის მამის ეკლესიის წინამძღვრის მამა ტარიელის საგურამოში გადაყვანის ფაქტიც, უთუოდ ამ ვერაგული ჩანაფიქრის შემადგენელი ნაწილია. მამა ტარიელმა, მეცენატებისა და მრევლის შემოწირულობებით მოაპირკეთა, აღადგინა და დაამშვენა ეკლესიების ტერიტორია და რკინის საერთო რიკულებით შემოფარგლა ორთავ ტაძარი, რაც როგორც სჩანს, ყურადღების გარეშე არ დარჩენიან სომხებს, რომლებმაც პრეტენზიებით სააკაშვილს მიმართეს. მისი მარიონეტული მინისტრების გაგოშიძისა და ხაჩიძის რეაგირებამაც არ დააყოვნა, - „სადაო“ ტაძარი „რაინდმა მინისტრებმა“ საგულდაგულოდ დალუქეს.

„აზრები და შეხედულებები არ გადადის მემკვიდრეობით“-ის გამო

ღია წერილი ცოტნე გამსახურდიას

ცოტნე, ისევე როგორც ათასობით ქართველმა მეტ-ნავიკითხე შენი ინტერვიუ გაზეთ „ასავალ-დასავალ-ში“

ნეტავ არ ნამეკითხა!, რადგან შიშის, სასონარკვე-თის, იმედგაცრუების გრძნობა დამეუფლა. ნუთუ ამ ინტერვიუს რესპონდენტი ცოტნე გამსახურდია არის -მეთქი, დიდხანს ვფიქრობდი. ცოტნე, საიდან ასეთი უღმობელი და გაუმართლებელი სისასტიკე, საიდან ასეთი გულსამრევი ცინიზმი და ამპარტავნება?

„აზრები და შეხედულებები არ გადადის მემკვიდრეობით“

ღვთისგაჩენილ ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი აზრის ჰქონის უფლება, გეთანხმები, მაგრამღ

„აზრები და შეხედულებები არ გადადის მემკვიდრეობით!“

შენი დიდი ბაბუისა და მამაშენის, საქართველოს თავისუფლების კანდელზე სანთელივით ჩაღვნილი კაცის აზრები და შეხედულებები ხომ მათი ბედ-კრული სამშობლოს სევდამწყრალი ყოფა იყო, მათი აზრები და შეხედულებები ხომ ჩვენს იავარქმნილ მამულს დასტრიალებდა დღენიადღა, მათ ხომ ძილშიაც არ განშორებით ეს აზრები და შეხედულებები, განა ეს შენ ჩვენგან გესწავლება?

მაინც არ მასვენებს ეს ფრაზა: აზრები და შეხედუ-ლებები არ გადადის მემკვიდრეობით!

გულსატკენია, ღმერთმანი, თუ შენზე მემკვიდრე-ობით არ გადმოსულა ეს აზრები და შეხედულებები.

დროთა სვლისას, რომლის ავანგარდშიც თქვენ ხართ, ჩვენც, „დროში ჩარჩენილ“ უბრალო ქართვე-ლებსაც გაგვიჩნდა შენ და შენი ძმების მიმართ საკუ-თარი აზრები და შეხედულებები და ჩვენდა სავალა-ლოდ, არც თუ ისე სახარბიელო!

ჩვენც გვაქვს საკუთარი აზრები და შეხედულებები შენს მიერ ჩამოთვლილი ნებისმიერი პიროვნების მი-მართ, მაქვს პასუხგაუცემელი კითხვები ჩვენ, ტრაგი-კულ, ახლო წარსულზე, მაგრამ...

ვიცი, თუ როგორ, დაუმსახურებელი და უღვთო დევნა განიცადა დიდოსტატ კონსტანტინეს მოდგმამ და ჯილაგმა თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე. თქვენი ოჯახის ხვედრი ხომ ჩვენი მამულის სევ-ბე-დის იდენტურია.

შენი დიდი ოჯახისა და საქართველოს ხვედრი ხომ ერთურთსაა ავანგარდობილი და ჩაკირული, მაგრამ ასეთი მონამებრივი ხვედრი უფალმა მხოლოდ შენს მოდგმას არგუნა, განსაცდელს ხომ უფალი რჩეულთ მიუვლენს მხოლოდ და ეს ნეტარი განსაცდელი შენ-მა ბაბუამ და მამამ საარაკო ერისკაცობით აიტანეს. უფლის ნება ისიც, რომ ქართველ ხალხს კოლხური კოშკის ბინადარი ყველაზე მეტად უნდა ჰყვარებოდა და უყვარს კიდევ, ეს ხომ ჩვენი ტანჯული პრეზიდენ-ტის სპეციალური ნებართვის შემობრძანებისას დაუდასტურა ქვეყნიერებას ჩვენმა ხალხმა.

ეს სიყვარული მხოლოდ გოლგოთისკენ მიმავალ ნარ-ეკლიან გზაზედ სიარულით დაიმსახურეს შენმა დიდმა ბაბუამ და ნამებულმა მამამ!

ჩვენ, ისევე როგორც ყველა მართალ ქართველს, საქართველოსთვის აღსრულებული შენი მამა ისე გვიყვარს, ვითარც შენს ბაბუას უყვარდა დავით აღ-მაშენებელი და საქართველო!

ყმანვილობისას მასაც ხომ მთელი ღამე უტირია, როს ნაუკითხავს რვა საუკუნის წინათ აღსრულებუ-ლი დიდი მეფეთ-მეფის გარდაცვალების შესახებ და შენ წარმოიდგინე, შენი მამის თანამედროვენი რას განვიცდით მისი აღსრულებით! დიახაც რომ დაუნ-დობელი უნდა იყო მამულის მტრის მიმართ, შინაური იქნება ის თუ გარეზე, მაგრამ სიძულვილმა და დაუნ-დობლობამ მტერ-მოყვრის გარჩევის უნარი ხომ არ უნდა დაგვიკარგოს?!

ვისაც შენ ამ ინტერვიუში ეხები მათ უმრავლესო-ბას მეტ-ნაკლებად ვიცნობ, მაგრამ შენ თუ რაიმე იცი ბოლომდე უნდა სთქვა და არა მიკიბულ-მოკიბულად. ჩვენც გვინტერესებს სიმართლე, რათა ბოლო მოე-ღოს ამ გაურკვევლობას, მითქმა-მოთქმას და ყველას თავისი სახელი დაერქვას, ობიექტურად და არა ისე შენ რომ ამკობ მავანთ.

ცოტნე, დიდოსტატ კონსტანტინეს სიტყვებით გეტყვი: „მე, არც გიორგი მეფის მეხოტბე ვარ და არც მელქისედეკ კათოლიკოსის მგალობელი“, ჩვენთვის, უბრალო ქართველისათვის ამ საკითხში სიმართლე

და სამშობლო უმთავრესი და გულით გვწინააღმდეგობა არ გვქონდეს, უსამართლო ეჭვიანობა ცოდვია და არ გვინდა ამ ცოდვაში გვედგას ფეხი. მაგრამ გულ-წრფელად გეტყვი, თავი რომ დაეანებოთ იმ ხალხს, ვინც სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ჩვენი ტანჯული პრეზიდენტის გვერდით იდგა, ხაინდრავებს სად მიუ-დინარა? იქნებ, რადგან ისინი თქვენი მოყვრები არიან ყველაფერს უტევენ და სხვას კიდევ...

იქნებ შენ მართლაც ფლობ რაიმე ცნობებს ზოგი-ერთების შესახებ, რომლებიც ჩვენთვის დღესამომდე დაფარული და უცნობია, მაგრამ რამდენად უტყუა-



რია ეს ცნობები? ვინ არის თავმდები?

ცოტნე, ხაინდრავებთან სამეგობროდ მზად ხარ, მზად ხარ მიუტეო ჩადენილი ცოდვები და ღალატი, მიტევება ხომ მაშინ ხდება, როდესაც გულწრფელად მოინანიებენ?!

მართალია, ხაინდრავა ამბობს: ვინანიებ ცოტნეს წინაშე ჩადენილ ცოდვებსაო, მაგრამ რას მიქვიან შენს წინაშე ჩადენილი ცოდვები?! გადაშალე მაგ სა-ეჭვო წარმომავლობის გაზეთის ფურცლები და წაი-კითხე ხაინდრავას ინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს, რომ გამსახურდიას მიმართ ჩემი პოზიცია უცვლელე-ლიაო, ხოლო „გამსახურდიას მიმართ პოზიცია“ ეს არის პოზიცია საქართველოს მიმართ! იმედია არ შე-მედავები.

ამ სიტყვებიდან გამომდინარე ხაინდრავას დღე-საც ისე სძულს შენი სულნათელი მამა, როგორც ამ 18 წლის წინ. შენი დიდი ბაბუა არ ამბობდა: ღალატს დაჩვეული მუდამ მოღალატე იქნებაო? მან ხომ ზვი-აღსაც უღალატა, შევარდნაძესაც და მიშასაც?

ცოტნე, როგორ უნდა ემეგობრო პატიოსანი კაცი ცხრა მთავრობის აფერისტსა და გაიძვერას, ის ხომ შევარდნაძის და სააკაშვილის ნამინისტრალია და ოპოზიციაში მაშინ ამოყოფს თავს, როდესაც სავარ-ძლიდან ქონიანი ნიჩმი მოასრიალებენ ხოლმე? ჰქო-ნია კი ამ ქონდრისკაცს ოდესმე საკუთარი ალალი, მართალი და უანგარო აზრი და პოზიცია?

მაგის ოპოზიციონრობაც წმინდა წყლის სიცრუე და ვერაგობაა.

ჩვენს ტრაგედიაში ხომ, ხაინდრავებს ღმრის წილი უღვეთ?! ცრუობს ეგ ავაზაკი, როცა ამბობს ქართვე-ლისთვის არ მისვრიაო. ამ სიცრუეში ჯაბამ ჩაუშვა, ნაიკითხე ჯაბას „უკვდავი ქმნილებები“ ამავე გაზეთ-ში და დარწმუნდები, მისი „დევიატკა“, მისივე თავკა-ცობით, როდესაც თქვენი სამშობლოს ტოვებდით ფეხ-დაფეხ მოგდევდათ ავტომატასხმული.

ამჯერად ჩვენ ჯაბას უფრო ვენდობით ვიდრე შენს აზრებსა და შეხედულებებს, რომლებიც მართლაც რომ არ გადმოსულა შენზე მემკვიდრეობით, რადგან ხაინდრავების უსტაბაში, ჯაბა იოსელიანი, ზემი-ნევისითი სიზუსტით აღწერს მისი წინილების „გმი-რობას“ თავის უკვდავ „დანატოვარში“, რომელიც, იმედია ერთ დროს მთავარ სამხილად იქცევა ჩვენი სამშობლოს მოღალატეებისათვის.

გამსახურდიების ოჯახის წინაშე შევარდნაძესა და მის ანტისახელმწიფოებრივ ხროვას მიუძღვის ბრა-ლი, შენ და შენს ძმებს ბავშვობა წაგლიტეს და გა-გიმნარეს, დაგაობლეს, იმ გაჭირვებამ და შავბედო-

ბამ მთელს საქართველოსაც გადაუარა დამანგრეველ გრიგალად მაგრამ გაჭირვებამ და ავბედობამ ისე ხომ არ უნდა გაგვაბოროტოს რომ მტერ — მოყვარე არ და ვერ გავარჩიოთ?

განა რა დავაშავეთ იმის ტოლფასი, ჩვენ უბრალო ქართველებმა, შენ და შენი ძმები წლების მანძილზედ ჩვენ და მხოლოდ ჩვენ რომ გეტყენთ ისედაც დაკო-დილ გულეებს, თქვენგან ნასროლ სიტყვებს გულშივე ვიკლავდით, უხმოდ, ცრემლით ვახრჩობდით, ემანდ ვინმე არ დაგვიანახოს-თქო.

მრავალმა ჩვენგანმა ხომ უარი თქვა ყოველგვარ კარიერაზე, ცხოვრებისეულ მომავალზე, მართლაც „დროში ჩავრჩით“, რადგან პოლიციამ კია არა, აუდი-ტორიებშიც არ შევსულვართ.

გვციოდა, გვშიოდა, გვწყუროდა, გვტკიოდა, მაგ-რამ მაინც ნეტარნი ვიყავით, რამეთუ ვთვლიდით, რომ ეს გვემა ერთგულება იყო ჩვენი საქართველოსი და მისი სარანგისადმი. ნაბიჯი რაა, სიტყვაც არ წარ-მოგვითქვამს ისეთი ჩვენი პრეზიდენტის თვალსაწიე-რით რომ არ გაგვეზომ-აგვეწონა.

დიახ, ცოტნე, ჩვენ ბედნიერები ვართ იმითი რომ „დროში ჩავრჩით“, იმ საოცნებოდ გარდასულ დრო-ში და არ მივყოლილვართ ამ თახსირ ჟამთასვლას! ჩვენს ვაცრეცილ, გახუნებულ პიჯაკებს არ ბილწავს შევარდნაძისეული გენერლის ტემლაკები! აი, ამით ვამაყობთ ჩვენ, ვამაყობთ, რადგან ჩვენს შთამომავ-ლობას სამარცხვინო ლაქად არ დარჩება მღებრიშვი-ლის ბანდის წევრობა!

იმ ხანებში შენმა დედამ ასე განაცხადა: არავის გა-გიკვირდეთ გიორგი გამსახურდია გენერლის ფორმა-ში რომ ნახოთ, ის საქართველოს სჭირდებაო.

გულზე ხელი დაიდე, ჰქმნა კი შენმა ძმამ ისეთი რამ რაც საქართველოს გამოსდგომია? პირიქით! რას შეისწავლიდა იგი ადამიანურსა და სასიკეთოს მღებ-რიშვილისაგან? ის ხომ მისი შეგირდი იყო! გულს შხა-მი გვეღვევინებოდა, როდესაც ტელევიკრანზე მღებ-რიშვილთან ხელგადახვეული გამოჩნდებოდა ხოლმე.

ცოტნე, განა პუტჩის დროს თბილისსა და სამეგრე-ლოში დაცემული ვაჟკაცები საქართველოს არ სჭირ-დებოდნენ? განა მკლავმოჭრილი და გულამოგლეჯი-ლი მხატვარი ვახტანგ ნოდია საქართველოს არ სჭირ-დებოდა? განა ნიჭიერი და უპატიოსნენი ქართველი ჭაბუკი აკაკი ხარაბაძე, რომელმაც ენით უთქმელი გმირობა ჩაიდინა, ტამიშთან დანაღმულ მინდორს გადაურბინა და დამწვარ-დახრუკული ავიდა მამუ-ლის საკურთხეველზე! გარბენისას „სალალობს“ მი-იმღეროდა და ამით ქართულ ჯარს გზა გაუხსნა. ის სამშობლოს არ სჭირდებოდა? განა თან არ წარიტანა სამარტვილეს თავის ოცნებები, აზრები და შეხედუ-ლებები, რომლებიც ანალოგი იყო ზვიად გამსახურ-დიას

აზრებისა და შეხედულებებისა და რომლებიც თურ-მე შენზე შთამომავლობით არ გადმოსულა?

მან კი შენი მამისაგან შეიძინ- შეითვისა ყოველივე, შენი მამისაგან ისწავლა სამშობლოს ნამდვილი სიყ-ვარული და მისთვის თავდადება! სულდაუოკებლად შეჭხაროდა აკაკი გამარჯვების დადგომას, სკოლის მერხიდან სამშობლოს სპასალარს ამოუდგა მხარ-ში: ეს ყველაფერი რომ დასრულდება, უნდა ვისწავ-ლოო, აბა სირცხვილი არ არის ზვიად გამსახურდიას ემხრობოდე და უვიცი და უნიგნური იყო, ან ისტო-რიკოსი უნდა გავხდე ან იურისტიო, მასწავლებლო-ბა კი იმისთვის მინდა, რომ მომავალ თაობას ჩვენი დღევანდელი სიმართლით რომ გადავცე და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას შესახებაც მო-უთხორო, იურისტობა კი იმიტომ მსურს მამულის მოღალატეს და ქვედაბუნს საკადრისი მიეუზღო. აი, ასეთი აზრები და შეხედულებები შეუქმნა უბრალო, პირტიტველა ქართველს შენმა მამამ და თქვენ რაი დაგემართათ?

აზრები და შეხედულებები არ გადადის მემკვიდრე-ობითო! — ისე აცხადებ, თითქოს გეჩოთირებოდეს შენი წინაპრების აზრები და შეხედულებები, იმაზე მეტი დიდებული აზრები და შეხედულებები რა უნდა გერგოს კაცს მემკვიდრეობით, რაც შენს წინაპრებს ჰქონდათ?

ვაგლახ, რომ ჩვენი ნამებული პრეზიდენტის არ-ცერთ პირმშოს არ დაჰყოლია მემკვიდრეობით მისი აზრები და შეხედულებები, ვინც ვინც ვინც დაეგე-

„აზრები და შეხედულებები არ გადადის მემკვიდრეობით“-ის გამო ღია წერილი ცოტნე გამსახურდიას

დასაწყისი გვ. 5

ბოთ, კოკოს რა უნდა კუდიანების იმ ამქარში თავს „ობოზიციას“ რომ უწოდებს? განა გუმანითაც ვერ ხვდება რომ ყველა ესენი ყალბები და ფარისევლები არიან?

მოდით, ვთქვათ სიმართლე, ვალიაროთ, რომ შენ არ გინდა, მოგებზრდა, სიცოცხლე გაგიმწარა იმ საქვეყნო აზრებმა და შეხედულებებმა, რომლებიც შენს წინაპრებს ჰქონდათ. გაგიგებთ, შენც ადამიანი ხარ და ჩვენც, ვიცით მიძიმა ყოველივე იმ აზრებისა და შეხედულებების ტვირთვა, განა რა უფლება გვაქვს დაგაძალოთ, მხრებზე მოიკიდეთ-თქო!

ქარაგმულ ნათქვამს პირდაპირი სჯობია, ვთქვა ასე და ჩვენც გითანაგრძნობდით!

ცოტნე, შენ ჭკვიანი კაცი ხარ, ეს ასეც უნდა იყოს, განა ვისი გორისა ხარ, მაღლი უფალს, ჭკუა და ნიჭი მაინც გადმოვიდა შენზედ შთამომავლობით და როდესაც ამბობ „აზრები და შეხედულებები არ გადადის მემკვიდრეობით!“ თან დაგემატებია — არც სულიერება-თქო, ასე უფრო უპირიანი იქნებოდა...

ისე, მართო თქვენ არ ხართ ამ მდგომარეობაში, განა როგორი დიდებული ქართველი რაინდი იყო შენი ბაბუის ძმადნაფიცი შავჩოხოსანი ვახტანგ კოტეტიშვილი და როგორი პირში დასტოვა, არც მასზედ გადმოსულა აზრები და შეხედულებები მემკვიდრეობით, თორემ იგი წინ არ აღუდგებოდა კონსტანტინეს ღირსეულ პირში.

ცოტნე, მიუხედავად იმისა, რომ შენ და შენმა ძმებმა დააგდეთ მამა-პაპისეული გზა, ვერც შენი პოზიციითა და შეხედულებებით, ვერც გიორგი თავისი ტემლაკებითა და სავარძლით, ვერც კოკო თავისი აღმა-დაღმა ბორილით, იოტისოდენა ხინჯს ვერ მიაცუნებთ ჩვენს სათაყვანებელ დიდოსტატსა და წამებულ ზვიადს, მაგრამ გული გვტყვივა, გული! არ არის ეს ლამაზი, მტრის წისქვილზე ასხამთ ამით წყალსა და ეგ არის მხოლოდ. ერთმა გარენარმა ნიშნიც კი მომიგო — ვინ ხარ კაცო შენ, ვერ ხედავ მისი შვილი ჩვენს სამსახურში რომ ჩადა და შენ მიჰყვები საფლავშიო?!

„აზრების და შეხედულებების მემკვიდრეობით“ არ გადასვლა ამჯერად ბუნებრივი მოვლენაცაა იქნებ, გამსახურდიების გვარმა ერთ საუკუნეში ხომ ორი ბუმბერაზი უშვა ჩვენს სამშობლოს, მარადისობაში გარდასულთ საუკუნეში რომ მოუდრეკენ მუხლს და ახლა გენი ისვენებდეს, იქნებ? ისვენებდეს, რათა ხვალისთვის ერთიანად რომ იყივლოს და შეაზანზაროს ეს ცოდვილი სამყარო! ეს ასე იქნება, უსათუოდ და ჩვენც მომავალის იმედით ვისულდგმულობთ!

ცოტნე, იცი როგორ მტკივა გული და სული, ახლა ამ სიტყვებს რომ გწერ? ხელი მიკანკალებს, სული მეძვრის, მაგრამ უთქმელობაც არ ეგების, სულს უნაგავს და იძულებული ვარ დიდი ილიას სიტყვები მოვიშველიო — „მოყვარეს პირში უძრახეო“...

მე იმ დღეს შევნატროდი, როს საქართველოს გამსახურდიების სამი ძე დაუბრუნდებოდა, მათი მამა ერთი დარჩა, ესენი სამნი იქნებიან და ამათი მომრევი დედამინის ზურგზე ვერც ერთი ეშმაკის კერძი ვერ იქნება-თქო.

აი, დაბრუნდით, მაგრამ სად გექებოთ? ლარსიდან, საქართველოს სატახტო ქალაქში საკუთარი მხრებით შემოაბრძანებდა თავისუფლების სიმბოლო პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას ნეშტს ქართველი ხალხი და ეს იქნებოდა ამ დაყრუებული და დაბრძანებული, გონებადაკარგული მსოფლიოსათვის ნათელი მაგალითი მამულიშვილობისა და ერის სიყვარულისა, რისგანაც დაცლილია დღევანდელი ცივილიზაცია. თქვენ კი, მისი შვილები, ბალდახინით თავანყვეტილად მოაქროლებდით საქართველოს სამხედრო გზაზე მის ნეშტს, იმ სიცივესა და ქარ-ყინვაში კი სანთლებით ხელში და მუხლმოყრილი განბილებული დატოვებთ ხალხს, რითაც კიდევ ერთხელ ატკინეთ გული!

ცოტნე, მოგახსენე უკვე, ჩვენ საკუთარი ნებით უარი ვთქვით ყოველივეზე, ჩვენს მომავალზე, წალღეტელ სამშობლოშიც ხიზნებად ვიქეცით, მაგრამ არა ჩვენს ამომგდებ ურდოში! გავიხიზნეთ და სიზმარცხადად გვექცა სამშობლო ჩვენი, მთელი ეს გაუსრულებელი წლები. საკუთარ თავზე საუბარი უხერხულია, მაგრამ ვისაც შენ გაანდე შენი გულისსადავები, ამ ხალხს ჩვენი ხსენების უფლება არ აქვს, რადგან მათ საკუთარი თავის გარდა, არც ვინ და არც რა ჰყვარებიათ ამ ქვეყნად!

ცოტნე, შენი დატუსაღება ჩემთვის, რაც იყო ამის თქმით აღარ შეგანყენ თავს, პროტესტიც გამოვხატე, მაგრამ ჩემთვის „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული საქართველოს ბნელიტის კოლექტიური წერილი იყო უკიდურესად აღმაშფოთებელი! მათ უმრავლესობას ხომ ავტომატი ეჭირა ხელში, რათა თქვენ სამშობლოდან გაექვევინეთ?

როდის აქეთ დაენვა ამ ხალხს შენსა და შენს ოჯახზე გულ-მუცელი, ამათი უმრავლესობა ხომ პუტჩის იდეოლოგები და მეზაირახტრები იყვნენ!

ცოტნე, მაპატიე მხოლოდ სახელით რომ მოგმართავ, რადგან მე „დროში ჩარჩენილი“ ვარ და ისევ ისეთი პატარავი მგონიხართ ამ ოცდახუთოდე წლის წინ პირველად — კოლხური კოშკის კარიბჭე რომ შემოვალე და თქვენ დაგინახეთ, ჩემი სამშობლოს მომავლის მჭედლებად დაგიგულეთ მაშინვე და ჯერ კიდევ არ არის გვიან, ამ იმედს ნუ გამიცრუებთ! ნუ ჩააქრობთ მაგ ტაძარში დიდოსტატის მიერ დანთებულ წმიდა კელაპტარს, ნუ შეადრუნებთ წინაპართა ძვლებს!

კიდევ გიმეორებთ, ეს სიტყვები მხოლოდ სიყვარულმა დაამანერინა, ან კი როგორ უნდა შეგიძლოდო, მაშინ ხომ შემომინყრა ღვთისმშობელი და მაცხოვარი! როგორ უნდა შეგიძლოდო, თქვენ ხომ გამსახურდები ხართ! გამჩენის მსახურს ნიშნავს გამსახურდებო - განმარტა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა და ღვთისა და მამულის მსახური გვარისშვილი, როგორ უნდა შეგიძლოდო!

ღმერთს ვევედრები, გაგინათოთ მაგ ლამაზი გონება და ისევ ისე ემსახუროთ უფალს, სამშობლოსა და მტერ-მოყვარეს, როგორც შენი დიდი ბაბუა და წამებული მამა!

შემინდეთ, თუ რამ სამართლიანად შემოგკადრეთ, ღმერთმა დაგლოცოთ, გამრავლოთ და აგალორძინოთ!

გლახო კარგარეთელი

საქართველოს სამხედრო ძალების რეორგანიზაციის დასაწყისი

2008 წლის აგვისტოს რუსულმა აგრესიამ და საბრძოლო მოქმედებებმა ნათლად დაანახა ქართულ საზოგადოებრიობას, რომ „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ მიღებული კონცეფციის საფუძველზე ფორმირებული შეიარაღებული ძალები არანაირად არ პასუხობენ საქართველოს წინაშე



მდგარ სამხედრო საფრთხეებს. დღეს აუცილებელია სამხედრო ძალების მოდერნიზაცია, ამ მხრივ ძალზედ საყურადღებოა გამოჩენილი ფრანგი სახელმწიფო-პოლიტიკური მოღვაწისა და სტრატეგ - შარლ დე გოლის მიერ ჯერ კიდევ 1934 წელს დაბეჭდილ წიგნში „პროფესიული არმიისათვის“ მოცემული პოზიცია, რომელიც შეიძლება საქართველოს ეროვნული თავდაცვის სისტემისთვისაც სასარგებლო იყოს. „დადგა დრო, რეზერვისტებისა და წვევამდევების მასით დაკომპლექტებული ეროვნული თავდაცვის ძირითადი შემადგენელი ელემენტის არმიის გვერდით, რომელიც მაინც ითხოვს დიდ დროს შეკავშირებასა და საქმეში ჩართვაში, აუცილებელია იყოს შეკავშირებული, დაუყოვნებლივი მოქმედებისთვის მყოფი, კარგად განსწავლული მანევრული არმია, ე. ი. მუდმივად საბრძოლოდ მზადმყოფი არმია“.

„ქისინჯანის ღოჭინა“

თუ კი რომელიმე მთავრობა გადატრიალების გზით მოდის ხელისუფლებაში და საკუთარ ქვეყანას ამერიკულ ორბიტაში რთავს, ვაშინგტონი ყველაფერს აკეთებს, რათა ხელი შეუშალოს ამ მთავრობის შეცვლას, მიუხედავად იმისა თუ რაოდენ მცირეა საკუთარი ხალხის მხარდაჭერა ამ მთავრობისადმი და რაც არ უნდა ძვირი უჯდებოდეს იგი.

გაზეთი „ნიუ-იორკ თაიმსი“ 1975 წ. 27 თებერვალი

შეცდომების გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში (№18) უყურადღებობით გაიპარა ორი სამწუხარო შეცდომა: 1. გელა ჩორგოლაშვილის სტატიაში „მარიონეტს არა აქვს ნება“ (გვ.4), მე-3 სვეტის პირველი აბზაციდან მე-3 აბზაცის დასაწყისამდე უნდა იკითხებოდეს ასე: „ამგვარად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 11 დეკემბრის კანონი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ“ რჩება სამართლებრივ ბარიერად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის საწინააღმდეგოდ.“

ამგვარად, აღნიშნული კანონი განაპირობებს იმას, რომ ანტიკონსტიტუციური, დანაშაულებრივი რეჟიმი, რომელიც მოქმედებს ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე, მოკლებულია ლეგიტიმურ საფუძველს, იგი კანონგარეშეა და მისი მოქმე-

დება სხვაგვარად ვერ კვალიფიცირდება, თუ არა როგორც კრიმინალური.

მკითხველს მსურს შევახსენო, რომ საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 11 მარტის „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ“ დადგენილება ადასტურებს“ და შემდეგ, როგორც ტექსტში...

2. ხოლო მე-17 გვერდზე განთავსებულ სამგვერდიანი მასალის - „საინფორმაციო ცნობარი ნატოს შესახებ“ - ანოტაციაში გიორგი მესამის ნაცვლად უნდა ეწეროს გიორგი მეხუთე, ხოლო მისი მეფობის წლებად მითითებული უნდა იყოს 1314-1346.

სამწუხარო შეცდომებისთვის ბოდიშს ვუხდით მკითხველებს (რედ.)

ვინ იყო ანგარდაცვლილი რუსეთის პატრიარქი ალექსი II

მე წინააღმდეგი ვარ! მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ტალინში და მთელს ესტონეთში, იქნეს მოედნები, რომლებიც ატარებენ კგბ-ს აგენტების სახელს. თუმცა ეს აგენტები დაიბადნენ ესტონეთში და გააკეთეს რაიმე სასარგებლო თავიანთ ცხოვრებაში. შახელდობრ მიტიმ ვარ მე ამის წინააღმდეგი, რომ ტალინში გაჩნდეს კგბში ოპერატიული ფსევდონიმით „აგენტ დროზდოვი“-თ ცნობილ ალექსეი II-ის სახელობის მოედანი.

1958 წლის კგბ-ს აგენტურულ-ოპერატიული მუშაობის ანგარიშიდან (ინახება ესტონეთის რესპუბლიკის სახელმწიფო არქივში):

„აგენტი დროზდოვი“, დაბადებული 1929 წელს, მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელი, უმაღლესი განათლებით, ღვთისმეტყველების კანდიდატი, სრულყოფილად ფლობს რუსულ, ესტონურ და სუსტად გერმანულ ენებს. დავერბოვებოდა 1958 წლის 28 თებერვალს პატრიოტულ გრძნობებზე ანტისაბჭოური ელემენტების გამოსავლენად და დასამუშავებლად მართლმადიდებლური სასულიეროს რიგებიდან, რომელთა შორისაც მას აქვს კავშირი, და წარმოადგენს კგბ-ს ორგანოებისათვის ოპერატიულ ინტერესს.

დავერბოვებისას გათვალისწინებული იქნა მომავალში მისი წამოყენება არსებული შესაძლებლობებით ტალინისა და ესტონეთის ეპისკოპოსის პოსტზე.

კგბ-ს ორგანოებთან თანამშრომლობის პერიოდში დროზდოვი თავი წარმოაჩინა დადებითი მხრით, განაცხადებში აკურატულია, ენერგიული და კონტაქტური. კარგად ერკვევა ღვთისმეტყველების თეორიულ საკითხებში და საერთაშორისო ვითარებაში. ჩვენი დავალებების შესრულებას ეკიდება სურვილით და უკვე წარმოაჩინა მთელი რიგი საბუთები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებენ, რომლის მიხედვითაც წარმოებს დოკუმენტაცია იიხვინის მართლმადიდებლური ეკლესიის ხელმძღვანელის — ჩურკინის დანაშაულებრივი ქმედებების და მისი მეუღლის შესახებ, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებით რამოდენიმე მოქალაქისთვის პენსიების გაფორმებისას (იღებდა ქრთამს).

ამ ღონისძიებების გატარებაში იქმნება შესაძლებლობა მივამაგროთ „დროზდოვი“ კგბ-ს ორგანოებთან პრაქტიკულ სამუშაოზე.

გარდა ამისა, „დროზდოვი“ წარმოადგინა, აგრეთვე ფასეული მასალები

მღვდელ ფოვედსკიზე წარმოებულ საქმე -ფორმულარისათვის. ამჟამად ის მუშაობს გერმანული ენის სრულყოფაზე.

აგენტის უშიშროების ორგანოებთან პრაქტიკულ საქმეზე მიმგრების შემდეგ კონკრეტულ აგენტურულ დამუშავებებთან ერთად ვგეგმავთ მის გამოყენებას ჩვენი ინტერესებში მისი მივლინებით კაპიტალისტურ ქვეყნებში საეკლესიო დელეგაციის შემადგენლობაში“.

ალექსანდრე რიდიგერის ბიოგრაფიაზე თვალის ზედპირულად გადავლებსას საკმარისია, გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ რიდიგერი და „დროზდოვი“ ერთი და იგივე პიროვნებაა. მას რაზე უნდა განვცვიფრდეთ? — ალექსეი რიდიგერის შემთხვევა არ არის ერთეული. პრაქტიკულად რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ყველა იერარქებმა დაალაქვეს თავიანთი ბიოგრაფიები საბჭოთა უშიშროების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობით. ეკლესიის წიაღში კარიერის გაკეთების მსურველთათვის ხომ ერთადერთი საშუალება იყო კგბ-სთან თანამშრომლობა. ესენი ადამიანთა განსაკუთრებული მოდგმაა, რომლებმაც გაყიდეს თავიანთი რწმენა სამსახურებრივ კიბზე სწრაფი წაწვევის სასარგებლოდ. ეს ის ადამიანებია, რომლებიც ჰყიდნენ თავიანთ მეგობრებს და გადასცემდნენ სახელმწიფო ორგანოებს, თავიანთი მრევლის აღსარების საიდუმლოების დარღვევით.

თუმცა სსრკ-ს დაცემის შემდეგ ცოტა რამ თუ შეიცვალა. რით არის დაკავებული რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია, დღეს კარგად არის ცნობილი — ეს არის ხელისუფლების დანამატი, რომელიც გამოიყენება რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკის გასატარებლად არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ამისათვის, თუმცა ის კონსტიტუციურად დამოუკიდებელია სახელმწიფოსაგან, სარგებლობს თვით ამ სახელმწიფოს პრივილეგიებით.

სრულიად რუსეთის პატრიარქი ალექსი II გარდაიცვალა 2008 წ. 5 დეკემბერს და ახლა ტალინში, მერიის გადაწყვეტილებით უნდა გაჩნდეს „აგენტ დროზდოვის“ მოედანი. ეს ნამდვილი სირცხვილია. ეს შეურაცყოფა კომუნისტური ტერორის მილიონობით მსხვერპლისა.

ამ სირცხვილს ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ!

ვეგენი ციგულენკო



ააშ-ს ექსპერტები სთავაზობენ რუსეთს დაუბრუნოს ჩინეთს ამურისპირეთი და ზღვისპირეთი

კიდევ ერთ პოტენციურ არასტაბილურ რეგიონად ამერიკელმა ექსპერტებმა დაასახელეს ფერლანას ველი, სადაც სიტუაციამ შეიძლება ააფეთქოს მთელი ცენტრალური აზია. მის გარდა დესტაბილიზაციამ ფერგანის დაბლობზე, განსაკუთრებით მის ყირგიზულ ნაწილში, შესაძლებელია ცეცხლი შეუკეთოს ლატენტურ კონფლიქტს თურქ მუსულმანებსა და ჩინელებს შორის კაშგარში და ჩინეთის მიერ კონტროლირებად მთელს აღმოსავლეთ თურქესტანში.

რაც შეეხება რუსეთის მომავალს, „FARWESTLLC“ — ში დარწმუნებულები არიან, რომ აღმოსავლეთ ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის შეჭრის შეჩერება ვერ მოხერხდება, ამის გამო ამერიკელმა ექსპერტებმა გამოთქვეს აზრი, რომ რუსეთი ახლოებულ პერსპექტივაში ვერ შეძლებს ამ ტერიტორიების შენარჩუნებას დამოუკიდებლად. ამისათვის მას დასჭირდება აშშ და დასავლეთის დახმარება.

ამის შესახებ „FARWESTLLC“-ის ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი — ეს არის „მთელი კაცობრიობის საკუთრება და რუსურების სანაწობი“ და არა მარტო რუსებისა.

ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულებები XIX საუკუნის შუახანებისა, რომელთა მიხედვით რუსეთს მიუერთდა ჩინური ზღვისპირეთი და ამურისპირეთი, იყვნენ არა თანასწორუფლებიანი. ამიტომ „მრავალმხრივი კომპრომისის ფარგლებში ამ ხელშეკრულებებს მოუწევს გადასინჯვა“.

„FARWESTLLC“ მიუთითებენ, რომ ამერიკელი დემოკრატები სთავაზობენ ამერიკის საგარეო პოლიტიკაში შეიტანონ სერიოზული ცვლილებები. ერთ მხრივ ისინი გამოდიან ამერიკის მონანილეობის შემცირებაზე შეიარაღებულ კონფლიქტებში საზღვარგარეთ და პირველ რიგში ერაყში. მეორე მხრივ ისინი

ნი მზად არიან აწარმოონ ღია დიალოგი და ეძებონ კომპრომისები იმისთანა ქვეყნებთან, როგორებიც არიან ჩინეთი, ირანი და სირია. ამ წყაროებში რამდენჯერმე იყო ნახსენები ბელორუსიის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო, რომელთანაც ურთიერთობების ნორმალიზება ლიბიურ სცენარით სრულიად რეალურადაა მიღებული.

200 მილიონი ჩინელი მზად არის რუსეთში შესასვლელად. 200 მილიონი ჩინელი მზად არის ჩინეთიდან გადავიდნენ რუსეთში. ამის შესახებ გვაცნობებს სააგენტო „Пресс-Лайн“ რფ სამეიგრაციო სამსახურის დირექტორის მოადგილე ვიჩესლავ პოსტავინინზე დაყრდნობით. მისი სიტყვებით მიგრანტების დიდი ტალღა შესაძლებელია იყოს დაკავშირებული, აგრეთვე ჩინეთის პოლიტიკასთან საკუთარი მოქალაქეების გადინება თავის ქვეყნიდან.

არის რიგი ქვეყნებისა, რომლებიც ეწვეიან საკუთარი მოქალაქეების თავიანთი ქვეყნებიდან გაძევების პოლიტიკას სხვა ქვეყნებში, ეს ეხება არა მარტო ჩინეთს. ჩინეთი თვითონ ვითარდება ეკონომიურად, მხოლოდ იქ არის უამრავი ზედმეტი მაცხოვრებელი. ახლა დაახლოებით 200 მილიონი ჩინელი მზად არის ჩამოვიდეს რუსეთში სამუშაოდ. რუსეთს სჭირდება მხოლოდ ერთი მილიონი ლეგალური მიგრანტი წელიწადში. ამ პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება მართლმართლად. ეს უნდა გადაიჭრეს საერთაშორისო დონეზე, განაცხადა რუსეთის ფედერაციის სამეიგრაციო ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილემ ვიჩესლავ პოსტავინინმა.

ახლა, მიგრაციული პროცესის რეგულირებით დაკავებულია რუსულ-ჩინური კომისია, ამის გარდა რუსეთის კანონმდებლობით, რეგიონებს აქვთ უფლება დაანესონ კვოტები მიგრანტებზე, მოქალაქეობაზეც კი.

მელვლევი ცდილობს პუტინის უღის გადაგებას

„the inancial times“- ის კორესპონდენტ ჩარლზ კლოვერმა დიმიტრი მედვედევის ამასწინადეღ განცხადებაში დაინახა რუსეთის პრეზიდენტის სწრაფვის ნიშნები თავი დააღწიოს პუტინის გავლენას.

„საბოლოო პასუხისმგებლობა ყველაფრის შესახებ, რაც ქვეყანაში ხდება, მთელი რიგი საბედისწერო გადაწყვეტილებებისა დამეკისრება მხოლოდ მე, და მე ვერ შევძლებ ეს პასუხისმგებლობა ვისმეზე გავანანილო“ ციტირებს ბრიტანული გამოცემა (ოფიციალური სტენოგრაფიათ nakremlin.ru)

„ჩვეულებრივი პრეზიდენტისთვის ჩვეულებრივ ქვეყანაში ასეთი შე-

ნიშვნა იქნებოდა ცხადი“ — ჩარლზ კლოვერი უკეთებს კომენტარს რუსი პრეზიდენტის სიტყვებს. — მაგრამ გათვითცნობიერებულთათვის ეს იყო საიდუმლო ნოშანი, გზავნილი, გასაგები მხოლოდ მათთვის, ვისთვისაც ეს უნდოდა მიენვინა დიმიტრი მედვედევს.

„The inancial times“-ის კორესპონდენტის დაკვირვებებით ამის მსგავს შემთხვევებში მედვედევი ხაზს უსვამს, რომ „ეთათბირება ვლადიმერ პუტინს“, ახლა კი ფიქრობს კლოვერი, მედვედევს მობეზრდა მეორე ხარისხივან როლებში ყოფნა.

დღეს საქართველო სატელევიზიო მედიით სულდგმულა

ერთ ძველ ანგველოტს შეგახსენებთ: კურდღელი ქეიფობს რესტორან „მწვანე ველში“. შეზარხოშებულმა რამდენჯერმე შეუკვევთა სიმღერა „კატიუშა“. მისმა მომბეზრებელმა ახირებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მხეცებმა ბაჭიას მელა; მიუგზავნეს კურდღელმა ის გარეთ გაიხმო, ცოტა ხანში რეტსორანში ბრუნდება კურდღელი მელის ტყავით და უკვეთავს იმავე სიმღერას. მხეცები შეურაცხყოფილი არიან. იერარქიით ჯერი მგელზე მიდგა. კურდღელმა ისიც გარეთ გაიხმო და მალე დაბრუნდა მგლის ტყავით, რომელიც მაგიდის ქვეშ დააფინა; კვლავ გაიხმო სიმღერა „კატიუშა“. ცხადია, დათვმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და კურდღელს მიეჭრა. კურდღელმა ნაცად ხერხს მიმართა და რესტორანში დაბრუნდა ლომთან ხელკავით. ლომს კუდზე დათვის ტყავი ჰქონდა გამოშვული და ღრიალებდა - აბა, კიდევ ვის არ მოგნონთ სიმღერა „კატიუშა“? ეს ამბავი საქართველოს ისტორიულ ბედს მაგონებს - როცა სრულად მივენდობოდით ჩვენთვის, იმ მომენტში, მოკეთედ ქველ მფარველს, ხშირად მწარედ ვისჯებოდით. ისე, როგორც ეს აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში დაგვემართა. რატომ ვიხრებოდა აქეთ-იქით და ვერ ვანარმოებთ დამოუკიდებელ პოლიტიკას? ამ დროს ხომ ყველა სათავისოდ ფიქრობს. ჩვენს ომში ძირითადი მხარეები აშშ-ი და რუსეთი იყვნენ. მრავალი ნიუანსიდან მხოლოდ ერთს გამოვიყოფთ. რამ აიძულა რუსეთი ნასულიყო თვითმკვლელობაზე? რატომ გახდა საქართველო რუსეთისათვის ნაკლებად მიმზიდველი სეპარატისტებთან შედარებით? სეპარატისტების აღიარება ხომ მომავალი კატასტროფა რუსეთისათვის. პრიშტინას 200 კილომეტრიანმა მარშმა და საქართველოზე თავდასხმამ სულ წაახდინა რუსეთის იმიჯი (ისედაც საუკუნე სრულდება, რაც რუსეთს მილიტარისტი ქონდრის კაცები მართავენ) და მათ გლობალური სტრატეგიული შოკი მოუტანა. პრეზიდენტმა შედეგადევიმა გადაწყვეტილება კი მიიღო, მაგრამ შედეგებზე არ უფიქრია (არც ჩვენ გვიფიქრია). მსოფლიო რუსეთის წინააღმდეგ გამოვიდა. რა იყო პუტინის სიჩქარის მიზეზი (პეკინიდან? პირდაპირ ვლადიკავკაზში ჩაფრინდა) აქნებ დასავლეთი ამით აჩქარებდა რუსეთის დაშლას. ამიტომ ხომ არ მოიქცოვა ეს ავანტიურა. რა მოგვცა სამაჩაბლოში სტატუს-ქვოს დარღვევამ? სააკოვი-შედეგადევის შეთანხმება და წუთქსენება, რომელმაც ჩვენ სულზე მოგვისწრო. ფაქტია, რომ პირველ დღეებში, აშშ არ აღმოჩნდა მზად რუსეთის წინააღმდეგ შემაკავებელი კონკრეტული ქმედებისათვის. ამერიკელებმა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაითავისეს მომხდარი, რატომ? აშშ-ს ეტყობა ინერტულობის მიზეზი ჰქონდა. პროცესში დისონანსი შეიტანა ლავროვის განცხადებამ (თუ დაეჯერება) ბუმის მზაობის შესახებ არ დაეშვა საქართველოს ნატოში მიღება, თუკი ჩვენ დავესხმოდით თავს რომელიმე სეპარატისტულ რეგიონს. ბუმის სვლა გასაგებია, თუ მან საქართველოს კარტი რუსეთთან გამოიყენა სავაჭროდ. ეს პრაგმატული ინტერესებით მოქმედებაა. თუ ლავროვი არ ტყუის, შეიძლება დავუშვათ, რომ ოლიმპიადის დროს პუტინზე ხელგადახვეულ ბუმს ანაზღეულად წაბლეს (და მსგავსი რამ, რამაც ააფორიაქა პუტინის გონება. იგი ხომ მოწოდებით მზერავია. ამიტომ იგი ყოველთვის ტაქტიკურ, დროში შეზღუდულ ამოცანებს წყვეტდა (ადამიანების ლიკვიდაცია, მონამღვა, გატაცება და ა. შ.). ჩვენს მიმართაც იგი ტაქტიკურ დარტყმებს ახორციელებდა: გაზსადენების აფეთქება, ექსპორტის აკრძალვა, ვიზების გაცემის და თვითმფრინავების ფრენების გაუქმება, ქართველების ეთნოწმენდას მოსკოვში, ჩვენი საჰაერო სივრცის ხშირ დარღვევას, კონფლიქტის ზონებში ჯარების შეყვანას და ა. შ. ამიტომ სასწრაფოდ გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვა სტრატეგიული შეცდომა (უჩვეულო სიტუაციაში) საქართველოს მიმართ. აღნიშნულს ირიბად ადასტურებს დენიელ ფრინდის განცხადება - სააკაშვილმა არ გაითვალისწინა დასავლეთის რჩევა არ ჩართულიყო შესაძლებელ დაპირისპირებაში რუსეთთან. დაუმატეთ ამას კოსოვოს პრეცედენტი, რომელიც პუტინმა ადვილად გაითავისა. მეტი სატყუარა რა უნდოდა რუსეთს? აჰყვა რა ბუმს, მან თავი მახეში გაიბა, საქართველო კი დასაღუბად გაიშტა. მომენტის შესაფერისი იყო - ოლიმპიადის გახსნა. ესეც წინასწარი მოფიქრების შედეგია. თავის დაზღვევის მიზნით, პუტინის თავში ეტყობა მაშინვე იშვა მეორე გადაწყვეტილება: სეპარატისტების ცნობით შეეფერებინა ჩვენი ნატოში შესვლა. დაუმატეთ ამას მე-20 საუკუნის ბოლოს შობილი საფიქრალი: დღეს აშკარაა, რომ რუსეთი გარემორტყმულია მარყუჟით, რომელიც ნელ-ნელა ვინროვდება. ქვეყანამ მარცხი განიცადა ყველა პოლიტიკურ ბრძოლაში, სადაც მათი ინტერესები დომინირებდა - იუგოსლავიაში, აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიისპირეთში, საქართველოსა და უკრაინაშიც. დასავლეთის ზენოლით იქ რუსეთი საქმეს ჩამოაშორეს. ამის წინაშე რუსეთი უკვე უძღურია და იძულებულია იმპერიულ აზროვნებას დაემშვიდობოს. აწი მათ ქვეყნის გადარჩენაზე უნდა იფიქროს, ამიტომაც გაიბრძოლა ჩვენ წინააღმდეგ. ომში გამარჯვებით რუსეთმა მყარად მოიკიდა ფეხი ამიერკავკასიაში და ქვეყნის დაშლაც მომავლისთვის გადადო. დღეს მათ აღარ ეშინიათ, არც სეპარატიზმის, არც დასავლეთის ზენოლის. საომარ მზადებას რუსები ინტენსიურად დიდხანს აწარმოებდნენ. პროცესი სამაჩაბლოს სოფლების დაბომბვით დაიწყო. საქართველოს ხელისუფლების შეცდომამი შესაყვანად, ამავედროულად მათ დაგვემეს მშვიდო-

ბისმყოფელი ჩინოვიკის პოპოვის ვიზიტი ცხინვალში. მანქანის გაუმართაობის გამო ვიზიტი, ვითომ ჩაიშალა. ხერხმა გაჭრა და საქართველო ჩაება ომში. ქართველებისათვის ომი უცხო არ არის, გვიომია ერთმორწმუნე ბიზანტიასთანაც, მაგრამ ეს ომი დამღუპველი აღმოჩნდა ჩვენთვის. სტალინი ფეხზე წელს იდგამდა, როგორმე ექვსი თვით გადაენია ჰიტლერთან ომის დაწყების ვადა. ნაპოლეონის და ჰიტლერის დაპირისპირება რუსეთთან დიდხანს გაგრძელდა და მაინც მომხდურთა მარცხით დამთავრდა. ამჯერად რუსეთი შემოიჭრა ჩვენ საზღვრებში და სამ დღეში ბეჭებზე დაგვდო. ეს იყო ყველა მიმართულებით ჩვენი უთავო მოუმზადებლობის შედეგი. მიგანიშნებთ მხოლოდ რამდენიმე დამღუპველ მომენტზე. თავი დავანებოთ იმას, ვინ სად ისვენებდა ომის დაწყების მომენტისათვის. მარტივი ზედაპირული ანალიზიც კი გვიჩვენებს, რომ ძალზე დაბალი დონის ხელმძღვანელობა ვინილეთ ყველა მხრიდან, აქცენტები სწორად არ ისმებოდა. როცა სამშვიდობო ბატალიონის კონტუზირებული მეთაური კონსტიტუციური წესრიგის აღდგენაზე საუბრობს, ეს რა არის? მტერმა იოლად აიღო აქამდე აუღებელი კოდორის ხეობა. საზღვაო აკვატორიის დაცვის არტილერიას ერთი ყუმბარაც არ გაუსვრია. გვექონდა საერთოდ? სად იყო სასაზღვრო დაცვა. 9-10 აგვისტოს სევასტოპოლიდან საქართველოში რუსეთის ფლოტს რომ შემოეღნია უკვე შვიდში სევასტოპოლიდან უნდა გამოსულიყო. ვინ და რით დაამტკიცებს ამას. მოქმედებდა სამხედრო დაზვერვა? რატომ არ მოხდა ჩვენი ფლოტის ბათუმში ან თურქეთში გადაყვანა, მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის ზოგიერთმა ფორმამ მოახერხა თავისი ტექნიკის თურქეთში გადასროლა. ჩვენ კი მტერს ჩავაძირინეთ ნაპირზე მდგარი სამხედრო ხომალდები. უარესი სურათი დაიშორა სენაკში. აშშ-ი მოითხოვს ფოთიდან გატაცებული მათი კუთვნილი ჰამერების დაბრუნებას. ვინ აგებდა პასუხს ამ მანქანებზე? ვინ შექმნა პრაქტიკულად უმოქმედო რეზერვისტთა სისტემა და ა. შ. ეს კითხვები პასუხებს ელიან. ფაქტია, რომ ჩვენ არმიას ჰყავდა გულანთებული ვაჟკაცი მებრძოლები, რომლებმაც განაცვიფრეს მტერიც და ნეიტრალური დამკვირვებლებიც. მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო. დღეს ბევრი ამბობს საქართველომ მოიგო, მისი ხელმძღვანელობა კი დამარცხდაო. ცდებიან. ჩადით სამაჩაბლოში და ნახავთ რა მოვიგეთ. ქვეყანა შუაზე გაყოფილი. რუსეთის შეცდომებმა ჩვენ ხელისუფლებას სიცოცხლე შთაბერა. რუსეთთან ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაციული და პოლიტიკური გამარჯვება, რომელიც ზამთარში მალე გაუფერულდება. მსოფლიოს დახმარებით ოკუპანტების შრახვები სააკაშვილზე გამოვიტანეთ. ძნელი იყო ამის მიღწევა, მაგრამ რუსებმა თავიანთი გაუზრებელი ქმედებებით თავად გაილანძღეს თავი. დღეს რუსეთის ფედერაციის კვდომა სახიფათოა გარე სამყაროსათვის. ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ ჩვენ. ამიტომ უფრო აქტიურად იყოს ის ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც ევროსაბჭომ აირჩია. საინტერესოა რა მიმართულებით იმორავებს რუსეთი - გასწირავს დასავლეთთან წვალეებით ნაშენებ გარკვეულ ცივილიზირებულ ურთიერთობებს და არ დაიწყებს მათთან ერთ ენაზე საუბარს? თუ გააძევეს ევროსაბჭოდან ან გავიდა თავად (2000 წ. რუსეთს ჩამოერთვა ხმის უფლება ევროსაბჭოში ჩეჩნეთის გამო. მერა რა?), იგი მთლიანად მონღოლური სანყისების ჭაობში აღმოჩნდება, საერთაშორისო იზო-

აგვისტოს ომის შედეგად დენიელთა ფსიქიკურ მდგომარეობაზე ბიოლის ფონდი გამოკვლევა ნანა სუმბაძე

ჯანმრთელობა
ომის ხანგრძლივი შედეგი მოსახლეობაზე უპირველესად ჯანმრთელობაზე აისახება. ამასთან მოსალოდნელია მდგომარეობის დამძიმება დროის გასვლასთან ერთად.
ომის შემდეგ ადვილი არ ქონია კოლექტიურ ცენტრებში ეპიდემიის აფეთქებას ან დენილებთან ახალი დაავადებების გაჩენას, მაგრამ ადვილი ქონდა ჯანმრთელობის გაუარესებას, არსებული ავადმყოფობების მკვეთრ გამწვავებას.

ფსიქიკური მდგომარეობის მიზაზები: ტრავმატული გამოცდილება
89.6%-მა (92.0% კაცმა და 87.0% ქალმა) განიცადა დაბომბვა.
67.8% (70.0% კაცი და 66.0% ქალი) იყო საბრძოლო მოქმედებების მონაწილე.
50.0% (66.0% კაცი და 34.0% ქალი) იყო სიკვდილის მონაწილე.

ფსიქიკური მდგომარეობის მიზაზები: ლტოლვილობა
ლტოლვილობა - დამამცირებელი გრძნობა,
უსახლკარობა და უფულობა (14.7% არ აქვს რაიმე შემოსავალი) ქონების დაკარგვა

ფსიქიკური მდგომარეობა
აგრესიული ქცევის ზრდა აგრესიული თამაშები, დამტყვევება, ოჯახური ძალადობა, სიბრძნე ალკოჰოლის მოხმარების ზრდა კაცების 30.4% და ქალების 34.1% მიუთითებს მოხმარების გაზრდაზე შიში და შფოთი (დაბომბვის, ოჯახის წევრების ბედის), ენურეზიბავშვებთან. ზეგზვება, ფლემბეკი, რეაქცია გამახსენებელზე გლოვის ინტენსიური რეაქცია, ბრალეულობის გრძნობა (კაცებთან ვერ დაიცვალა ოჯახი, ვერ გამოიყვანეს ყველა) დამცირებულად ყოფნის შეგრძნება დეპრესიული მდგომარეობა უძილობა და ტრავმატული სიზმრები მეხსიერების პრობლემები მუტიზმი

ფსიქიკური მდგომარეობის მიზაზები: ხელისუფლების დამოკიდებულება
გაურკვეველობა და ინფორმაციის სიმცირე პასიურობა და უსუსურობის განცდა უპატივისცემლობა ხელისუფლების მხრიდან არ იყვნენ გაფრთხილებულნი საფრთხეზე. არ ანვიდინ ინფორმაციის დაბრუნებაზე და დახმარებაზე, მიჯჯვულნი არიან კოლექტიურ ცენტრთან.

გამოკითხვის მონაწილეები
1144 დენილიდან 47.1% იყო მამაკაცი და 52.9% ქალი.
კოდორის ხეობა 9%
ოსეთის მიმდებარე ტერიტორიას 31%
კონფლიქტის ზონა 60%

ფორმამ მოახერხა თავისი ტექნიკის თურქეთში გადასროლა. ჩვენ კი მტერს ჩავაძირინეთ ნაპირზე მდგარი სამხედრო ხომალდები. უარესი სურათი დაიშორა სენაკში. აშშ-ი მოითხოვს ფოთიდან გატაცებული მათი კუთვნილი ჰამერების დაბრუნებას. ვინ აგებდა პასუხს ამ მანქანებზე? ვინ შექმნა პრაქტიკულად უმოქმედო რეზერვისტთა სისტემა და ა. შ. ეს კითხვები პასუხებს ელიან. ფაქტია, რომ ჩვენ არმიას ჰყავდა გულანთებული ვაჟკაცი მებრძოლები, რომლებმაც განაცვიფრეს მტერიც და ნეიტრალური დამკვირვებლებიც. მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო. დღეს ბევრი ამბობს საქართველომ მოიგო, მისი ხელმძღვანელობა კი დამარცხდაო. ცდებიან. ჩადით სამაჩაბლოში და ნახავთ რა მოვიგეთ. ქვეყანა შუაზე გაყოფილი. რუსეთის შეცდომებმა ჩვენ ხელისუფლებას სიცოცხლე შთაბერა. რუსეთთან ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაციული და პოლიტიკური გამარჯვება, რომელიც ზამთარში მალე გაუფერულდება. მსოფლიოს დახმარებით ოკუპანტების შრახვები სააკაშვილზე გამოვიტანეთ. ძნელი იყო ამის მიღწევა, მაგრამ რუსებმა თავიანთი გაუზრებელი ქმედებებით თავად გაილანძღეს თავი. დღეს რუსეთის ფედერაციის კვდომა სახიფათოა გარე სამყაროსათვის. ეს საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ ჩვენ. ამიტომ უფრო აქტიურად იყოს ის ნელი მოქმედების ნაღმი, რომელიც ევროსაბჭომ აირჩია. საინტერესოა რა მიმართულებით იმორავებს რუსეთი - გასწირავს დასავლეთთან წვალეებით ნაშენებ გარკვეულ ცივილიზირებულ ურთიერთობებს და არ დაიწყებს მათთან ერთ ენაზე საუბარს? თუ გააძევეს ევროსაბჭოდან ან გავიდა თავად (2000 წ. რუსეთს ჩამოერთვა ხმის უფლება ევროსაბჭოში ჩეჩნეთის გამო. მერა რა?), იგი მთლიანად მონღოლური სანყისების ჭაობში აღმოჩნდება, საერთაშორისო იზო-

ლაცია მათ საბჭოთა სულს ისევ შთაბერავს და უფრო ბოროტი და საშინელი გახდება. გაიხსენეთ რა ხრიკებს არ მიმართა რუსეთმა ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ დღეს დასავლეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ ხანგრძლივი პერსპექტივა უდევს საფუძვლად. გავა დრო და ისევ მოგვიწევს ქვების შეგროვება. მაშინ, როცა რუსეთს ნეგატიური გავლენები ემოქმედება, ჩვენთვის ხელსაყრელი პროცესები იწყება. ამიტომ ფუჭია ვ. ჩურკინის ინიციატივა დაპირისპირების რუტინულ ფაზაში გადაყვანისა. დაიძლევა ბევრის ნიჰილიზმიც. აწი გამოჩნდება რა მექანიზმები გააჩნია დასავლეთს რუსეთის ბოროტების გზიდან ასაცილებლად (გავიხსენოთ, ერეკლეს ყველა თავისიანიც არ დაუდგა გვერდით. ახლა ჩვენი კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია ხდება). დღეს ვაცხადებულობა ომში რუსეთის სურვილი თბილისის აღებისა და სააკაშვილის დამხობისა. მაგრამ მოსკოვში ეტყობა ვილაცამ იაზრა, რომ ეს მხოლოდ პუტინის პირად ამბოციებს დააკმაყოფილებდა, რუსეთი კი საშვილიშვილოდ შეირცხვენდა თავს. (ამან ჩვენ ხელისუფლებას სიცოცხლე შთაბერა). ამიტომ რუსეთმა ჩვენი რეჟიმის პატრონობა პარტიომანიით გათანაგულ ქართულ ოპოზიციას შეატოვა. მათ სურვილი დიდი აქვთ, შესაძლებლობები კი არა. ბუნებრივმა პარტიულმა წინააღმდეგობამ გადასაძლია. ამისათვის სულ სხვა ყალიბის ხალხია საჭირო. მთელი საზოგადოება უნდა დაიარაზმოს და აგორდეს საერთო-სახალხო მოძრაობა; ინტეგრირება უნდა შევდლოთ.

90 წლის შემდეგ ევროპელები კეთილი მიზნებით დაბრუნდნენ საქართველოში. დასავლეთის მნიშვნელოვანი ეკონომიკური დახმარება აღორძინებს ქვეყანას (თუ ხეირიანად გამოვიყენებთ მილიარდებს) და ნაბიჯ-ნაბიჯ წავინევთ წინ. რაც უფრო ამაღლდება ჩვენი დემოკრატიის დონე, მით აუცილებელი შეიქმნება ჩვენთვის ნატო, რომელთანაც რუსეთმა უფრო მიგვაახლოვა. რუსები მალე იგრძნობენ ჩვენი მოკავშირე აშშ-ის

გაგრძელება მე-12 გვ.

ლიტერატურული ბჰმერდი

უდაბნოს ყვავილები და ჩემი ოთახი ესოდენ ყვითელი...

(დაინერა წმიდა ექვთიმე მთაწმინდელის (წ 1028 წ.) მიერ თარგმნილი წმიდა იოანე სინელის (იგივე კიბისალმწერელი, ილუმენი, წ 649 წ.) წიგნის „კლემასი, ანუ კიბეს“ წაკითხვის შემდეგ).



უდაბნოს ყვავილები

მდუმარების ხელოვნებასთან ზიარების ნეტარება - უდაბნოს ყვავილთა - ასკეტთა, მესვეტეთა, მოსაგრეთა, ბერ-მონაზონთა, ღმერთთაგან მამათა და წმიდა დედათა, ანუ უფლის რჩეულთა ხვედრია, რადგან მათ გულში დავანებულია იესო ქრისტე და შინაგანი ღოცების ეს დიდოსტატები, ღვთის მადლით, ისევე არწყულდებიან ცოდვებით დამძიმებულ კაცობრიობას, ვით უკაცრიელ უდაბნოს - მაცოცხლებელი ეფემერები.

ღირსი მამა ისააკ ასური ამბობს, რომ „სიტყვა ამა სოფლის იარაღია, ხოლო დუმილი - საუკუნო ცხოვრების საიდუმლო“.

მე კი, მდუმარების სიბრძნეს მოკლებული, კვლავ გულმოდგინედ ვლესავ ათას ბრძოლაში გამონრთობილ საწუთროსეულ იარაღს - სიტყვას!

ჟამიდან ჟამს, მარგალიტის მომპოვებლის თავანყვეტილი ჟინით შეპყრობილი დავცურავ სიტყვათა ოქროცურვილ ზღვაში, მთრთოლვარე თითებით ვაგრძობ ფეხმძიმე ნიჟარებს და ამ უკიდევანოდ ლილისფერი სამყაროს იღუმალეებს ვერ ვეღვი, რადგან სრულყოფილი სიტყვებით შექმნილი ლექსი ისეთივე იშვიათობაა, ვით საპარის უდაბნოში აყვავებული იერიქონის ვარდი, ან თუნდაც კოსმოსში განფენილი ბეთშოვნის მეცხრე სიმფონია...

მე ვეძებ სინათლეს, მზეს და ჰაერს... სივრცეს და ჰარმონიას!..

სუნთქვაშეკრული ვებრძვი კაციჭამია ზვიგენებს - კოჭლ რითმებს, თემურლენგივით ფეხის თრევით რომ დალასლასებენ რძისფერ ფურცლებზე და სიტყვასთან ჭიდილით გათანაგულს, სულს მიფორიაქებენ...

ხანდახან, შინაგანად დაბრმავებული, უმიზნოდ, ხელეების ცეცებით დავეხეტები უცხო სიტყვათა სანახებში და ვით გონიერ ავაზაკთან საომრად გასული უაბჯრო მემომარი, ვით სხვის ომში მოხვედრილი „თეთრი მონა“ - ვინმე მამულეტი, საკუთარი ხელით ვითხრი სამარეს, რადგან, უღმერთობის ჟამს, იშრტება ჩემი სამელნე და კურთხევის გარეშე მოქმედი ჩემი კალამი ახლად შობილი ბატკანივით უმწეო და უსუსურია...

ხე ჯერ ყვავილს იკეთებს, შემდეგ - ნაყოფს, მამ, მე, ესოდენ უღირსი, შინაგანი ღოცვის, აღსარებისა და ზიარების გარეშე, ვით შევძლებ ღვთისთვის სათნო ნაყოფის - მინდვრის ყვავილივით მშვენიერი და ბადაგივით საამო ლექსის შექმნას?..

ჩემი ოთახი ესოდენ ყვითელი,

სიჩუმეა, მაგიდაზე დევს ღმერთთაგან მამის, წმიდა იოანე სინელის მიერ ეთილად ნაღვანი წიგნი - ოცდაათი სულიერი საფეხურის შესახებ (მსგავსად უფლის ხორციელი ასაკისა, რადგან უფალმა იესო ქრისტემ ოცდაათი წლისამ ილო ნათელი).

ამ წიგნს ბერ-მონაზონთა მეორე სახარებასაც უწოდებენ, ხოლო წიგნის ავტორს, წმიდა იოანე კიბისალმწერელს, მეორე მოსედ მოიხსენიებენ სინას მთის მამები.

ამ „ცად აღმყვანებელი სათნობათა კიბის“ შეცნობის შემდეგ, კადნიერი სურვილი მიჩნდება, რომ წმიდა იოანესავე დამდინდეს ცრემლის წყარო, ღვთის სიყვარულით აღჭურვილმა დავერითო საწუთროსეული ვნებათა ცეცხლი - ნაცრად და მტვრად ვაქციო ის, სულიერი სისუსტეები სიკვდილის ხსენებით უჩინარყო და მიუფახლოვდე ზეცას...

მინდა, რომ კეთილ საძირკველზე აგებულ და სათნობის სამ სვეტზე დაყრდნობილ სახლს ვგავდე, ხოლო ცხოვრების წესად მქონდეს: უმანკოება, მარხვა და სიმინდე...

ეგვიპტის ცეცხლიდან გამოსვლა და ფარაონის საშინელი მონობიდან გაქცევა მსურს, მაგრამ სულიერი მოძღვრის გარეშე შთინილა და ცოდვათა ზღვაში ჩაძირულს, ეს არ ძალმიძს...

მინდა, რომ ჩემთან მოვიდეს იესო, ლაზარესავით შეკრული ჩემი გონება ცოდვის სახვევებისგან გახსნას და ანგელოზების მეშვეობით გამიშვას ნეტარ გზაზე... მაგრამ, ამაოდ!..

მე მრისხანე ქარიშხალში გემიდან აბობოქრებულ წყალში გადავარდნილ განწირულ არსებას ვგავარ და ბიბლიური ლოტის ცოლივით ცნობისმოყვარეობით შეპყრობილს, მუდამ უკან გამიბრის თვალი...

მიძიე ნუთუბში ჩემს თავს შევძახი: უკანმოუხედავად გაიქეცი, თინათინ, და სადმე, განმარტოებულ სენაკში მოიძიე კეთილსურნელოვანი უდაბნოს ყვავილები: ღრმა სინანულის, გონიერი ღოცვისა და მშვენიერი მორჩილების ხელოვნება!

და ვებრძვი წარსულის სურათებს, ბნელქმნილ აზრებს, ფანტაზიებს, შთაბეჭდილებებს, წარმოსახვებს; ქვეცნობიერ, ფარულ სურვილებს და საკუთარ სხეულში ტყვექმნილი, დასჯილი ბავშვივით ვტირი...

ბრმა კნუტივით დავეხეტები დედამინაზე და ვეძებ წყაროთა წყაროს - ნაყურთს წყალს, ისეთივე სუფთას და ანკარას, ვით კოლას ხეობაში მობილი მტკვრის უპირველეს მასაზრდოებელი წყარო - აიაზმას!..

წყაროთა წყაროს სათავე კი, მალა, ზეცაშია!.. იგია ჩვენი წყლულების მალამო და სალბუნი, ყოვლადმონწყალე, გულისხმიერი მამა ჩვენი და ღმერთი ჩვენი - იესო ქრისტე!

მამ, რად ვეძებ მინაზე იმას, რაც ვარსკვლავებშია?.. ან ასე რად მიყვარს ჩემი ოთახი, ესოდენ ყვითელი?

ან აკვარელით დახატული ჭრელი თევზები, ზღვის კენჭები, მზისგულზე გადაბრდვილებული ლილიფარები, ელვარე ხმლები, ფარდავები, ფარები, ჯაჭვის პერანგები, თავბრულდამხვევ სიმბოლეზე აგებული ციხე-კოშკები, დიდი პოეზია, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა და ნაცრემლარ სარკმელზე მომსკდარი ვეება ალუბალი?..

ზეციური დედოფალო, სამოთხიდან განდევნილს, ეს მაცდური სამზეო ასე რამ შემეყვარა?..

ბოჰნიას კორიდა

დუმილი ჭარბმეტყველების შემაკავებელი ჯვბირი, ენის ფხიზელი მცველი და ბრძენი მეციხოვნეა.

მე კი არ ძალმიძს დუმილი, კვლავ სიტყვათა მისტიკურ ზღვაში ვიძირები და ჩემს სახეს, ვით ნაავდრალ ცას, დაუნდობლად სერავენ უძღურების ლურჯი ცრემლები...

სიტყვები!.. სიტყვები!.. სიტყვები!.. სიტყვათა კორიანტელი!.. სიტყვათა ოკეანე!.. სიტყვათა სიმფონია!..

სოფლის ამოვებაზე მიჯაჭვული, ასე ვფიქრობ: სიტყვა ხარია! სიტყვასთან შერკინება - სისხლიანი კორიდა! ხოლო პოეზია - საფერავისფერ ღამეში დაღვრილი პოეტის სისხლი...

და მიპყრობს შურისძიების მძლავრი სურვილი!.. ვენდეტა!.. მიპყრობს მრისხანება! - სულში აბობოქრებული არანმინდა ქარი...

ნუთისოფლისგან გაამპარტავებულს - კადნიერების, ურჩობისა და თავნებობის მაცდური ვნებით დამძიმებულს, მაინყდება, რომ ღვთის ქმნილება ვარ და არა მარხისაგან მართული ვინმე მემომარი ვერძი და, მწუხრის ღოცვის ჟამს, უფალთან განმარტოების, გლოვისა და სინანულის ნაცვლად - მდებრი მატადორის უტიფრობით შეპყრობილი, თმაგამლილი გავდივარ ღორთქო ბალახის

გამაბრუებელი სურნელით გაჟღენთილ არენაზე და ნახევრად შემლილ ხართან საბრძოლველად ვემზადები... პოეზიის კორიდა!

ო, როგორ მზიბლავს ჩემი შინდისფერი სამოსი და საგანგებოდ აღესილი საბრძოლო იარაღი - ოქროს კალამი! როგორ მომწონს უთამამეს მზერათა უტყვი შეჯახება, ლამის ყელში მობჯენილი გულისცემა და მძვინვარე ხარის არათანაბარი, გახშირებული სუნთქვა...

ვუწყვი, რომ თვით უმცირეს შეცდომასაც კი, შესაძლოა საბედისწერო შედეგი მოჰყვეს და ხარის შემზარავ რქებზე წამოგებული, მდინარის პირას დაგდებული დანინწკლული კალმავით ავფართხალდები...

ვუწყვი და, მაინც, არავის და არაფერს ძალუძს ჩემი შეჩერება, რადგან პოეტები ბრძოლის ველიდან არ გარბიან! - ისინი იმარჯვებენ ან მკერდშელენილი ეცემიან ნაომარ მინდორზე...

ო, ეს ნასისხლარი პოეზიის კორიდა, დალილი ხარის შესუსტებული ქედი და აღესილი მახვილით მონაგები ველური ყაყაჩოები...

ო, ეს შემზარავი, სასტიკი, მოხერხებული დარტყმები და, მოულოდნელად, ჩემ გარემო აცეკვებული ფერმიხდილი ბალერიანები...

არაამქვეყნიური პეიზაჟები, მისტიკური სურათები - უდაბნოს ცხელი ქვიშა... პოეზიის კოცონი... მოცარტის აკორდები... მთვარის ბილიკი ყვითელ ქვიშაზე... გოეტეს „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“.. დატენილი დამბაჩა... თემიდას სასწორი... ქანცანყვეტილი ცხენები... ვატერლოო!..

რა ხდება?.. დედამინამ შეწყვიტა მზის გარემო მოგზაურობა თუ დრო შეჩერდა? ან უსაშველოდ ვერცხლისფერ ღრუბელს ვინ გადააცვა წითელი მოსასხამი?..

მე დაჭრილი ვარ. ჩემი ღამაში შავ-ლურჯი თმა ეფინება ნამიან ბალახს...

სადღაც, სულ ახლოს, სასიკვდილოდ განწირულ ხარს უმღერის ბროწეულის ყვავილისფერი მანტიით შემოსილი მონსერატ კაბალიე...

წითელი სივრცე!.. წითელი მზე!.. წითელი ხარი!.. რა შესაქმნება ამ სასაკლაოზე?

არ ვიცი!..

ქ ა ა ა ა ა

სიტყვა?.. სიტყვა გასახდენი კვიცია! პოეტი - მათრახმემართული მხედარი! ხოლო ზომიერება და შინაგანი წონასწორობა - სიტყვის ლაგამი და ალგირი, რადგან ალგირახსნილი ცხენის სითამამით გაფრენილმა სიტყვამ შესაძლოა უფსკრულში გადაჩეხოს, ან სულაც საპყრობილემდე მიიყვანოს პოეტი.

მე ვყოფილვარ საპყრობილემი!.. სიტყვა ვაზია! პოეტი - მევენახე! ქართული ლექსი კი - საღმრთო ღვინო, დიდი ხნის წინათ, ჩემს საგვარეულო ზედაშემი ჩანურული მამაპასიეული რქანითელივით საამო და სურნელოვანი.

მე დამინურავს საღმრთო ღვინო!.. სიტყვა ბასტილია! სიტყვაზე იერიშის მიტანა - თავზეხელაღებულ მემომარსა და ძალგულოვან მეციხოვნეს შორის გამართული სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლა!

ხოლო ძარღვიანი ლექსი - ამ მრისხანე ციხესიმაგრის ნანგრევებზე აღმართული ობელისკია წარწერით: „აქ ცეკვავენ!“ მე არაერთგზის მიცეკვია ბასტილის ნანგრევებზე!..

წვიმს

ჩემს გულში ანგელოზი გალობს. მოდის დიდი სიმშვიდე, მოდის ღმერთი და მიწიდან ზეცისკენ აღმართული სათნობის კიბის პირველი საფეხურისკენ მიხმობს.

უფალო, მომიტევე მრავლისმეტყველება! მოთმინებისა და მორჩილების ჯაჭვის პერანგით შემოსე და თუ ოდესმე ზღვა გადავცურე, ნავსადგურში არ დამახრჩო, გევედრები!..

კალამი დამილოცე, დედოფალო!

თინათინ მღვდლიაშვილი

მ ე ლ ო ღ რ ა მ უ ლ ი ჩ ა ნ ა ო ო რ ე მ ბ ი

კოგა ჯუკია



მერე მესტუმრე

არ მითხრათ, რაღა დროის სიკვდილის ღამეა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარო. დამაცადეთ მასთან მარტო ყოფნა. გულწრფელად გთხოვთ. აჰა, მარტონი ვართ. მე და შენ - ჩემო სიკვდილის ღამე. შეხედე ცას, ვარსკვლავები როგორ ალაამაზებენ სამყაროს გუმბათს. შეხედე მთვარეს, როგორ დალაცლაცებს მისი ნათება ზღვის ტალღებზე. შენ კი ამ სილამაზესთან რა ხელი გაქვს?! დუმხარ? დუმილი რაღა მოსატანია. შენ ხომ შიშის ზარსა სცემ კაცობრიობას. სწორედ მაშინ მოისურვებ სტუმრობას, როცა ბედნიერების ვარსკვლავს ცერზე შედგომითაც კი შეახებ ხელს. რატომ ხარ ასეთი ბოროტი? ნუთუ არ გყავს დედა? მაშ, როგორ გაჩნდი? დრომ მოიტანა? შენ ხომ დროისა და ბედისწერის სახელით იკვლევ გზას და მერე... მერე ტოვებ ცრემლს, დარდს, ნუხილს... ჩემთვის როცა მოიცლი, ნუ იქნები

ცივი, როგორც გჩვევია. მოდიხარ, ხომ კარგი, მაგრამ თბილ ღამედ მეწვიე. სიცოცხლესთან განშორების წამს ნუ მიქცევ ნამების წამად. მერე, მერე მეც გადაგიხდი ამ სიკეთეს, მხოლოდ ამ წამის დადგომამდე. მოგიძღვნი ლექსებს, როგორც არასასურველ, მაგრამ გარდაუვალ რეალობას. ხედავ, არავინ მეძახის, ისე დიდხანს დამტოვებს შენთან მარტო. მაგრამ, ნუ იჩქარებ. ჯერ კიდევ ვახსოვარ, ჯერ კიდევ ვჭირდები, თუნდაც ვარსკვლავებს, მთვარეს, ზღვას და... ჰოდა, ნავედი სიცოცხლესთან. დროებით, მაგრამ მარადიულად, რადგან ამსოფლად წამით სიყვარულით თრობა მარადისობის ტოლფასია. მე არაერთხელ დავმთვრალვარ წამით და შემობიჯებია მარადისობის სამყაროში. ახლაც იქით მივიჩქარი. დამაცადე, კიდევ ერთხელ, თუნდაც უკანასკნელად დათრობა. და მერე, მესტუმრე, ოღონდ თბილ ღამედ, ვარსკვლავებით მოჭედული ცით და მთვარის ნათელით, სიკვდილის ღამედ.

ბედნიერების გასაღები

ვექებ. დიდი ხანია ვექებ. ვერსად ვიპოვე. სად დავკარგე, არ ვიცი, მის გარეშე რა უნდა ვქნა?! ან რაღა ცხოვრება, თუ მას დაკარგავ?! ვცადე სხვა, ვერ მოერგო, ვერ შეძლო ამ ცდამ, გამოელო ნაყოფი. ნუთუ ისე გაილევა ჩემი ცხოვრება, რომ ვერ ვიპოვი, ვერ შევძლებ, ნერტილი დავუსვა ამ უსასრულო ძებნას. ვზივარ და ვფიქრობ. ვმობრაობ, ვფიქრობ. ასე იცისო, მეუბნებიან. თავს გაძებნიხარ და ისეთ დროს ვაპოვებ, როცა ხელჩაქნული დავშვები მონყვეტილი. ჯერ შორს ვარ ამ მდგომარეობისგან, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვიღლები. არა, მისი ძებნა რა მოსატანია, ეს პროცესი სრულებითაც არ მლღის. დავიღალე გარშემოყოფთა უაზრო მზერითა და გამომეტყველებითი კითხვით - ეტყობა, კარგად არ ეძებ? ეჰ, რა იციან, მათ რომ რამდენი ღამე მითენებია მასზე ფიქრსა და ძებნაში. ვიპოვი, აუცილებლად ვიპოვი და გავიხარებ. და ერთი ხელისმოსმით ნავშლი უაზრო მზერათა გაშვებულ სახეებს. დავრჩები მასთან მარტო, მოვუყვები ჩემ მიერ განვლილ ურთულეს გზაზე. თუ რა ცეცხლთან მიწვედა თამაში. რამდენჯერ ჩავები სასტიკ ორთაბრძოლაში. ყოველთვის ღირსეულად მეჭირა თავი. ამ ღირსებამ მიმიყვანა იმ ნანატრ წამთან, რომელსაც მისი პოვნა

ჰქვია. შემდეგ? შემდეგ მოვარგებ გულს ბედნიერების გასაღებს, ერთად შევალეთ გულის კარს, ფრთხილად, ჩუმი ნაბიჯებით მივუახლოვდებით გულის ტახტს, და ერთმანეთს სიყვარულში გამოვუტყდებით. მერე კი... გთხოვთ, ფარდა დაუშვათ... მარტო დაგვტოვებ ბედნიერების გასაღებმორგებული ტრფობის ტუსაღნი.

დამარცხებული

ხვალ შემოვა გაზაფხული. მე კი ისევ მარტო ვარ. ვერც მოვასწარი, ჩემთვის ძვირფასი ადამიანისათვის გადამეფიქრებინა ჩემგან წასვლა. ის არ დაელოდა ჩემს გულისთქმას. ადგა და წავიდა. ისე, რომ უკანაც არ მოიხედა. დაივიწყა განვლილი გზა. დაივიწყა ის ღამაზი ნუთები, რომელსაც ორივენი შევხაროდით. წავიდა, რადგან ასე მოისურვა. სიყვარულს მოსვლა უძნელდება, თორემ წასვლაზე გადაწყვეტილებას ადვილად იღებს. განა იმიტომ, რომ წასვლა მარტივია, არა, დარჩენაა რთული. როცა გგონია, ეგაა და ცაზე ვარსკვლავებს წყვეტ, სწორედ მაშინ იცის ბედისწერამ მუხთლად შემობრუნება. არაფერი იმაზე მტკივნეული არ არის, როცა ბედნიერების ტატნობიდან უმალ ეცემი უბედურების ტრამალზე. მეც ასე მომექცა ბედისწერა. ვხვდები გაზაფხულს დარდიანი. ღიმილი რომ ღიმილია ისიც კი არ მემეტება გარშემომყოფთათვის. იმდენად მარტო ვგრძნობ თავს, რომ ეს სამყარო აისბერგის ხატად მესახება. სად გაზაფხული და სად აისბერგის გაქვავებული მზერა? ეჰ, სიცოცხლეო, რარიგ ტკბილი ხარ და რარიგ მწარე, რარიგ მშვენიერი და რარიგ უსახური, რარიგ ცეცხლოვანი და რარიგ წყალწაღებული... კიდევ ერთ გაზაფხულს ვხვდები დამარცხებული. სიყვარულმა დამამარცხა და ჩემს გადათელილ გულზე ეხლა ისეთი სურათია, როგორიც მიტოვებულ საფლავეზე გვინახავს ხშირად. მოვა ვინმე და გამარგლავს ჩემს გულს სარეველებად მოდებული ფიქრებისაგან? არ ვიცი. გაზაფხული ამრავლებს სარეველებს, ანუ ჩემს გულშიც იმატებს მარტოობისგან მოყენებული გულისტკივილი. იმატებს და შეიძლება დასრულდეს... გაზაფხული კი მოვიდა. ის მარად მოვა და მოეფერება, გაალამაზებს და გაახალისებს სამყაროს. მე კი მდუმარედ გაუყვები გზას სასაფლაოსკენ, რომელიც ისევ სარეველა მოდებული მეგულება.

ლ ე მ ს ე ბ ი

ზაიჩა ზიჩისოქე

უმაღურობის
როდვა უფულს
ჭავას და რხინვალს,
ზილნი მუქარა:
გვიმზადებენ კვლავ
რუსულ ზორკილს.
ქარში ტორტმანებს
საქართველოო
და შობის დილას
ზეერთ თოკი,
იუღას თოკი.
სისხლით ნერს ერი
თავის, მიძიმე ზიოგრაფიას
ვით წინაპარნი -
ზასიანის, ხრესილ-მარაზდის,
... თოკი ირნევა!
(სამაჩაზლოს ურვა ქარს მიაქვს),
მავრამ არვინ ჩანს
მომნანიე უღვთო ღალაჭის!..

ვისთვის ჰატარა ქალაქი ხარ,
თუ... რევიონი
ვისთვის საძვალე - ზოლო ხარკი
ჰადესს რომ მისჯა,
- ჩვენთვის ურვა ხარ გამეცების
- და ირონიის
საქართველოოსთვის სხვა დარდი ხარ
იჯენის მინავ!
- იყი?
- არე იყი, ვინ იყოს ის -
მსხვერპლი ჰილატეს, წამდე მართალოი,
მტყუანივით მინცივ გვემული,
- ოჰ, იჯევანო!
განგებისგან უპირატესო
მადლოობა შენდა,
შეფარებდა
იმ ოტეზულის!..

1992 წ. იანვარი

მ კ ო ნ ო მ ი კ ა

გლობალური საბაზრო ეკონომიკის კრიზისის მზარდი გავლენა საქართველოს შრომის ბაზარზე და დასაქმებულთა და უმუშევართა უფლებები

ლავით არაბიძი

გლობალური საბაზრო ეკონომიკის კრიზისი რეალურად და საერთაშორისო საფინანსო სისტემაში საქართველოს ეკონომიკის არცთუ მჭიდროდ ინტეგრირების ფონზეც კი, მისი გავლენა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე სულ უფრო მძიმედ აისახება. მიუხედავად საერთაშორისო ფინანსური დახმარებისა, რომელიც ჩვენს ქვეყანას გაენევა მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ეკონომიკური განვითარება უკვე მნიშვნელოვნადაა შეფერხებული და გამოყოფილი 4,5 მილიარდი აშშ დოლარი საკმარისი არ იქნება 2008 წლის აგვისტოს ომამდე არსებული კონდიციების აღსადგენად. ამის მიზეზი ისაა, რომ გასული წლის ოქტომბრის თვეში ბრიუსელში გამართულმა დონორთა კონფერენციამ, შეაფასა და გაითვალისწინა მხოლოდ ის ზარალი, რომელიც რუსეთის აგრესიის შედეგად მიადგა საქართველოს ეკონომიკას. 2008 წლის სექტემბერ-ოქტომბერში მსოფლიო ბანკის, გაეროსა და ევროკომისიის ერთობლივი ექსპერტთა ჯგუფის მიერ „საჭიროებათა შეფასება“ განხორციელდა გლობალური კრიზისის განვითარებაზე და მას არ უმსჯელია საქართველოს ეკონომიკაზე კრიზისის შესაძლო გავლენის შესახებ. მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები 2008 წლის აგვისტოს შედეგად გაუარესებული საინვესტიციო გარემოს, დაზიანებული ინფრასტრუქტურის, საბანკო სექტორში შექმნილი პრობლემების და სხვა მიზეზთა გამო, შიშობდნენ 100 000 სამუშაო ადგილის დაკარგვას. გლობალური საბაზრო ეკონომიკის კრიზისმა კიდევ უფრო დაამძიმა უმუშევრობის სურათი. უმუშევრობის პრობლემასთან ბრძოლას ართულებს ქვეყანაში შრომის ბაზრის სფეროში კვლევების და სანდო, ხარისხიანი სტატისტიკური მონაცემთა ბაზის არარსებობა. საბაზრო ეკონომიკის კრიზისის პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს მსგავსი სახის ინფორმაციის სისტემატურ გამოქვეყნებას, რაც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მოვლენათა განვითარების პულსს გრძობდეს და საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩაერიოს სიტუაციის კორექტირების მიზნით.

2008 წლის ნოემბერში 20 ყველაზე დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე ვაშინგტონში, მიღწეულ იქნა შეთანხმება გლობალური ფინანსური სისტემის ახალი არქიტექტურით ჩამოყალიბების აუცილებლობის შესახებ. აღნიშნული მოლაპარაკებების დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელებიც, გადაწყდა, რომ გლობალური საფინანსო სისტემის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნის საკითხში წამყვანი როლი საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაეკისრებოდა. ამ უკანასკნელის მმართველი დირექტორის დომინიკ სტრაუს-კანის, ისევე როგორც მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის რობერტ ზელეკის მოსაზრებით, გლობალური კრიზისის პირობებში შრომითი უფლებების შეზღუდვა უფრო მეტი ლიბერალიზაციის ან დერეგულაციის სასარგებლოდ, გაუმართლებელი ნაბიჯი იქნებოდა. ასევე მათი საერთო პოზიციაა, რომ საფინანსო ბაზრები და კაპიტალის გლობალური მიმოქცევა გარკვეულ რეგულირებასა და მონიტორინგს უნდა დაექვემდებაროს, რათა გამოირიცხოს ახალი სპეკულაციური სქემები და ეკონომიკის ისეთი მოდულები, რომელთა მიზნითაც განვითარდა გლობალური საფინანსო კრიზისი.

ნებისმიერი კრიზისის დროს ყველაზე მეტად დასაქმებულნი ადამიანები და მათი ოჯახები ზარალდებიან. ასე მოხდა გლობალური სასურსათო და სანავის კრიზისის დროს, ასე ხდება ახლაც. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანალიზით, რომელიც გაკეთდა გლობალური

ფინანსური კრიზისის დასაწყისში, 20 მილიონი ადამიანი შეუერთდებოდა მსოფლიოში უმუშევართა რიგებს, ხოლო დამატებით 40 მილიონი ადამიანის შემოსავალი შემცირდებოდა 1 აშშ დოლარამდე დღეში, ანუ იცხოვრებდა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ. თუმცა, შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ აღნიშნული შეფასება შესაძლოა ძალზედ რბილი აღმოჩნდეს, ანუ სიტუაცია გაცილებით უფრო გაუარესდეს.

ისმის კითხვა, ამ პირობებში რა უნდა გაკეთდეს საქართველოში? სახელმწიფო ბიუჯეტისა და საერთაშორისო დახმარების მნიშვნელოვანი ნაწილის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისაკენ მიმართვის გარდა ინვესტიციები უნდა განხორციელდეს განათლება და ჯანდაცვაშიც, რაც სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან კომბინაციაში მოთხოვნის ზრდის სტიმულირებას მოახდენს. პარალელურად უნდა გატარდეს ღონისძიებები საგადასახადო და ხარჯვის პოლიტიკაში, რათა გაიზარდოს მცირე შემოსავლების მქონე ადამიანების მსყიდველუნარიანობა. საჭიროა დღეს ეკონომიკის გაჯანსაღებისაკენ მიმართული თანხებით იქმნებოდეს სამუშაო ადგილები ღირსეული და სამართლიანი შრომის პირობებით, არ უნდა მიეცეს უკონტროლო ხარჯვის საშუალება სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროექტების ბენეფიციარ არც ერთ კერძო მენარმეს.

კრიზისულ სიტუაციას ეკონომიკაში, ყოველთვის მოსდევს სოციალური დაძაბულობის ესკალაცია. მსგავსი კრიზისებიდან გამოსავალს განვითარებული საზოგადოებები სოციალური დიალოგისა და საზოგადოებაში სოლიდარობის განმტკიცების გზით აღწევენ. არსებული კრიზისი, რომელიც ემუქრება საქართველოს, არის ყველაზე საშიში იმ კრიზისებს შორის, რომელიც ოდესმე განუცდია მსოფლიოს.

ამ ფონზე სახელმწიფომ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამსახურიდან დათხოვნილებს, ასევე მათი ოჯახების პრობლემებს. გვესმის რომ, შეუძლებელია მოკლევადიან პერიოდში დასაქმო მასობრივი დათხოვნილების შედეგად უმუშევრად დარჩენილთა უმეტესობა. მაგრამ ჩვენს თანამოქალაქეებს უსწრაფესად სჭირდებათ დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოდან ემიგრაციის ახალი ტალღა მოსალოდნელია, რაც ქვეყანაში არ უნდა დაეშვას, ვინაიდან დემოგრაფიული სიტუაცია ისედაც კატასტროფულია: გაეროს 2008 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა წელიწადში 40 ათასით მცირდებოდა. მდგომარეობის გაუმჯობესების ვარაუდის საფუძველი კი არ არსებობს.

უმუშევრობის შემდგომი ზრდისა და სიღარიბის გაღრმავების თავიდან ასაცილებლად, რეალურ საშუალებად დამსაქმებლებსა და დასაქმებულთა შორის შეთანხმების მიღწევა მიგვაჩნია. მიუხედავად შრომით და სანარმო ურთიერთობებში კანონმდებლობის არასრულყოფილებისა, რომელიც ხელისუფლების სუბიექტური დამოკიდებულებით ბიზნესის მიმართ, დაუბალანსებელია დამსაქმებლების სასარგებლოდ. ამ სიტუაციაში დაუმეგობრებელია მხოლოდ საბაზრო კანონებისა და ლიბერალური მიდგომების შესაბამისად მოქმედება. დღეს სოციალური სამართლიანობის პრინციპებით ხელმძღვანელობა ქვეყნისა და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ნიშანია. გლობალური საბაზრო ეკონომიკის კრიზისის ზრდის პირობებში აუცილებელია:

1. დაწესდეს უმუშევრობის შემწეობა, იმ ოდენობით, რომელიც უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს უმთავრესი მოთხოვნების დაკმაყოფილების საშუალებას მისცემს და იმავდროულად საზოგადოებისა და სახელ-

მწიფოს მხრიდან თანადგომას და გულთბად განწყობას აგრძობინებს. აღნიშნული ნაბიჯი გაზრდის ქვეყნის შიგნით მცირე მენარმეთა მიერ წარმოებულ პროდუქციასა და მომსახურებაზე მოთხოვნას, ხელს შეუწყობს სამომხმარებლო აქტივობის გაზრდას და საცალო ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ მომარაგების ქსელში დასაქმებულთა სამუშაო ადგილების შენარჩუნებას.

2. გაიზარდოს დამსაქმებლების სოციალური პასუხისმგებლობა მათი ინიციატივით დასაქმებულთა გათავისუფლების დროს კომპენსაციის ოდენობის გაზრდის გზით. მიუთმეტეს, რომ კერძო სექტორში დასაქმებულები ამ კუთხით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან საჯარო სექტორში დასაქმებულებთან შედარებით (კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საკარო მოხელეებს დათხოვნის შემთხვევაში 2 თვის გასასვლელი დახმარებით უზრუნველყოფს, ხოლო კერძო სექტორში მომუშავეებს მხოლოდ 1 თვის ხელფასი ეძლევათ).

3. ორსულობისა და მშობიარობის გამო დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხი სამართლიანად უნდა გადაწყდეს. დახმარების 600 ლარიანი მაქსიმუმი დაწესდა 2006 წელს, მაშინ როცა დასაქმებულთა ხელფასიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაკავებული სამემოსავლო გადასახადი 12% იყო. ამჟამად, რომ იგივე სამემოსავლო გადასახადის 20-25%-მდე გაზრდის შემთხვევაში აღნიშნული განაკვეთი იგივე არ უნდა დარჩეს. უსამართლობის შეგრძნებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ბოლო წლების განმავლობაში სამომხმარებლო და მომსახურების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა, შესაბამისად გაიზარდა საარსებო მინიმუმის ოდენობა, რომ არაფერი ვთქვათ სამომხმარებლო კალათაზე. აღნიშნული საკითხის განხილვისას ხელისუფლებამ და საზოგადოებამ ქვეყნის დემოგრაფიული პრობლემის ადეკვატური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

4. კოლექტიური მოლაპარაკებების, როგორც სოციალური დიალოგის გზით სანარმო კონფლიქტების გადაჭრის მექანიზმის როლის გაძლიერება, ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა აღნიშნული მექანიზმის ეფექტურად განხორციელებაში შექმნილ კრიზისულ ვითარებაში სოციალური მოვიდობის უზრუნველყოფა მხოლოდ სამართლიანი სოციალური პარტნიორობის პრინციპის საფუძველზე შესაძლებელი.

5. სამედიცინო დაზღვევის გაძვირების შედეგად, ამ სასიცოცხლოდ აუცილებელი მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. დღეს აუცილებელია გაიზარდოს ბიზნესისა და სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. დამსაქმებლებისათვის სავალდებულო უნდა გახდეს მათ მიერ დასაქმებულთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მიერ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფთა სამედიცინო დაზღვევა არასაკმარისი ღონისძიებაა, ვინაიდან სხვა დაბალი ან თუნდაც საშუალო შემოსავლების მქონე ოჯახებისათვის ერთიორად გაძვირებული სამედიცინო მომსახურება, მათაც ლატაკების კატეგორიაში აქცევს. საბაზრო ფუნდამენტალიზმის დოგმებზე აშენებულმა სისტემამ კრახი განიცადა. გლობალური საბაზრო ეკონომიკის კრიზისი, საზოგადოებასაგან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს, დღეს დროა, საზოგადოებამ თანადგომისა და სამართლიანობის, მცნებების, ყოველდღიურ ცხოვრებაში უმთავრეს სამოქმედო პრინციპებად გამოყენება ისწავლოს. ამ მიზნით აუცილებელია საერთო ეროვნული სოციალურ-შრომითი უფლებების დამცველი მოძრაობის გაშლა, რათა საქართველო არა თუ არ ნაილეკოს კრიზისის გამო, არამედ თვისობრივად განახლდეს. იქცეს ეროვნული და სოციალური ღირსების ქვეყნად.

ღღეს საცაბტოულთ სატტგის შებატოემით სულდგმულთმს

დასაწყისი მე-9 გვ.

ქართველოს; ახლა შაშხანამ გაისროლა და ერთი „ბარტყი გადმომიგდეს“ პრინციპით ქვეყანა თავზე გვეგვრევა. გამოვფხიზლდეთ ქართველებო, გამოვფხიზლდეთ! მოვეგროთ გონს! განვთავისუფლდეთ უარყოფითი კომპლექსებისაგან (მაგალიტად ისეთი, როცა წარმატებული ბიზნესმენები პოლიტიკას მიეღობიან. რა, პოლიტიკაში მართლა არამზადები მდიდრდებიან? - ტრუმენი). მივატოვოთ ჩვენი უსაზღვრო დიდსულოვნება და სტუმართმოყვარეობა. გავუფრთხილდეთ ჩვენ ეროვნულ ინტერესებს. ყველას ვიღებდით საცხოვრებლად. რა მოვიგეთ ამით? ნ. ნიკოლაძე ფიქრობდა, რომ დადგებოდა დრო და ყველა თავის საცხოვრისს დაუბრუნდებოდა. ასე არ ხდება. უსაზღვრო სტუმართმოყვარეობა დემოკრატია ვერ ეგუება. სჯობია გავამკაცროთ ჩვენთან შემოსახლების პირობები. მაგალითი სარკოზის საფრანგეთიდან შეიძლება ავიღოთ. აღვადგინოთ ჩვენი დაკარგული მეობა, ჩვენი თავი ჩვენადვე დავიმკვიდროთ. მაშინ ადვილად შემოვუვლით სეპარატისტებს თავიანთი მფარველიანად.

გოჩა დანიელია

„ეკლესიაში ანაფენია საიღუმლო და ღაფანული“

საგოლოო ზეჲილი კათოლიკოს-პატრიარქის

მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი (დაბადებული 1909, გარდაიცვალა 1991 წლის 25 მარტს. დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში)

უპირველესად ის გვიჩვენებს, რომ ამ წერილს ჩვენ მივანვიძლი ყველა და-ინტერესებულ ქართველს, რამდენადაც კი შევძლებთ მის გამრავლებას.

თქვენს მოსაზრებას, რომ „ეკლესიის საიდუმლოებანი არ უნდა გავიდეხ ეკლესიის გარეთ“, ჩვენ არ ვიზიარებთ იმიტომ, რომ გარდა ქრისტიანული დოგმატიზმით დანე-სებულ შვიდი საიდუმლოსა, ეკლესიაში სხვა საიდუმლო არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს.

ეკლესიაში არაფერია საიდუმლო და დაფარული არც ხელისუფლების ორგანოები-სათვის და არც ხალხისათვის. ამიტომ ჩვენს მოქმედებაში არაფერი არაა დამალული. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ღიად და ყველასათვის გასაგებად. ღრმად ვართ დარწმუნ-ებული, რომ ყოველივე, რასაც ვაკეთებთ და ვცდილობთ გვაკეთით, უაღრესად სა-მართლბანი, დროულია და აუცილებელია საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერისათვის, ყველასათვის ერთად - მორწმუნეთათვის და არამორწმუნეთათვის.

აქ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ეკლესიისათვის, ჩვენთვის და, ვფიქრობ, პირადად თქვენთვისაც უმჯობესი იქნებოდა არ დაგვეჭირებოდა ამ წერილის დანერგა. მაგრამ ვინაიდან თქვენ ეს არ იხებთ, ჩვენც მივყევით მაღალი ღვთის შთაგონებას და ვწერთ ამ წერილს არა ჩვენი ნებით, არამედ ღვთის ნებითა და მონყალებით.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ თქვენ რაიმე გასწავლოთ, გვიჩვენოთ და და-უფარავად, და ეს პირდაპირობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ თითქოს არად ვაგდებდეთ თქვენს მაღალ პატივსა და ღირსებას. რასაც გაუწყებთ და მოგახსენებთ, ქრისტიანულმა სიკეთემ სიყვარულის სიმაღლიდან უნდა დაინახოს, განსაზღვროს და აღიაროს.

პატრიარქობა პატივია ღვთაებრივი, რომლის ბადალი არ არსებობს ცისქვეშეთში. ამ პატივს საფუძვლად უდევს არა ერთი ღვთის კურთხევა: თავმდაბლობა, რომელმაც ღმერთის ხელებით ფეხები დაბანა მოციქულებს დიდ ხუთშაბათს; ანდრძი დაატოვებ-ბინა დავით აღმაშენებელს, დამარხათ გელათის კართან, რათა იქ მოსულ ქართველ ხალხს ფეხი დაედგა მინაში მყოფი მისი მღუმარე გულისათვის. მაშასადამე, თავმდაბ-ლობა არის პირველი ასო პატრიარქობისა.

მეორე ასო პატრიარქობისა არის ის დიდი სიწმინდე, რომელიც ეკლესიაში უნდა სუ-ფევდეს პატრიარქის მოღვაწეობით. არ შეიძლება ეკლესიაში არსებული ბინიერების გამართლება. ეკლესიის მსახურთა შორის რომ სიწმინდე უნდა სუფევდეს, ეს დოგ-მა არის სულიერი ჩვენი ცხოვრების. ვინც უარყოფს ამ ჭეშმარიტებას, იგი უარყოფს თვით ღვთაებას და მის ღიებას.

მესამე ასო პატრიარქობისა ეკლესიის მსახურთა სულიერი აღზრდაა. სულიერად დაბლა მყოფი სამღვდლო პირი ვერ წარუძღვება თავის მრევლს და ეკლესიას, შეუძ-ლებელია ეკლესიაში იყოს სიკეთე და წესიერება, თუ მას არ ემსახურებიან კეთილი და გულით წმიდა შვილები ღვთისა. ეკლესიის ყველა მსახური უნდა იდგეს პატრიარქ-ის უნათლეს მადლს შეფარებული და უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას თავისი სიტყვისა და საქმის გამო.

მეოთხე ასო სიტყვისა „პატრიარქი“ არის ზრუნვა ერის სულიერ აღზრდასა და ამაღ-ლებაზე. თუ პატრიარქი ივიწყებს ამას და ცდილობს ერს თავი შეაყვაროს თილისმო-ბითა და ყალბი პათოსით, იგი ივიწყებს ღვთიურ საქმეს, მასზე მინდობილს და პირად განდიდებას ეძლევა.

მეხუთე ასო, რომელიც ავსებს სახელს დიდებულს, არის საეკლესიო სამეურნეო საქმიანობა. ხალხისგან შემოწირულ ფულს და ქონებას გზა უნდა მისცეს პატრიარქმა აზრიანი და წესიერი; მომჭირნობამ და ზომიერებამ უნდა განსაზღვროს შემოსავ-ლის მართებული გამოყენება; მრავალ მეტ-ნაკლები მნიშვნელობის სამეურნეო საქ-მეს პატრიარქის მშვიდმა გონებამ უნდა მისცეს გზა და მიმართულება.

მექექსე ასოდ ჩვენ გვესახება მომავალი სამღვდლო დასის სწავლა და აღზრდა. ჩვენი პატარა სემინარია დიდ მომავალს უნდა ამზადებდეს ჩვენი ეკლესიის სულიერი ცხოვრებისათვის. ამ საქმის განუზომელი მნიშვნელობა განმარტებას არ საჭიროებს.

მეშვიდე ასო საეკლესიათაშორისო საქმეებს განეკუთვნება. საეკლესიათაშორისო ურთიერთობაც, რა თქმა უნდა, პატრიარქის ნათელმა გონებამ უნდა მართოს. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს როდი ქმნის მზიან ამინდს ეკლესიის შიდა ცხოვრებაში. ამიტომ დილით გაღვიძებული ეკლესია ჯერ უნდა რწყავდეს შიდა ცხოვრების ბაღს და შემდეგ კი აგზავნიდეს სხვათა მილოცვებს და მისალმებებს.

მერვე ასო სიტყვისა „პატრიარქი“ არის საეკლესიო სამართალი. თუ ეს ასო ამოშ-ლილია ამ სიტყვიდან, გაუგებარი ხდება ეს სიტყვა და ეკლესიის საქმიანობაც; უპა-სუხისმგებლობა, ქაოსი, თვითნებობა და ათასგვარი გაუგებრობა დაუფლებს ეკლე-სიას. საეკლესიო სამართალი მადლცხებული ჭურჭელია, რომელიც იტევს ცისა და მიწის ჭეშმარიტებას ჩვენთა სურვილითა და საქმეთა გამოსაჩენად, დაავადებულ სულთა და ხორცთა განსაკურნებლად.

მეცხრე ასო სიტყვისა „პატრიარქი“ არის საეკლესიო დებულება. დებულების გა-რეშე ან მოძველებული დებულებით საქმიანობა ბნელში ხელის ფათურს ნიშნავს და ამ გზით მომავალი პატრიარქი ჩამორჩება მზეს და ცხოვრებას, ძველი ახალმა უნდა შეცვალოს და მაშინ ივლის რჩეული აღმავლობის გზით, მზის ნათლისა და ვარსკვლავ-ებისაკენ.

ჩვენ ამოწურეთ სიტყვის „პატრიარქი“ ყველა ცხრა ასო. მაგრამ არ გვითქვამს, რომ მას გვირგვინი ადგას ხელთუქმნელი, ფასუთქმელი. ეს გვირგვინი გამოძერწა ქრისტიანულ საუკუნეთა დინებამ: დევნამ, მონამეობამ, მოთინებამ, გამჭირიხობამ, სიბრძნემ და განსჯამ, გულმართლობამ... უნდა ახსოვდეს ამ გვირგვინის მატარებელ კაცს - პატრიარქს, რომ მარადიულობის მსახურია იგი.

ბევრი რამ ნახა საქართველოს ეკლესიაში წმინდა ნინოდან ჩვენს დრომდე, ჩვენ კაცს ველოდით - ღმერთისა და ერის რჩეულს; სულიერ მამას... და სწორედ ამ დროს თქვენ წარსდევით ჩვენი ერისა და ეკლესიის წინაშე იმ რჩეულ კაცად, ვისაც ელოდა სული ჩვენი სასოებისა. ეს არც შემთხვევითი ყოფილა და არც მოულოდნელი: თქვენ გიცნობ-დათ ერიც და ეკლესიაც, თქვენ გიცნობდათ ქრისტიანული დიდი სამყარო. ეს ნაცნო-ბობა და ავტორიტეტი განაპირობა თქვენმა სასულიერო განსწავლულობამ, თქვენმა ხანგრძლივმა მონაწილეობამ სხვადასხვა საეკლესიათაშორისო კონფერენციებზე და ფორუმებში, თქვენმა თავმდაბალმა საეკლესიო მოღვაწეობამ. სულიერ მამად თქვენს მოვლინებას ხალხი ალტაცებით შეხვდა. მესხიერებამ ჩვენი დროის მატანისამ შემო-ინახა და ფირზედაც აღბეჭდა ჩვენი ცხოვრების ის დღეები, 1977 წლის დეკემბრის

დღეებს, ცივს და სუსხიანს, მაინც მზე ადგა, იმედების მანათობელი. მოხდა თქვენი ჯერ არჩევა, შემდეგ კი კურთხევა და აღსაყდრება საქართველოს უძველეს საპატრიო-არქო ტახტზე, ჩვენი მცხეთა, ჩვენი პატარა იერუსალიმი მონამე იყო იმ დღეებისა, გა-იარა იმ დღეებმა, იმედებისა და ალტაცების ზეიმით საცემ, მიწყნარდა მღვდელმთავრება სიხარულითა. დაიწყო შრომა, მოქმედება მინერ-მონერა, ნახვა, გაცნობა და ყველაფე-რი, რაც ამყარებს წესრიგს საქმიანს. საპატრიარქოს დაუახლოვდნენ მეცნიერები, ხე-ლოვანნი - ყველა, ვისაც სწყუროდა ეკლესიის აღორძინება და აღმასვლა, პირველივე პერიოდთან თქვენ შეუდექით სინოდის გაფართოებას; ხელდასხმულ იყვნენ ახალი ეპისკოპოსები; პირველ რიგში, ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზ მახარაძე და ჭყონდიდელი ეპისკოპოსი იოანე ანანიაშვილი. ამ ხელდასხმამ ხალხში თავიდანვე დი-დი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ვინაიდან ხალხი, სამღვდლონიც და საერონიც, ამ პი-რებს ჯერ კიდევ ეკლესიაში მოსვლამდე იცნობდნენ, როგორც ამკარა მამათმავლებს. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ფაქტი: ნიკოლოზ მახარაძე და ექვთიმე კოჭლამაზაშვილი თქვენ სემინარიიდან წამოიყვანეთ და მღვდლებად აკურთხეთ სოხუმში ჯერ კიდევ 1976 წელს, როდესაც თქვენ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი იყავით. ეს დეტალები ქართველ ხალხს არ გამოპარვია. მაგრამ ხალხი თქვენ გენდობოდათ და უყურებ-და, თუ რა გამოვიდოდა ამ ამბებიდან. ხალხს შეეძლო ეფიქრა, რომ თქვენ, როგორც მწყემსმთავარმა, აბატიეთ მათ წარსული შეცოდება იმ პირობით, რომ აღარ ჩაიდენ-დნენ ასეთს. თუმცა ისინი ამკარად, მოურიდებლად მამათმავლობდნენ კურთხევის შემდეგაც.

ვიშორებ, ხალხი თქვენ სრული ნდობით გიყურებდათ. ხალხი იმდენად იყო დაჯე-რებული თქვენში და იმდენად სცემდა პატივს თქვენს მოღვაწეობას, რომ დიდი მეც-ნიერი აკაკი შანიძე თავის ქალიშვილთან, მზექალასთან ერთად თქვენს რეზიდენცი-აში გეახლათ. საპატრიარქოს საქმიანობა იმთავითვე დულდა: მოდიოდნენ უცხოელი სტუმრები, უცხოეთში იგზავნებოდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციები, იმართე-ბოდა მიღებები, ბანკეტები და ბევრი საინტერესო შეხვედრები; გამოავლდნენ მქადა-გებლები და გახშირდა ქადაგებები, მაგრამ უმთავრესად მხოლოდ სიონის ტაძარში თავიდანვე შეიმჩნეოდა, რომ საშინაო საქმეებიდან თქვენი ყურადღება ეკუთვნოდა მხოლოდ სიონს, მაგრამ მაშინ ვერავინ ხვდებოდა, თუ რატომ იყო ასე.

გაიარა 1978-79 წლებმა. ბევრი რამ მოხდა ამ ორ წელიწადში, მაგრამ ჩვენ ამ ფაქ-ტების ჩამოთვლას არ მივყევით. ამჟამად ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რომ საქართველოს ეკლესია განსაცდელშია!

ჩვენ თქვენთვის წარდგინდ წინა თხოვნაშიც ჩავენრეთ ეს სამსიტყვიანი საშინელე-ბა, მაგრამ თქვენ არც კი იკითხეთ, რა იყო ეს განსაცდელი. რატომ? რატომ არ მოგ-ვთხოვეთ პასუხი ჩვენს მიერ გამოთქმულ ფორმულაზე? რატომ არაფერი არ იკითხ-ეთ? იმიტომ, რომ თქვენ განუზომელ განდიდებას იყავით მიცემული (რასაც ჩვენ ქვე-მოთ დავასაბუთებთ) და როდესაც სინამდვილის პირისპირ აღმოჩნდით, შეგეშინდათ თვალბში შეგხედეთ მისთვის და მოგესმინათ ამ განსაცდელის შესახებ. განსაცდე-ლი კი დღითიდღე მწვავედა, რადგან თქვენ, განდიდების მანიით შეპყრობილს გინ-დათ, ცრუმეტყველება გეხვით ვარს; გინდათ გესმოდეთ, რომ აყვავდა არნახულად საქართველოს ეკლესია. მაგრამ, ჩვენ, ხუთმა მღვდელმთავარმა ვეღარ გამოვიჩინეთ ეს ცრუმეტყველება და თქვენ ამკარა მტრობა და სიძულვილი დავიმსახურეთ. რა-ტომ? რა მოხდა? მოხდა დიდად სანუხარო და სამარცხინო ამბავი: მამათმავლები მომრავლდნენ ჩვენს ეკლესიაში. და არა თუ მარტო მომრავლდნენ. მათ დაიმსახუ-რეს გაბატონებული მდგომარეობა და თქვენი ამკარა მფარველობის ქვეშ ეწეოდნენ თავიანთ სოდომურ ცოდვას. სამღვდლონიც და საერონიც აღმფოთებულნი იყვნენ ამ მოვლენით, მაგრამ საერონი ერთმანეთში მითქმა-მოთქმით იქარვებდნენ აღშო-თებას, ხოლო სამღვდლონი, თქვენი მუშაობის მეთოდებით დაშინებულნი, ხმის ამო-ღებას ვერ ბედავდნენ. მიტროპოლიტმა შიო ავალიშვილმა 1980 წელს გაბედა და მო-გახსენათ: „თქვენი უწმიდესობავ, თქვენს მოღვაწეობას ხარვეზად დააჩნდება ის, რომ საქართველოს ეკლესიის წინაგან სიწმინდეზე არ ზრუნავთ“. თქვენ სახის ფერის შეცვლამდე გაგაჯვარათ ამ შენიშვნამ და მას მხოლოდ თქვენი უკმეხი პასუხი მოჰ-ყვა. მამათმავლების „საქმიანობა“ კი იქამდე მივიდა, რომ მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე მამათმავლობისათვის ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიიდან გამოაძევეს. თქვენ კი ქუთაისის ეპარქიაში გადმოიყვანეთ იგი, ხოლო 74 წლის მიტროპოლიტი შიო, რო-მელიც ამ დროს ქობულეთში იხვენებდა, გადაიყვანეთ ბათუმში. თქვენი „შეფობის“ ქვეშ მყოფმა ნიკოლოზ მახარაძემ სოხუმიდან ქუთაისში ჩამოიყვანა თავისი „შეყვარ-ებული“ მამა-კაცები და შეუდგა თავისი „მოვალეობის“ შესრულებას. მის ურიცხვ უტიფრობას და თავხედობას შედეგად მოყვა ის, რომ ხალხმა საჩივრების წერა და-იწყო. თქვენც მარტო ერთ დღეს შემოსული ექვსი საჩივარი თავად ნიკოლოზს გადამე-ცით, ალბათ, „ზომების“ მისაღებად, არ გასულა დიდი დრო და მიტროპოლიტი ნიკო-ლოზ მახარაძე მეორე პანალით დააჯილდოვეთ და ასე შეეცადეთ თქვენი ნებითა და უფლებამოსილებით დაგვეტყუნათ ხალხის ნება. უნდა ვთქვათ პირდაპირ და სამარ-თლიანად: თქვენ თქვენი მოქმედებით ტალახი ესროლეთ სახეში ქართველ ხალხს და საქართველოს ეკლესიის წმიდა გუმბათს. გეგონათ, თქვენი შეუზღუდავი ძალაუფლე-ბა ჩააჩუმებდა მომჩივნებს და საბოლოოდ მორწმუნე თუ არამორწმუნე ქართველი ხალხი შეგეფებოდა ეკლესიაში შემოტანილ მამათმავლობასა და სხვა გარყვნილებას. მაგრამ არ დანყარდნენ მომჩივნები და ჩვენ, მღვდელმთავრებს დაგვიწყეს საჩივრე-ბის წერა, აგვახსენს საყვედურებით, რომ ვითმენთ ამ საშინელებას და ხმას არ ვიღებთ, ავწონ-დავწონეთ შექმნილი ვითარება ხუთმა მღვდელმთავარმა (მეუფე ამბროსიმ [ქა-თამაძე], მეუფე ქრისტეფორემ [წამალაძე] და სხვ. - რედ.) დაფერეთ თხოვნა თქვენს სახელზე და მოგართოთ 1982 წლის 10 დეკემბერს. ჩვენ თქვენთვის არ გვიკადრებია რაიმე ულტიმატუმის წამოყენება, არამედ გთხოვეთ მოცემული საკითხის განხილვა საქართველოს საეკლესიო დებულების მე-19 მუხლის თანახმად.

იმ დღიდან თქვენი გული და გონება აღივსო ჩვენდამი მტრობითა და სიძულვილით და შეუდექით ამ მტრობისა და სიძულვილის პრაქტიკულ განხორციელებას. ჩვენთვის პასუხის გასაცემად თქვენ აირჩიეთ არაქრისტიანული გზა. მიხვეულ-მოხვეული, არა-პირდაპირი: ჯერ გამოგვიცხადეთ, რომ ამ საკითხთა შესახებ უნდა მოლაპარაკებო-დით რელიგიის საქმეთა რწმუნებულს და დაგვეკათ მოსკოვში; სამი დღის შემდეგ გვითხარით, რომ ყოველივე გადაწყვეტილია და მამათმავლები განიდევნებიან ეკლე-სიიდან; ხოლო ხუთი დღის შემდეგ გამოგვიცხადეთ, რომ ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ იქნა დატოვებული. მოგებულ დროში დარაზ-მეთ მამათმავლები, მიეცით მითითება თქვენს ძმას, ვიქტორ შიოლაშვილს, რომ დაერაზმა

გავრძელება მე-14 გვ.

„ეკლესიაში ანაფანია საიღუმლო და ღაფანული“

საგოგონო წიგნი კათოლიკოს-პატრიარქს

დასაწყისი მე-13 გვ.

ჩვენს წინააღმდეგ 5-6 მოხუცი დედაკაცი სიონის მრევლიდან, ჩვენ იძულებული გავხდით შეგვეწყვიტა საპატრიარქოში სიარული და ავარიდებოდით თქვენს პროვოკაციებს, ყველა ჩვენი წინააღმდეგო მტრული პროვოკაცია და გამოხტომა, რაც მოაწყვეს მამათმავლების ეპარქიებში და შიოლაშვილების საპატრიარქოში, აღწერილი გვაქვს ადრინდელ თხოვნაში, ამიტომ ამ საქმეზე აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს.

გაინადღეს რა თქვენი თავგამოდებული მფარველობა, მამათმავლები განაგრძობდნენ თავიანთ ადვილადსწილობას და აწინაგებდნენ ეპარქიებს. მიტროპოლიტი ნიკოლოზ მახარაძე არ ერიდება ხულიგნობას და ნარკოტიკების სპეკულირებასთან კავშირსაც კი. ამას წინადაც მას მასწავლებელი ქალის გალანდღვისათვის ხელნერილი და ადებინეს ქუთაისის მილიციამ, ხოლო მასთან გარყვნილებით კავშირში მყოფ ვინმე მაიზერას დიდძალი ოპიუმი აღმოუჩინეს და პატიმრობაში იმყოფება. ასეთი ამბების ფონზე არაფრით არ ქრება საქართველოს ეკლესიის კარიბჭიდან წარწერა: ვაი, რა განსაცდელშია საქართველოს ეკლესია და რა მოელის მას?!

თქვენ, ბატონო პატრიარქო, თქვენი პატრიარქობის დასაწყისიდანვე შეუდექით ახალგაზრდა სამღვდლოების გამრავლებას და ეს ახალგაზრდა სამღვდლოება ხედავს, რომ თქვენ ხელს აფარებთ გარყვნილებას. თუმცა მამათმავლები მათ სძულთ, სამაგიეროდ უყვართ ლამაზი ქალები, უშაქრო ღვინო, ყომარბაზობა, ნადირობა და სხვა ასეთები. ჩვენ არ გიზრახავთ, რომ სამეურნეო საკითხები არ გეხმობ; არ გქონიათ შემთხვევა ჩასწვდომოდით, თუ რა არის არისტოტელეს „ოიკოს“ და „ნომოს“ - საამისო არც განათლება მიგილიათ და არც პრაქტიკული ცხოვრება გავივლიათ. უბედურება იმაშია, რომ გინდათ, ყველაფერი თქვენი ხელიდან და თქვენი თავიდან გამოდოდეს, ამის გამო სულიერი თანამობიდან თქვენ ვერ იტანთ საქმის მცოდნე ადამიანებს, თქვენ გალიზიანებთ აქტიურად მოსაქმე კაცს, თქვენ უფრო მშვიდად ეგუებით იმას, რომ უქნარა და მძინარა კაცი იჯდეს ადგილზე, ვიდრე გამჭრიახი, კარგი მცოდნე და უნარიანი მოღვაწე. ამის გამო თქვენი პატრიარქობის დასაწყისიდანვე არაერთი საქართველოს ეკლესიის სამეურნეო საქმეები. საქმის ნათელსაყოფად საკმარისია ასეთი მარტივი განაცხადი: 1978 წლის დამღვეს, იმ დროს, როდესაც მიტროპოლიტი შიო ავალიშვილი იყო ქორეპისკოპოსად, საპატრიარქოს საქართველოს სახ-ბანკში ანგარიშზე შექონდა ორ-ნახევარი მილიონი მანეთი; განვიღოთ ოთხნახევარ წელში შემოვიდოდა დაახლოებით ამდენივე. დღეს ამ თანხიდან აღარაა არაფერი. ქაოსმა ჩაყლაპა ხუთი მილიონი მანეთი და სადღაც წილს იქით იხედება მხოლოდ თქვენი საზაფხულო რეზიდენცია მარტყოფში. ჩვენ კი საპატრიარქოს კარიბჭეზე დაცვა გვაქვს გონებისმიერი წარწერა: ვაი, რა განსაცდელშია საქართველოს ეკლესია და რა მოელის მას?!

მიმბაძველობის ფასი საყოველთაოდ ცნობილია, თქვენ კი ჩვენს მეზობლად მყოფ კათალიკოს-პატრიარქს ბაძავთ და არ გინდათ ანგარიში გაუწიოთ იმას, რომ იმ მეზობელს მარტო ამერიკაში აქვს 120 ეკლესია. ამ ეკლესიებიდან ირიცხება დოლარები უნდვის ბანკში, ჩვენი ეკლესიის მატერიალური ბაზა კი ძალიან ღარიბია. სავალალოა ჩვენი ეკლესიების სიმცირე და ეს მცირედნიც არის უეუქეთებელი და სამარცხვინო მდგომარეობაში. ასეთ პირობებში მიმბაძველობა, რაღაცეების უთავბოლო შენება და ხუთი მილიონის უანგარიშოდ აორთქლება უდიდესი დანაშაულია ღვთისა და ერის წინაშე. თქვენ მიმბაძველობა გამოიჩინეთ თქვენი პატრიარქობის დასაწყისშივე. როდესაც განაცხადდით, რომ ვატიკანის მსოფლიოში უდიდესი მუზეუმი აქვს და საქართველოს ეკლესიამაც უნდა შექმნას თავისი მუზეუმი. ამ განცხადების შემდეგ თქვენი უშალო მითითებით დაიწყო მოსახლეობიდან ყანების, ხანჯლების და სხვა ათასგვარ უცნაურობათა ძალიან მაღალ ფასებში შესყიდვა და სეიფებში შელაგება. ვიქტორ შიოლაშვილი, ცხადია, თქვენი ძმია. მაგრამ ვინ არის იგი საქართველოს ეკლესიისთვის? სჭირდება თუ არა იგი საქართველოს ეკლესიას? პასუხი უდავოა: ის შეილია საქართველოს ეკლესიისა, მაგრამ მის მოღვაწეობას ეკლესია არ საჭიროებს. საქართველოს ეკლესიამ და ქართველმა ხალხმა თქვენ აგიჩიათ პატრიარქად, თქვენი ძმა კი არაფერში აურჩევიათ. დღემდე არ ვიცით, თუ რა თანამდებობაზეა იგი გაფორმებული საპატრიარქოში. ვიცით მხოლოდ ის, რომ იგი უბოროტესად იყენებს თავისი ძმის მაღალ მდგომარეობას, მოურიდებლად ერევა საპატრიარქოს ყოველგვარ, განსაკუთრებით სამეურნეო საქმიანობაში. იგი იმდენად მოურიდებელია, რომ მღვდელმთავრების საქმეებშიც ერევა და ჭკუას ასწავლის მათ. როგორც ძველი ექვამულე არ ინდომებდა, რომ ვინმე ჩარეულიყო მისი მამულის საქმეებში, ასევე თქვენ და თქვენიანები ვერ იტანთ, რომ ვინმემ გამოიჩინოს საქართველოს ეკლესიისადმი რაიმე დაინტერესება. ქართველი ხალხი - როგორც სამღვდლონი, ისე საერონი - აღფრთოებულია ამის გამო. აქედან დასკვნის გამოტანა ადვილია: თქვენი ოჯახის ყველა წევრი, ვისაც სამღვდლო ხარისხი არ აქვს, უნდა განთავისუფლებულ იქნას ეკლესიაში მუშაობისაგან.

საქართველოს ეკლესიაში ბევრი რამ განიცადა წარსულში და დღეს სრულიებით არაა იმის პირობები, რომ უსამართლობა ყვაოდეს ჩვენს ეკლესიაში. თქვენ ჩვენი ეკლესიის სულიერი და მატერიალური მართვა მამათმავლებსა და ვიქტორ შიოლაშვილს მიანდით, თავად კი უზენაესი ზედამხედველის მანტია მოიხურეთ და თქვენგან განსხვავებულად მოაზროვნე სამღვდლოებასთან ლაპარაკსაც კი არ კადრულობთ. არ გინდათ შევეუთოთ იმას, რომ ეკლესია ხალხს ეკუთვნის, ქართველ ხალხს, ყველას ერთად, მორწმუნესა და არამორწმუნეს, მაღელ ექვსი წელი შესრულებდა, რაც თქვენ აღსაყდრდით საქართველოს საპატრიარქო დიდებულ ტახტზე. ახალგაზრდა მღვდლები გამრავლდა; გამრავლდა ცხვრის ფარა. მაგრამ უმწყემსოდ მყოფნი დატოვო მგლების შესაჭმელად, ანდა მგლებად გარდასაქმნელად?

უპატრონობა...
წყველი უპატრონობა...
ჩვენი მღვდლები, ახალგაზრდები...
შევასწავლეთ სახარების მხოლოდ წაკითხვა და გაუფრთხილეთ ღვთისა და ბედის ანაბარა. აი, რა მოგვცა ამ ექვსმა წელმა. მოცემა კი ბევრის შეეძლო, ძალიან ბევრის. რომ ყოფილიყო ჩვენი პატრონი არა სიამაყე და განდიდება, არამედ მამა ჩვენი ძმობისა და

სიყვარულის; არა მონური მორჩილება, არა დუმილი სიმართლის ნაცვლად, არამედ მეტყველება სიმართლისა. სიტყვა „მორჩილება“ ბევრს სწორად არ ესმის. მორჩილება მონობას არ ნიშნავს. მონობა დამყარებულია ძალადობაზე, მორჩილების საფუძველი კი ღვთაებრივი სიყვარულია. სადაც არაა ღვთაებრივი სიყვარული, იქ მონობას ნათლავდენ მორჩილებად. მამასადაც, მორჩილად ყოფნა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ სიყვარულს ვეთაყვანებით, სასოების ვენახში ვშრომობთ, რომ მზე სხივებს ჰყვინს ჩვენს ნამდვილ ძმობას, იბადება ჩვენში აზრი სანუკვარი და გონივრულად ვიყენებთ ღვთისგან ბოძებულ თავისუფალ ნებას. როცა ცდილობენ კაცს წართვან ღვთისაგან ბოძებული თავისუფალი ნების სიციხოვლე, თავის ერთ სიტყვას დაუმორჩილონ სხვათა აზრი, მისწრაფება, შრომა და გარჯა, მაშინ მყარდება სწორედ მონობა და ძალმომრეობა. თქვენი პატრიარქობის პირველ ორ წელშიაღს იმედი გვქონდა თქვენი სიმართლის, თქვენს გარშემო მყოფი მონები ღვთისა, აღტაცებულნი ნდობითა და სასოებით, თქვენს მორჩილებაში ვიყავით და ვასრულებდით თქვენს ყოველ ნებას. გამოიკვთა ჩვენს წინაშე ერის წინაშე თქვენი სახე, ოდნავ ღმირს მიფარებული. თქვენი ღმირი, თითქოს ტკბილი, სანდომიანი, ბევრ სიკეთეს რომ გვპირდებოდა, თურმე ფარავდა თქვენს იმ სახეს, რომელიც დრომ თანდათან გამოაჩინა, გამოიკვთა ყველა თქვენი ნამდვილი ფიქრი და მისწრაფება, თქვენი რწმენა და ფილოსოფია - რწმენის შშობელი, ერის ქადაგებდით და თვითონ თქვენ სულ სხვა ყოფილხართ, ერთ სახეს გვიჩვენებდით და ვიხილეთ ორსახეობა. აორთქლდა ჩვენი იმედიც და აღტაცებაც და ხელში დაგვრჩა უკიდევანო განდიდება, რომელსაც დაუპყრია თქვენი ღმირი, თქვენი საქმე, მოღვაწეობის ყველა კუნჭული. არ აკეთებდით არც ერთ ნაბიჯს, თუ კი იგი არ ემსახურებოდა თქვენს პირად სახელს და განდიდებას. მიხვედით თუ არა საპატრიარქო დიდობა ტახტთან, ზურგი უჩვენეთ ეკლესიის შინაურ საქმეებს და პირველ რიგში დააყენეთ ეკლესიებთან საგარეო ურთიერთობა.


თქვენი გაგებით, შიგნით ყველაფერს დაიპყრობდით მონობის ხერხით. უამისოდაც მიღწეული გქონდათ უკვე საკუთარ ხალხში ამაღლება და განდიდება, ალბათ, ამიტომ შეაქციეთ ზურგი ყველაფერს, რაც კი შექმნიდა ეკლესიის შიდა მადლსა და კეთილდღეობას. არ კითხულობდით ეკლესიის შინაურ ამბებს გარდა იმისა, რომ მღვდლებს ამრავლებდით; არ დადიოდით ჩვენს ეპარქიებში და თუ ნახვიდოდით, ისევე და ისევე მხოლოდ თქვენი განდიდებასათვის. მიგყავდათ თან მთელი დასი სამღვდლოებისა და მოსიერენი ორასი ან სამასი კაცი. მამასადაც, საქართველოს ეკლესიის შინაგანი სამყარო თქვენ გჭირდებოდათ, როგორც ტრიბუნა საკუთარი განდიდებისა, საყრდენი პუნქტი ზენიტისკენ ასამაღლებლად. თქვენს მიერ დანერგილ საღვდლოში, საშობაო და საახალწლო ეპისტოლეებსაც კი იყენებდით ამავ მიზნით. ხომ ცნობილია, რომ პატრიარქობა ათჯერ უფრო დიდი პატივია, ვიდრე ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ექვსთაგან ერთი პრეზიდენტობა. ამასთანავე ყოველი პატრიარქი თავის სამწყსოს მართავს როგორც პატრიარქი და არა როგორც პრეზიდენტი. რა კავშირშია ქართველი ხალხის საღვდლო ეპისტოლესთან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტობა? თქვენ პრეზიდენტი არ ყოფილხართ ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი ხალხისა. თქვენ პატრიარქი ბრძანდებით ჩვენი, მაგრამ ხელს აწერდით ჩვენს ეპისტოლეებს, როგორც პატრიარქიც და პრეზიდენტიც. ისეთი მადა გავგხსნათ განდიდებას, რომ ვეღარ გააპურებდათ პატრიარქის სუფრის სიუხვე და პრეზიდენტის ღარიბ სუფრას იშველიებდით.

თქვენი მოღვაწეობის პირველი რიგის საკითხად გაიხადეთ ეკლესიის საგარეო ურთიერთობა. მაგრამ, პირველ რიგში, მებაღმე საკუთარ ბაღს უნდა არგოს, მიხედოს გასხლას, გათოხნოს, წყლით მორწყას, შენამლოს და როდესაც გაიფურჩქნება ვარდ-ყვავილები, ხეხილ დაიხსამს სურნელ ნაყოფს და დაეარგება - აი, მაშინ უნდა მოუხმოს მებაღმე მეზობლებს თვისას და მოიწონოს თავი ბაღის ჩვენებით, შემდეგ კი თვითაც ნახოს სხვისი ბაღი და გაიხაროს როგორც საკუთარი, ისე სხვისი ღვანლის სიკეთითაც. თქვენ კი იწვევდით პატრიარქებს, მღვდელმთავრებს, ბერებს, საჩვენებელი კი საკუთარი ღვანლით შექმნილი არა გქონდათ რა და აკლდამებასა და ისტორიულ ძეგლებს აფარებდით ჩვენს შინაურ უმოქმედობას. და ყოველივე ამას აკეთებდით მხოლოდ იმიტომ რომ გაგეტანათ თქვენი სახელი „მთებს იქით, ზღვებს იქით და უფრო შორს“. თავის მონონება და სახელზე ფიქრი, ცოტად თუ ბევრად, ყველა ადამიანს ახასიათებს, მაგრამ როდესაც კაცი ჯერ განდიდებაზე ფიქრობს და შემდეგ კი საქმეს ეძებს განდიდების მოსაპოვებლად, ის ვერც საქმეს გააკეთებს და ვერც დიდებას მიიღვეს. აკი ვერ მიიღწიეთ ვერც თქვენ ვერაფერს, დაფიქრდით, მიხედეთ თქვენს წარსულ საქმეს, თქვენს ცხოვრებას, როდესაც თქვენში, ასე თუ ისე, იყო თავმდაბლობა და მოკრძალებადი; მოღვაწეობდით მშვიდი შრომით და მისწრაფებით, ქართველმა ხალხმა შეგიყვარათ და აღგაზევათ თავის გულში, თავის ფიქრებში. ასე რომ თქვენ პატრიარქობა დაიწყეთ უკვე განდიდებულმა. და რაგვარად განდიდებულმა. დიდების მთებზე იდევით უკვე, როცა პატრიარქი გახდით, სასოებით შეჰყურებდა ერი თქვენს მომავალ გზას და ნაბიჯებს, თქვენს მიზნებს და საქმეებს თქვენსა, თქვენს პიროვნებას ალარ ესაჭიროებოდა მეტად ამაღლება და განდიდება. თქვენი ღვანლით ჩვენი სული და ეკლესია უნდა განდიდებულიყო. ამიტომ მიგიღოთ ხალხმა აღტაცებით. განვილითა ნლებმა დაგვანახა, რომ ეკლესია კი არ ამაღლდა, არამედ დაეცა და დანაგვიანდა. არ გამართლდა მოლოდინი და დაიკარგა იმედი ხალხის. ამის გამო დაიკარგა თქვენი წარსული დიდებაც. სამწუხარო ამბავი მოხდა მზიდან დაიწყეთ და ჯურღმული ფსკერზე დაეშვით. ვფიქრობ, სჯობდა ეკლესიისათვის და თქვენთვისაც, რომ ნება-ნება მოსულიყო აღორძინება, ანთილი სანთლით დაგეწყით და ჩირადნებეს შესვლათ შუქზე ეკლესია და მისი მიწმინდე. თქვენც ხომ მაშინ იქ იქნებოდით, იმ ჩირადნებთან. მაგრამ სხვაგვარად მოხდა: მზიდან დაიწყეთ და დაბლა დაეშვით. ახლა მტრულად უყურებთ ყველას. ვინც ხედავს ამას ყველაფერს და გუბუნებით დაუფარავად, ვინც ვერ ხედავს, ნუ გავიციხავთ მათ მხედველობას და ვინც ხედავს და არაა ამბობს, ან სხვა რამეს გუბუნებთ ფარისევლობით, ღმერთო დაადოს მსჯავრი „დამსახურებისა“. უპატრონობა სუფევს ეპარქიებში და მხოლოდ სიონში არის სულის ზეიმი. თქვენ ხომ სიონში სწირავთ და სადაც თქვენ ხართ, იქ ზეცაც უნდა ბრწყინავდეს ამიტომ ხალხის ერთ წყებას ღმერთი მხოლოდ მაშინ ახსოვს, როცა თქვენ იქ ხართ - წმინდა სიონში. ღვთისმსახურების ახალი ფორმაც დაანსეთ ამ დიდ ტაძარში, მაგლობელთა გუნდზეც ზრუნავთ, რაც დიდებული საქმეა სწორედ, დედა სიონი ჩვენი წმინდა ტაძარია საპატრიარქო, მაგრამ იგი ხომ მაინც არ წარმოადგენს მთელ საქართველოს. ყველა ქართველი მორწმუნე ხომ სიონში ვერ ილოცვს, თქვენ კი მხოლოდ სიონზე ზრუნავთ და არც კი კითხულობთ, ეპარქიებში სად რა ხდება, და ეს იმიტომ, რომ დედა სიონი უშუალოდ თქვენს განდიდებას აფენს ნათელს.

დასასრული მე-17 გვ.

მ ხ ა ტ მ რ ო ბ ა

ნოდარ ლოლობერიძე




1962 წ. ეწევა საზოგადოებრივ მოღვაწეობას, ქ. თბილისში მის მიერ ჩამოყალიბდა ქალაქის გაფორმების დიზაინის განყოფილება, რომელსაც თვითონვე ხელმძღვანელობდა. იყო ქ. თბილისის მთავარი მხატვარი.

1952 წლიდან სისტემატიურად იღებს მონაწილეობას როგორც რესპუბლიკაში, ასევე საზღვარგარეთულ გამოფენებზე. 1975 წ. ბულგარეთში პლოვდივის მსოფლიო სამრეწველო გამოფენაზე მის მიერ გაფორმებულია საქართვე-

ლოს პავილიონი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ენკაუსტიკის ტექნიკით შესრულებული მისი ნამუშევრები. მის მიერ სრულყოფილად არის დამუშავებული ეს ტექნიკა. იგი ავტორია ენკაუსტიკის ახალი, ცივად დამუშავების ტექნიკისა მუყაოზე, ქალაქდზე, ხეზე და სხვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოდარ ლოლობერიძის მიერ ბაზალტის ქვაზე 2005 წ. შექმნილი იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, ამჟამად განადგურებული, შოთა რუსთაველის ფრესკის პირი, რომელიც შესრულებულია ენკაუსტიკის

ფერწერით, ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვისგან დამზადებული საღებავებით. ნამუშევარი დასვენებულია ქ. თბილისში ახლადგებულ წმინდა სამების ტაძარში. მხატვრის საკუთარ სამხატვრო სახელოსნოში გამოფენილია 300-ზე მეტი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი. აქედან 50-ზე მეტი ენკაუსტიკის ტექნიკით არის შესრულებული, მათ შორის, ხატები. ბევრი ნამუშევარი ინახება სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში, დაცულია საქართველოს სახელმწიფო ოქროს ფონდში.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი ნოდარ ლოლობერიძე 1976 წლიდან - თბილისის სახ. სამხატვრო აკადემიის პროფესორია.



ჩვენი ღრის ქვალი ქაჩოქ მკვლევარი



პირველად დავით გურამიშვილის ბედს დაჰქროლა რუსულმა ქარმა და სრულიად აუნუნა მდგომარეობა. მისი ლექსები ამ ნუხილის გამჟღავნებაცა... პეტრე I-მა დაჰქროლი ნერილით აუბა თვალი ვახტანგ VI-ს და გეზი რუსეთისკენ ააღებინა. ამ ნაბიჯმა მტერი აუბო-ბოქრა და აუშხედრა. საგრძნობლად შეიმღვრა ქვეყნის მდგომარეობა, აირია საქართველოს საშინაო საქმეები. ამო იყო მოლოდინი და პირველი იმედის გაცრუება - ვახტანგ VI ტყუილად ელოდა შველას. რუსეთმა ჩაშალა დაგეგმილი სამხედრო ექსპედიცია. ბრძოლისთვის შემართული ვახტანგი განჯაში იდგა, როცა პეტრემ რუსთა ჯარი, რომელმაც დერბენდს მი-აღწია, უკან ასტრახანში გაიწვია.

ვახტანგი იძულებული გახდა 1200 კაციანი ამალით მოსკოვში გადასულიყო იმ იმედით, რომ კვლავ დაუბრუნდებოდა სამშობლოს. რუსეთთან შეთანხმებული მოქმედების გამო, საქართველო სამაგალითოდ დასაჯეს. აღიძრა მტერი და აღმოსავლეთ საქართველო მოიცვა სისხლისმღვრელმა ომებმა. უფრო გახანგრძლივდა უბედურება. დავითი არ მალავს, რომ ზოგს თავიდანვე არ მოეწონა პეტრეს წინადადება, რომ ამის გამო გაქვზდა მძინვარე შაჰ-თამაზი... იმედშიყოფილი გარდაიცვალა ვახტანგ VI. სიცოცხლე გაუშენარდა გურამიშვილს. მოსკოვში თავმოყრილი ქართველობა არჩევანის წინაშე დააყენა რუსეთმა, ამაზე ირონიით შენიშნავს მწერალი:

„ჩვენ ოცნეს იქით სტუმარსა ვერ უზამთ თავხასო“.

მართლაც, მოურადებელი იყო რუსეთის ულტიმატუმი და ქართველებმა, იმედგადაწურულმა, მყისვე მიიღეს მისი ქვეყნდროშობა - „სწორედ იმ გზაზედ წავიდნენ, საითაც იყო სნეზაო“. ასე გახდა დავით გურამიშვილი „სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოცხადებული“. როგორ შეაფასა შექმნილი ვითარება მწერალმა?

„ვით ცხვარი, მივენდე უპიროს, მოლაღატესა...“

თით გახტა, მე შიგ ჩამაგლო, ჰგავს ეშმაკობით ანტესა“.

ასე შეიქმნა პოეტი საზოგადოებრივი გულმოკლული - „ვითა ცხოვარი გზა შეცდომილი მგელთ წარსატაცად ფარებთა გარე“. იგი რუსეთის პოლიტიკური კონფლიქტების მსხვერპლი აღმოჩნდა, სხვის ომში ხმლის ქნევა უწევდა სვედამწარებულს, უიღვოდოდ მყოფს, სულიერი მიუსაფრობითა და ტკივილით შემსჭვალულს. ასე ხიფათიანად განვლო წლებმა, მხოლოდ ღმერთმა იხსნა სიკვდილისაგან და სამუდამო გაქრობისაგან... იმედებიც დაეშრინა, ტყუილად იცოდა კვლავ აღმოჩნდა, გული სედიდით კიდევ უფრო დაუძიმდა უიღბლოდ მყოფს სხვის სამკვიდროში და სხვისი ინტერესებისათვის ამოვ მებრძოლს...

რუსული სუსხი არ დაჰკლებია ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, მაგრამ ის უფრო მწვავედ ნიკოლოზ ბარათაშვილს შეეხო. ოცდაერთი წლის ჭაბუკმა განსჯის საგნად აქცია ერეკლეს გადაწყვეტილება და შექმნა „ბედი ქართლისა“.

დღეს უკვე თამაშად ვამბობთ, რომ სწორედ რუსეთის ნაქვებით შემოესია ქვეყანას ძლიერი მტერი ალა-მაჰმად-ხანი. გრ. ორბელიანის „მგზავრობაში“ ვკითხულობთ: „ყი-ზილბაშნი ჰსწყევდნენ ალა-მაჰმად-ხანს ტფილისის ნახდენისთვის, როცა იყო მიზეზი რუსების გადმოსვლისა“. 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი გმირი სოლომონ დიდაშვილი ნიკოლოზ ბარათაშვილის მასწავლებელი და იდეური ხელმძღვანელი იყო. მისი წყალობით იცოდა ტატომ, რომ „მთავარია გრძნობებსა და აზროვნებაში არ ჩაიჩოქო“. აკი თავდაც წერდა ერთგან გრიგოლ ორბელიანს ნიკოლოზი: „ქართველთ არ სძინავთ გონებით...“ ჩრდილოსმან ქარმან“ მასაც დაჰქროლა“ ძნელი და უიშვლო იყო მისი ყოფნა, აუტანელი - სიცარიელის შეგრძნება. იგი ეპოქის მსხვერპლი გახდა. მისი თავისუფალი სულის მოძრაობა არ გამოპარვია რუსეთს. იგი შეენარა თავის ადამიანურ მრწამსსა და სამშობლოს სვე-ბედის ძიებას. პავლე ინგოროყვა - დიდი და სახელოვანი მეცნიერი, საგანგებოდ მიუთითებს: „ცარისტულ ხელისუფლებას შეუმწეველი არ დარჩა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი გახდა ცენტრი, რომლის გარშემო ერთიანდებოდა ყველა ცოცხალი ძალა ქვეყნისა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არის ნამდვილი ხელმძღვანელი გონებრივი მოძრაობისა საქართველოში. იგი, არც თუ სიფრთხილეს იჩენდა. მან საჯაროდ მოიხსენია აუგად იმპერატორი ნიკოლოზ I. იგი გამხდარა ცარისტული ხელისუფლების მუდმივი მეთვალყურეობის საგანი“. ბარათაშვილის ეპოქა მისი სულის რეჟიმი იყო. მას აფორიაქებდა და ანვალბდა ერთი აზრი - „სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი...“ სამუხელო არ იყო. უუკლმა ტრიალებდა ქვეყნის ბედის ჩარხი... არც მისი სიკვდილი იყო შემძვევითი, იგი, როგორც არასასურველი, თავიდან მოიშორეს, კვლავ პავლე ინგოროყვას დავიმონებთ: „ნიკოლოზს პირდაპირ „მიაჩნეს“ სამსახური ავთვისებიანი მალარიით განთქმულ განჯაში“. ფაქტია, რომ იგი განირეს ქვეყნის მტრებმა, სიცოცხლე მოუნამლეს, არსად გასაქანი არ მისცეს. უსახსროდ უწევდა ცხოვრება. სულს უხუთავდა საშინელი ატმოსფერო. არც მისი გადმოსვენება დატოვეს უფულისყუროდ, დღემდე დაცულია საიდუმლო მოხსენება თბილისის ფანდარმთა სამმართველოს უფროსისა გაგზავნილი პეტრებურგში პოლიციის დეპარტამენტში 1894 წ. 7 მარტის თარიღით. დიდხანს იტყვდა მტერი თავს და საგონებელში იყო, რადგან საქართველომ ყოველთვის იცის ფასი ერთგული შვილებისა, დაუვიწყარია მათი ზნეობრივი სამსახური, ვინც ამაგი დასდეს ერს.

კიდევ ერთი დიდი მოღვაწე და მოამაგე ერისა, რომელიც რუსეთს სულს უმღვრევდა, ამფოთებდა და ინტრიგებს ახლართვინებდა დიდი ილია იყო. აქაც პავლე ინგოროყვას დავეყრდნობთ: „ილია ადრიდანვე იმყოფებოდა პოლიციის საიდუმლო განყოფილების მეთვალყურეობის ქვეშ, როგორც „არაკეთილსაიმედო პირი“. მეთვალყურეობა გაძლიერებულა 80-იანი წლებიდან - „საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესება გადაუწყვეტილი პეტრებურგში, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დეპარტამენტში 1884 წ. 21 ივნისს, რის შესახებაც საპოლიციო დეპარტამენტის უცნობებია თბილისის საგუბერნიო ფანდარმთა სამმართველოსთვის... პოლიციის ეს საიდუმლო მეთვალყურეობა ილიაზე, დაწესებული 1884 წ. უვადოდ - „всв покой“ - როგორც აღნიშნულია დოკუმენტებში, გაგრძელებულა ილიას მთელი სიცოცხლის მანძილზე, ვიდრე მონამობრივად არ გამოასაღმეს სიცოცხლეს“. დიდ მწერალს ხშირად ასმენდნენ სხვადასხვა ინსტანციებში. ასევე ჩაშალეს მისი სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილე, რომელიც 1898 წლის 9 აპრილს უნდა გამართულიყო. მაგრამ ამ იუბილეს გამართვა მთავრობამ აკრძალა. „მთავრობა იძულებული გახდა გამოემუდღავებინა, რომ ილია ცარიზმის მიერ „არაკეთილსაიმედოთა“ შავ სიაში იყო ჩარიცხული... მთავრობამ იმის ნებაც არ მისცათ გაზეთში გამოეცხადებინათ იუბილეს გადადება“ - მიუთითებს პავლე ინგოროყვა. ილიას მკვლელებს რუსულ კვალზე გავყავართ. ილიას

მკვლელობა ჩაიფიქრეს და აღასრულეს ქართველთა შემწეობით. ამ საქმის ბილნი შემსრულებლების მიღმა ფილიპე მახარაძე და „ვინმე იმერელი“ - სერგო ორჯონიკიძე იდგნენ. მიხეილ ჯავახიშვილს საგანგებოდ აქვს მითითებული: „მალე ერთი უცნაური ხმა გაავარდა: ფანდარმერიამ პეტრებურგს ილიას მოკვლის ამბავი რამდენიმე საათით უფრო ადრე შეატყობინაო“.

XIX-XX საუკუნეები ბრძოლის ეპოქაა...

კვლავ დაბრუნდა „სახეშეცვლილი“ რუსეთი ბოლშევიკური სასტიკი ნაბიჯებით... „ხან-მა უნდობარმა“ არ დაინდო დიდი მწერლები - ტიციანი, ნიკოლოზ მინიშვილი, პალო, მიხეილ ჯავახიშვილი... ბოლშევიკური ბედისწერა ყველას ჩაუსაფრდა. ნითელი სენი და საფრთხე ქვეყანას მოედო და მოიცვა... „დადიოდა თბილისის ქუჩებსა და სასაფლაოზე, როგორც დამსხვრეული საქართველოს შემოლილი ძეგლი“ - ასე ტერენტევი შეფასდება, დროისგან განანირი, - „იგი იყო „ღრუბლების პრინცი“, მაგრამ ბედის განაჩენით მინაზე ცხოვრობდა როგორც სწული მანანალა... ცისფერ შორეთს ეტრფოდა და ტალახში ეცემოდა“ - ასე წერენ მასზე, ვინც დრომ შეშალა, ყველასა და ყველაფერს მოსწყვიტა, გაიმართოვა და საგეჟეთში გამოასალმა მარტოხელა სიცოცხლეს. მათ გულით დაჰქონდათ საქართველოს ღირსი ტკივილი...

კვლავ გრძელდებოდა ქართველ მწერლებზე დანესებული საგანგებო მეთვალყურეობა, კვლავ დარაჯობდა მათ ავი ბედისწერა. იქცეოდნენ ქვეყნის გზადაღმართზე ერთგული და ალალი შვილები.

სხვა პოლიტიკური ატმოსფერო იდგა, ეს ჰაერი ყველას წამლავდა. ნითელი რუსეთი ვერ იტანდა განსხვავებულთ.

პროფესორი რუსუდან ნიშნაინიძე იმონებს სუკის ყოფილი პოდპოლკოვნიკის ილია ბარამიძის სიტყვებს, მისივე წერილიდან - „კონსტანტინე გამსახურდია სუკის მეთვალყურეობის ქვეშ იყო 1921 წლის 25 თებერვლიდან გარდაცვალებამდე“ (გაზ. „ლიტ. საქართველო“ 1.XI. 1991 წ.).

ასეთი დრო ძალღონეს ართმევდა ადამიანს. ქვეყნის სვე-ბედის ჭირისუფლობა მარტოსულობას უდრიდა... დროის პროტესტი ნოველებშიც გამოიხატა. შეგჩრდები კონსტანტინე გამსახურდიას ნოველზე „ზარები გრივალში“. მწერალმა გვიჩვენა ადამიანი ღმერთთან მიახლოების ნუთუბში, მაგრამ ავბედითი დროც დაგვანახა. მნათე ოქრო-პირ-უცნაური ადამიანი, არც თუ დიდი ღირსებით გამოჩნეული, უპრეტენზიო, უჩუ-მარი, მაგრამ თავდადებული, ერთგული მუშაკი მინისა და ცის... ნურვილი ღმერთისა არღვევს დროის მყუდროებას. ასეთი დიდი რყევა და განცდა ყოველთვის პიროვნების მარცხით მთავრდება... მარტოსული იგი და პრობლემაც ამაშია. ყველა მოუცავს სულიერ ძილსა და გადაგვარებას. გარემო სიმუხთლე ბრამაა მის მიმართ. მან დედამინაზე მოიხილა განდევნილი ღმერთი... მისი სამრეკლოზე ასვლა შეცვლილი გარემოსადმი ტკივილიანია განცდა, რატომ იყო „ნებაყოფლობით მგლოვიარე“? ეს ტვრითია, არჩევანი!... მინიშნებულია დრო, რომელიც უტყვი და ადამიანის სულისთვის არავითარ საზრდოს არ იძლევა. მღვდელი უკეთ წარმოადგენს სახეშეცვლილ დროებას. დავიწყინა თავის დანიშნულება და პატიოსნებაც დაკარგავა. ყველა საქმეში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა პატიოსნება, მასზე უარის თქმა გადაგვარების ტოლფასია. ამ ფონზე ჩნდება მნათე - ღვთისშვილი, უპრეტენზიო, შეუმჩნეველი. უსახო ყოფას გაუხიზნია თითქოს... მისი სინდისი ვერ დაჟურდება. პატიოსნება აიძულებს მნათეს ავიდეს სამრეკლოზე!... ძველი სამრეკლო ჩამოიქცევა ცოცხელი დედამინაზე და თან დაიტანს მნათე ოქროპირს. ეს გარდუვალობაა ბედისწერისა. ეს ასე უნდა მოხდეს, რადგან ქვეყანა შეუბრძოდა ძველი გზისა და სასოების დაკარგვას. მარტოკაცი ვერაფერს განწყობს. იგი იღუპება დიდი სიმართლის ნუთუბში, განწმენდილი... მრავალს ექცეოდა თავზე წყეული სამყარო... სიყალბე გაერია დროს, მნათეს გული კი კვლავ სუფთაა. ამგვარი უბრალო და წმინდა გულების არსებობა აკლდა ქვეყანას.

ახალი დროის მიუღებლობა მთელი სიმწვავით დადგა მწერალთა წინაშე. დრომ გამოიჩინა ადამიანის უპირატესობა და ღირსება, დაინერგა შიში, უმოქმედობა. აღზევდა ბოროტება - განუყოფლობა. ნიავდებოდა წლობით ნანვალბე-დაგროვილი ქონება. ყველაფერი ერთ მიზანს ემსახურებოდა - ადამიანის დათრგუნვა-დამორჩილებას, დამდაბლებას, გატყუვას. კვდებოდა ადამიანის ლაღი გენი, სამაგიეროდ ლაღდებოდა საბჭოთა რეჟიმი. ადამიანის გულში სკეპტიციზმი იდგამდა ფეხს. ეს იყო უჟიდურესი გამეტება ადამიანისა (მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობა „დამპატიყე“).

ქართველი სულის მოთქმას, ძალღონის მოკრებას მწერლობითა ახერხებდა. დროის შეფარვით თუ აშკარა კრიტიკა გამბედაობას ითხოვდა შემოქმედთაგან. საგულისხმოა რევაზ ინანიშვილის მოხთობა - „ფრთხებიან ყვევები დამაჩინ ხმაზე?“ თავადი ვიტენშტინი სხვა წარმომავლობის კაცია და სხვა დროის სულისკვეთებას ატარებს. სამოციც სხვა აცვია - ჩოხა; ხანჯალიც არტყამს ნელზე. ჩაცმულობითაც ხაზგასმულია მისი პიროვნების რობა. ზედმიწევნით კულტურულია და თავაზიანი, შემართულიც, რათა არაფერი გამოეპაროს. ვაჟკაცი ხომ არ უნდა მოდუნდეს. მისი სრული ანტიპოდა რუსი გენერალი - მოუხეშავი, არასასიამოვნო ტიპი, კადნიერი, მოურიდებელი. თავადი ალლოტი მიხვდა ვინც იყო იგი. ზამთრისპირის დღე არაა შემთხვევითი დრო, იგი მაუწყებელია ცხოვრების სუხისხისა. ნაღვლიანია დღეცა და თავადიც. ეს სხვა უხილია ძველი დროის რაინდისა, რომელიც უჩვეულო გარემოში მოხვდა, სხვა რეალობაში. ახალი ყოფა არაფრით ჰგავს ძველს... გენერალს ქალი ახლდა. ალლომ, არც აქ უმტყუნა თავადს, წყვილი ერთმანეთის შესაფრისი იყო. მაინც გულზე მოხვდა არაადამიანური საქციელი, უკაცური ფესტი, როცა ქალს ურიგოდ, დაურიდებლად მოექცა გენერალი. ვაჟკაცისთვის შეუფერებელი ამგვარი რამ. გულმა არ მოუთმინა თავადს. იქნებ გზა გამრუდებული ქალიც შეეცოდა, მაგრამ გენერალისთვისაც უნდა ესწავლებინა ჭკუა. ცუდი საქციელი ძნელი ასატანია. უკეთურობის მოთმენა არ შეიძლება. ვაჟკაცი ასეთ დროს ვერ დადუმდება. გენერალი სილას დაიმსახურებს, ეს სილაა უღირსობის, ურცხოვობის, სიმდაბლის მიმართ... ეს მორალური თავგამოდება თავადის მხრიდან. თავხედ და უცილებლად უნდა მოეკითხოს დროულად პასუხს. დღელს სთავაზობს გენერალს და თავიდანვე ნაგებულია ეს დუელი თავადის მხრიდან. ფაქტიურად, სიკვდილზე მიდის იგი...

თოვლია გარეთ - სისუფთავისა და სისპეტაკის ნიშანი. დღე სუსხიანი - მკაცრ და პირქუშ ცხოვრებას რომ ჰგავს. მკერდში მოხვდა თავადს ტყვი, ადამიანურად მღვდვარე გულში. მუხლებზე დგას ვაჟკაცი, არ ნაქცეულა ლამაზი აღსასრულის წინაშე. ქუდი ახადა მისმა ნასროლმა უღირსს, ქუდი - ნამუსის სიმბოლო! ფანდარმი არავის უმგებს, ზედმიწევნით დაცულია ყველა ნორმა. წერილმანებს იცავენ, სიდადევი კი, არც ანტერესებთ - რა რისთვის მოხდა.

თავისი და სხვისი ღირსების თანაბრად დაცვას შეენარა თავადი... ყვავი ლიტერატურაში სიმბოლოა უმცრების, უგრძნობელობის და აქ, იმ ადამიანების, რომლებსაც არასდროს არაფერი შეძრავთ და შეაკრთობთ. სულიერი ძვრა ძნელია გონებაზე მღვდელთათვის. მათი ურყეობაა ხაზგასმული. ასეთია ისტორია სამეგრელოს მთავართა უმწვენიერესი შთამომავლის პაპა დადიანის ვაჟიშვილისა და გენერალ ნუ-მოვისა.

ასე იტვირთა მწერლობამ მძიმე სათქმელი ქვეყნის ბედი.

ლალი ბარამიშვილი
ფილოლოგი, მკვლევარი

„ეკლესიაში ანაფანია საიღუმლო და ღაფანული“

საგოლოო ზეჲილი კათოლიკოს-პატრიარქის

დასაწყისი მე-13-14გვ.

ნიკორწმინდა კი... მისი გასაოცარი ჩუქურთმები ადიდებს მხოლოდ მეჩუქურთმეს და დედა საქართველოს, მაგრამ პატრიარქს არა. ყველას ადიდებს, მეუფეო ჩვენი, ჩვენი ტაძრები. ჩვენი ფრესკები და ყოველივე, რაც შეუქმნია თავისი შრომით, თავისი სისხლით, თავისი ოფლითა და აზროვნებით ჩვენს ერს დიდებულს; ყველას ადიდებს - მკვდრებსაც, ცოცხლებსაც, დღევანდელ დღეს და ხვალისდღეს, გულმზურვალედ გთხოვთ, თანაბარი გრძობით იზრუნოთ ყველა ჩვენი ტაძრისათვის. თქვენ ყველაფერმა უნდა გაქოთ, გადიდოთ, მაგრამ დღეს კი არა - მომავალში, წლების შემდეგ, როდესაც თქვენი მარჯვენისა და აზრის კვალი დააჩნდება ყველა ტაძარს: სიონს, ქაშვეთს, მიტოვებულ იტრიის ტაძარს, შებათქაშებულ სვეტიცხოველს და ნიკორწმინდას; ნუ დაივინებთ ახალციხეს, ბოდბეს და ვალეს, საჩხერეს ნახეთ, ჩამოფრინდა ცით წმინდა ნინო, თქვენს მობრძანებას ელოდა ტაძრის საკურთხად; ატოცვიც ადით, მღვდელი გაგზავნეთ, ან დეკანოზი უნდა გიორგის ეკლესიაში. რატომ მიანდეთ ატოცის ბედი შემთხვევით ვინმეს. უქნარასა და უფუაროს? ვინც იურჩებს და უარს იტყვის იყოს ატოცში, ღირსი არაა იყოს საქართველოს ეკლესიაში. რატომ უნოდებთ ასეთ დასკვნას თქვენ მრისხანებას? ასეთი დასკვნის და სიმართლის თქვენ გეშინიათ, იმიტომ, რომ იცით - სამართლიანად დასჯილი კაცი, ხმას არ მისცემს თქვენს განდიდებას.

ო, ეს წყურვილი სულთამხდელი, განდიდების ცხელი წყურვილი! როგორ აწვალეს თვით პატრიარქს, ღვთისაგან რჩეულს; როგორ აიძულეს თვით მოყვასთაც, ერთგულებას მისას., თქვენ ვერ იტანდით სხვის აზრს, სხვის სიტყვას. გარეგნულად მშვიდსა და მომთმენს, მოსვენებას გიკარგავდათ სხვათა ნათელი აზრის გამოქმდა, ამის გამო ფაქტიურად უმოქმედო იყო ჩვენი სინოდი. სხდომების დროს სინოდის წევრებმა არ იცოდნენ, თუ რა საკითხი იდგა. სხდომა იწყებოდა და საკითხები ცნობილი ხდებოდა მხოლოდ თითოეული მათგანის განხილვის დროს, პირველ აზრს განსახილველ საკითხზე თქვენ გამოთქვამდით და შემდეგ ეკითხებოდით სათითაოდ სინოდის წევრებს: „თქვენ რას იტყვიან“ ვინ გაბედავდა რაიმე ეთქვა წინააღმდეგი, როცა თქვენ უკვე განაცხადეთ, რაც გნებავდათ და როგორც გნებავდათ?

ზოგჯერ ისეთი გზით გინდოდათ განდიდების მოპოვება, რომ ბავშვური იყო, სასაცილოც და საველალოც ის ოცნებები. მაგალითად, საქართველოს ეკლესიის ადგილის შეცვლა მართლმადიდებელ ეკლესიათა რიგით სიაში, იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის კომპლექსის კვლავ საქართველოსთვის დაბრუნება. ვინ უნდა გაგეზავნათ ჯვრის მონასტრის დიდ კომპლექსში, სამას ოთახში, როდესაც შიო მღვიმის უმოქმედოდ და მოუვლელად მიტოვებული „მოქმედი“ მონასტერი დაეკარგეთ იმის გამო, რომ ერთი ბერიც ვერ მოვნახეთ იქ გასაგზავნად? რა არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის კეთილდღეობისათვის მართლმადიდებელ ეკლესიათა სიაში ჩვენი ეკლესიის ადგილის შეცვლას? ამით მხოლოდ თქვენი სიამაყე დაკმაყოფილებოდა, ვინაიდან სათქმელი გექნებოდათ: „ნახეთ, მე რა გავაკეთე, როგორი დაჩაგრული იყო ჩვენი ეკლესია და ჩემმა სიბრძნემ ამოიყვანა ჯურღმულიდან“. რაში გეჭირდება, ოცნებებს აყოლილი ღობე-ყორეს მივედით და ვერ დავინახოთ, როგორ სტირიან ნიკორწმინდის გასაოცარი ჩუქურთმები, როგორ იშლება იტრიის მშვენიერი ტაძრის კედლები წვიმისა და თოვლისაგან. ჩვენ არა გვაქვს საეკლესიო სამართალი, საეკლესიო დებულება, ის დებულება, რომელიც გვაქვს, სრულიად უგვანო და უფარგისი იყო იმ დღისთვისაც კი, როდესაც იგი შეადგინეს; არ არის დაკომპლექტებული და მოწესრიგებული საპატრიარქოს არატი; ანგარიში არა აქვს თქვენს მიერ აყვანილ რეფერენტებს, რომელთა უმრავლესობა არაფრიდან არარას აკეთებს და ღებულობს ხალხის შემონიშნულობიდან თავის „გასამრჯელოს“. საქართველოს საპატრიარქო ებარქება და მათში არსებულ ეკლესიებს კი არ ემსახურება, არამედ ანარმოებს საგარეო მიწერ-მოწერას და ემსახურება ისევ საპატრიარქოს, ე.ი. საკუთარ თავს. „საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო“, - უთქვამს გაჭირვებულ კაცს. ასეა ჩვენი საქმეც: საითკენაც არ უნდა მივბრუნდეთ, ყველგან მოთქვამს ობლობა და უპატრონობა, უმოქმედობა და უთავბოლობა, სიცრუე და მლიქვნელობა... ასეთი მდგომარეობის ფონზე კიდევ პრეტენზიით ვაცხადებთ: „არიქა, არ გაბედოთ და ხმა არ ამოიღოთ, თორემ ამ ამბების გამხელით შერცხვება საქართველოს ეკლესია“. რომელ სირცხვილზეა ლაპარაკი, როდესაც განსაცდელშია საქართველოს ეკლესია. მამათმავლები შესევიან მის სინმიდეს, მტვერსა და ჭუჭყს სრულდება ბევრგან უწმიდესი წირვა და ლოცვა, მანკიერების სატანა სუნთქავს აზრსა და მოქმედებაში. რა უნდა იყოს და სად უნდა იყოს

იმაზედ მეტი სირცხვილი და შეუკავებელი სიამაყე, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მისი სინოდის თორმეტი წევრი (რა თქმა უნდა, მამათმავლებიც მათ რიცხვში) გამოხატეს დიდების ტაძრების კედელზე? არ დაჯერდა დიდი მადა ამ არგაგონილ ამბავს, აიღეთ და თქვენი თავი დაახატინეთ ტაძრის მეორე კედელზე, თამარ დედოფლის გვერდით, რა ჰქენით? ხალხს რა შეკადრეთ? სად მოიკრიბეთ ასეთი გამბედაობა თუ კანდიერება, რომ წმინდანთა შორის დაიმკვიდრეთ თქვენი სავანე? როგორ ინებეთ, რომ ტაძარში სალოცავად შესულ ქართველებს თამარ დედოფლის გვერდით თქვენი სახისთვის ეყურებინათ? ღმერთო ძლიერო! რა ვუნდოთ ამ მოქმედებას? ესაა საოცრება და საშინელება ერთად შერწყმული. ეს სიმდაბლაც არის და კანდიერებაც. მშვიერი კაცის თავგანწირვაც და გაუმადლობაც არნახული, არგაგონილი. რამ მიგიყვანათ და ვინ მიგიყვანათ ასეთ უძირო ზღვა ცდუნებამდე, რომ ეს გააკეთეთ პატრიარქმა ჩვენი ქვეყნისა? მაგრამ ვაი, რომ არც ეს იკმარეთ, ადამის ძეო! სიონის ახალ მიწაზე გათქმული თქვენი სახე და მინანური: „ვახტანგ გორგასალი“. რას არ იფიქრებს სულ ბევრის და ბევრის მსურველი კაცი?! სახე ნაცნობი - ღმერთმა აცოცხლოს - ჩვენი ცოხალი პატრიარქისა, სახელი კი დიდად განთქმული ვახტანგ მეფისა! აი, ეს არის დაბადება ჯერ არნახული - იყო მეფეც და პატრიარქიც ერთი ქვეყნისა; იყო მამა ზეციერიც და მინიერიც მთელი ერისა. აი, ეს გახლავთ „ორსახეობა რაინდისა“, რაღაც სამაგალითო და საჩვენებელი ახალგაზრდა სამღვდელთათვის. ესაა სასწაული ამოოვების ცდუნებისა. მეტ წერილს ჩვენ თქვენ აღარ მოგწერთ. რაც მოგწერთ და ვითხოვეთ დღევანდელ დღემდე, სამართლიანია სათამდე, და ამისათვის უნდა აღსრულდეს ღვთის მონყალებით გულისთქმა ერის:

1. ოთხ მამათმავალს უნდა ჩამოერთვას სამღვდლო ხარისხი და გაიგზავნონ ბეთანიაში.
 2. უნდა განთავისუფლებულ იქნან საქართველოს ეკლესიაში მუშაობისგან პატრიარქის ოჯახის წევრები, რომელთაც მიღებული არა აქვთ სამღვდლო ხარისხი.
 3. დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის კედლებიდან უნდა წაიშალოს პატრიარქისა და მისი „მოციქულების“ ნახატები და მათ ადგილზე დაიხატოს წმინდანები.
 4. კათალიკოს-პატრიარქმა უნდა გაითვალისწინოს ნარსულში მის მიერ დაშვებული შეცდომები და დაადგეს მუშაობის სწორსა და ნაყოფიერ გზას.
 5. წმიდა სინოდმა უნდა დაიკავოს თავისი მოქმედი ადგილი ეკლესიის საქმიანობაში და გამოვიდეს იმ გაუგებრობიდან, რომელშიც იყო დღემდე.
 6. ჩვენ წერტილს ვსვამთ ამ წერილზე, მაგრამ თუ არ აღსრულდება ჩვენი სამართლიანი ხუთი მოთხოვნა, წერტილი არ დაესმევა ჩვენს მისწრაფებას და მოქმედებას ამ მოთხოვნათა აღსასრულებლად.
- სასურველია, მომავლისათვის პატრიარქმა გაიზიაროს ის აზრი, რომ არც დიდისა და არც პატარა ადამიანის აბუჩად ვადება, რა გზითაც არ უნდა იყოს ეს გამოხატული, ქრისტიანული მეთოდი არ არის; არ უნდა დაგვაკინყდეს, რომ დუმილი და არაფრის თქმა სიბრძნე არ არის, სიბრძნე არის ნაყოფი დიდი გონებისა, მეტყველებით განცხადებული.
- ისიც უნდა მოგახსენოთ, დიდო მეუფე, რომ ჩვენ მთელი სიმკაცრით გვაქვს შეგნებული ის დიდი გულისტკივილი, რაც ჩვენმა შვიდთვიანმა საქმიანობამ მოგაყენათ. მაგრამ ამავე დროს გვჯერა რომ არაფერი გვაქვს თქვენს წინაშე მოსანანიებელი, ვინაიდან ჩვენი ყოველი ნაბიჯი და მოქმედება ცათამდე სამართლიანია. თავიდანვე რომ არ ყოფილიყო ჩვენი ასეთი დაჯერება, არ გადაიდგებოდა ჩვენგან არავითარისაგან ნაბიჯი აღარ იქნებოდა არც შვიდთვიანი საქმიანობა. ჩვენ მიგვანჩია, რომ ვაკეთებთ იმ საქმეს, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო და არ მივყვებით ზიგზაგებს, არამედ მივდივართ პირდაპირ, მართალი, პატიოსანი გზით.
- ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ ჩვენც დიდი ნაშემა მოგვაცენა ამ შვიდმა თვემ, იმ აშკარა უსამართლობამ, რომელსაც თქვენ იჩენდით ჩვენს მიმართ. საბოლოოდ, ვითარცა მონანი ღვთისა და ქრისტესმიერი შვილი თქვენი მუხლს ვიდრეც თქვენი მალალი პატივის წინაშე და გემუდარებით: დატოვეთ განდიდების ყალბი მწვერვალი და შეუდეთ თქვენი მოვალეობის შესრულებას.
- თქვენ მომავალი განგადიდებთ არნახულად, არგაგონილად.

შიო ავალიშვილი - ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი
 აბროსი ქათამაძე - ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი
 30 ივნისი, 1983 წელი, ქალაქი თბილისი.

ვარაზ ვარაზიშვილი

დიდამდეც ელოდა გულგახეთილი დედა.
 მესამე დღეს იქ, რუსთაველის გამზირზე აბსოლუტურად შეწყდა სროლა. დარჩა მხოლოდ კანტი-კუნტად მობოროილე ხალხი - თანაც მოშორებით, სადღაც უნივერსიტეტის მიღმა - შემოღობილი სახეებით და დაზაფრული... ახლოს კი... იქ, №1 სკოლის მიდამოებშიც ჩანდნენ ადამიანები, ოღონდ, შეზარხოშებულნი და მოხორბოცენი. ზოგიც პაროდისტობდა, ზოგი სასმელს ეტანებოდა. მოკლედ - ლაღობდნენ...



... ზვიადელებმა, პრეზიდენტის მსგავსად, კეთილშობილური ახსნა მიუსადაგეს ამ ხანმოკლე „პაუზას“ - ალბათ გონს მოეგნენ და აღარ ისვრიანო და გულუბრყვილობა მცირე ჯგუფი იმედმოცემულნი დაეშვენენ პარლამენტის კიბეებზე - ამბის გასაგებად. ვარაზიც ამ გუნდს გამოჰყვა! ახლაც არავინაა დამნახავი და მალიარებელი, საიდან და რომელმა მოთვალთვალემ გამოჰკრა თითი სახლელს! იქვე, ქაშუეთის ტაძრის მიმდებარე ადგილზე

გარეგნულად თვალმახარი, ისეთი ათინათი ადგა სახეზე - გვეგონა ეს შუქი სიბერემდე გაჰყვებოდა; პროფესიით - მეიარაღისა და მეომრის სრული ანტიპოდი - მუსიკოსი გახლდათ.

... შიშველი ხელებით შეაბიჯა პარლამენტის შენობაში 1991 წლის 21 დეკემბერს, მეგობრებთან ერთად. მთელი დღე ასისტენტივით მუშაობდა მედიკ დედასთან ერთად დაჭრილების პირველადი დახმარების აღმოსაჩენად და, მერე, საავადმყოფოში გადასაყვანად.

... გამთენიის უამს იმავე პარლამენტის I სართულის ერთ-ერთი ფანჯრიდან გადმოგვსვეს ვარაზმა და მისმა მეგობრებმა დედამისი და მე... (ხანძარგაჩენილი მხატვართა სასახლის შუქზე თავქვედაშვებულებმა ერთხელ კიდევ გამოვიტირეთ საქართველოს ბედისწერა მაშინ... ეხვედა შვილს დედა, ბარემ შენც წამოდი, ღამდება, შვილო; ავეტომატი შენ არ გიჭირავს ხელთ და ტყვიები შენ არ გაქვსო... გათენდება და ისევ მოვიდეთო აქ.

შორს დაიჭირა - ბიჭებს ვერ დავტოვებ, ეგ ლალატი იქნებაო, დე! ხვალ დილით მე თვითონ მოვალ შინ, ნუ გეშინიაო...

... არ მოვიდა დათქმულ დროს... საღამომდე, მეორე

ერთბაშად მოიცვალა ოთხი თუ ხუთი უიარაღო ქართველი. მათ შორის, ვარაზიც.

... მხოლოდ მეხუთე დღესლა იპოვეს იგი, დედამ - კლარა შედანიამ და ძმამ, აკაკი ვარაზიშვილმა, რომელიც პროზექტურაში - სხვა ახალგაზრდებთან ერთად გასისხლული და გაშეშებული.

... რუსთაველზე კი გრძელდებოდა სამარცხვინო იერიში პარლამენტის „მისადგომებზე“ (ზოგი ამ „აქციის“ მონაწილე ამავე შენობის მალალ კაბინეტებში გვეგულედა დღესაც!).

ბევრი ქართველი არამზადის მიერ აუკანკალელები ხელით ნატყორცნი ჰაუბიცები ანგრევედა პარლამენტის ფასადს, შემოგარენს. სპობდა სიცოცხლეს...

ასე მალე ამოიწურა ვარაზის ბიოგრაფია! არ დააცალეს ოჯახის შექმნა და ერის გამრავლება. ქარში მონაწილე აკორდები, ავტორისეულ ჩანაფიქრის მიხედვით, ველარასოდეს აუფერდება კლავიშებზე. მუსიკოსი, ვინაც საკუთარი სიცოცხლე მოკრძალებულად შესწირა საქართველოს მარადიულ სინათლეს 1991 წლის 22 დეკემბერს.

მოგვიანებით ცრემლმუშურობმა დედამ, მონატრებული შვილის ფორტეპიანოს ფერებისას, ინსტრუმენტის კლავიშების სიღრმეში, ნოტებისა და ორიოდ რვეულის ლამაზი შებანტული გრანგნილი აღმოაჩინა. თურმე საკუთარ კომპოზიციებს ქმნიდა და ამზადებდა სასცენოდ?

არც ეს დააცალეს!

რამაზ ქართველიშვილი

რუსეთის იმპერია მარბივ მამრავლად იშლება (დაიჯესტი)

მოსკოვში სერიოზულად არიან შენუხებულები რუსული სეპარატიზმით, რომელიც უფრო ხშირად ხდება საზოგადოებრივი განხილვის საგნად, როგორც პრესაში ასევე დედაქალაქის პოლიტიკურ ტრუსოვებში.

„ჩვენ ვცხოვრობთ ერთიან ქვეყანაში და არ ვაპირებთ მშვიდად ვადევნოთ თვალი ზოგიერთი ძალის მცდელობებს გამოაცხადონ „აღმოსავლეთის იქერია“ — განაცხადა „ნეზავისიმაია ვაზეტას“ ჟურნალისტებთან საუბრისას „კამიშნის საქალაქო დუმის“ დეპუტატმა მალიგინმა.

სხვათა შორის „ცხელ წერტილად“ ხდება არა მარტო ვლადივოსტოკი, არამედ მთელი შორეული აღმოსავლეთის რეგიონის ტერიტორია. ხაბაროვსკში ენერგეტიკოსები დავალიანების გამო შეეცადნენ გაეთიშათ „რუსეთის ფედერაციის შორეული აღმოსავლეთის სამხედრო საჰაერო ძალების და სამხედრო სასაზღვრო ოლქის რადიოტექნიკური ბრიგადა“ ენერგომომარაგებისაგან.

გააქტიურდა, აგრეთვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. მაგალითად, ინგრიამი პარტიზანებმა შეუტყეს რუსეთის ნაიომნიკებს „კამენკის მოტომსროლელთა ბრიგადიდან“, მიუთითებს „НС Портал“ — ი.

რუსეთის ფედერაციის დეზინტეგრაციის პროცესებს ხურადლებით ადვენენ ბენ თვალს არა მარტო თვით რუსეთში, არამედ მისგან განთავისუფლებულ ქვეყნებშიც. ბელორუსის ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე „ტრიზუბ“ გამოვიდა მიმოხილვითი პუბლიკაცია უკრაინულ ენაზე სათაურით „ბოროტების იმპერიის დასასრული — ხალხთა საპრობილემ ინყო შლა შემადგენელ ნაწილებად“.

„გამოვყოთ მოსკოვი რუსეთისაგან“ — ასეთი სლონგით თვით დამზადებული პლაკატები მიმაგრებული იყო გასულ კვირას უცხოური წარმოების მანქანებზე საურავის გაზრდის წინააღმდეგ საპროტესტო აქციის მონაწილე ბევრ ავტომანქანაზე ოკუპირებულ კენინგსბერგში.

საავარიო სიგნალებითა და ანტიენებზე მიმაგრებული ყვითელი ლენტებით ორასზე მეტმა ავტომანქანამ მოანყო მსვლელობა კენინგსბერგის მთავარ მაგისტრალზე — მოსკოვის პროსპექტზე. საპროტესტო ღონისძიების მონაწილენი ჩამოვიდნენ რეგიონში უდიდესი საავტომობილო ბაზრობიდან, კენინგსბერგთან ახლოს მდებარე ბორისოვოს დასახლებიდან.

იმპერიული ბანდების ÆÁÄÄ — ს მებრძოლები მოვიდნენ მოსკოვის პროსპექტზე აქციის დასასრულსა და აქტიურად დაიწყეს ავტომობილისტების დაკავება. დაკავებულთა შორის აღმოჩნდნენ ჟურნალისტების მანქანებიც.

კალინინგრადის აქციების მსგავსი ამგვარი აქციები ჩატარდა აგრეთვე შარში. ვლადივოსტოკში ავტომობილისტების აქცია მოსკოვისაგან დამოუკიდებლობის მოთხოვნით გადაიზარდა სტიქიურ დემონსტრაციაში.

საპროტესტო აქციის შეუერთდა ნოვოსიბირსკიც, გაისმის მოწოდებები შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის რესპუბლიკების შექმნისა, დამოუკიდებელი სათათრეთისა და ზამკირეთისა“.

პრიმორიის გარდა თავისუფლების შესახებ ჩურჩულით საუბრობენ სათათრეთშიც, ტუვამიც, ინგრიამი და ბრიანსკშიც.

ბრიანსკის რამოდენიმე რაიონმა უკვე განაცხადა საძულველი რუსეთისაგან გამოყოფისა და ბელორუსიის შემადგენლობაში შესვლის შესახებ.

იუნგება რუსული საოკუპაციო გამოცემა „Брянск. ру“.

რუსულად მოლაპარაკე ოკუპანტები ძრნიან, მათ არ იციან რა ჰქნან, როგორ შეუშალონ ხელი მკვიდრ ეთნიკურ რუსებს რუსეთის ქვე ეთნობუნად დაყოფაში. ძველებურადვე, ისინი გამოსცემენ პროპაგანდისტულ მაკულატურას, რომელსაც აღარაინ კითხულობს.

ჩეკისტმა ჟურნალისტმა ხინშტეინმა გამოსცა და წარმოადგინა თავისი „ნიგნი“, „ნიგნი“ დაწვლია მამა-მარჩენალ პუტინის „ისტორიული გამოსვლების“ სულისკვეთებით, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსეთის გაყოფა სურთ თითქოს არა მის მიერვე დამონებულ ადგილობრივ ხალხებს, არამედ დასავლეთს..

კრამოლური (КРАМОЛЫ) ავტორი — ნაციონალისტ-სეპარატისტი პროფესორი პეტრე ხომიაკოვი, რომლის ნიგნი „Россия против Руси — Русь против России“, სისხლიანი იმპერიის ძალადობრივად დამონებულ მოქალაქეთა შორის სარგებლობს მზარდი მოთხოვნით.

რუს ოკუპანტებს სხვათა ქვეყნებში შეჰყავთ სიკვდილის თავიანთი ესკადრონები. გადმოსცემს რუსეთის მიერ ოკუპირებული ინგრიის საინფორმაციო სააგენტო:

ჩეკისტებმა არ იციან, როგორ გაართვან თავი სიტუაციას, გადაწყვიტეს დაშალონ და რეპრესიები განახორციელონ ყველა უკმაყოფილოსა და მონინააღმდეგის მიმართ (ვერ იგებენ, რომ ერთი რეპრესირებული ბადებს ათეულობით უკმაყოფილოსა და მონინააღმდეგეს).

პუტინმა უკვე გამოყო 120 მილიონი დოლარი თავის დამსჯელთა აღჭურვილობის — ყუმბარმტყორცნების, სნაიპერის შაშხანებისათვის და დაჯავშნული ტექნიკისთვისაც კი — შესყიდვისათვის.

ჩეკისტების დამპყრობლური ხელისუფლება ერთადერთ გამოსავლად ყველა პრობლემიდან მიიჩნევს უხეში ძალის გამოყენებას.. ეს კი მათ ღუპავთ. ასე რომ, რაც მათ არ სურთ, ისინი თვითვე აჩქარებენ მოსკოვის იმპერიის დაშლის დამამთავრებელ ეტაპს (პირველი იყო 1917, მეორე 1991), გადმოსცემს სააგენტო.

ერთადერთი გამოსავალი არის რუსეთის ფედერაციის დეცენტრალიზაცია (რუსეთის იმპერიის მთლიანად დამოუკიდებელ ქვეყნებად დაშლა — დ.ო.) და ჯალათური სისტემის დათხოვნა.

რუსეთის ქვეეთნოსური ქვეყნების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების წარმომადგენლებს ეჭვი არ ეპარებათ გამარჯვებაში და განიხილვენ, ვის ერგება დიდი პატივი თავისი ქვეყნიდან რუსი ოკუპანტების გაგდებისა.

- როგორც ჩანს თქვენ, ინგრიელები იქნებით პირველები, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კენინგსბერგელები ან ციმბირელები არ დაგასწრებენ.

- იჩქერიათ მისცა სანყისი სტარტი.

- — კი მათ იჩქერიასაც ვერ მოუარეს, ომი გავრცელდა ინგუშეთში, დალესტანში და უფრო ფართოვდება.

რუსეთის დამონებული სუბეთნოსები იღვიძებენ და მზად არიან მიაყენონ დამანგრეველი დარტყმა ჩეკისტურ რუსეთს.



სხნა მხოლოდ ციმბირულ, როსტოვულ, ურალურ, პეტერბურგულ სეპარატიზმშია.

ციმბირული ოფიციალური საინფორმაციო პორტალი „ბაბრ“-I თავის მხრივ აღნიშნავს, რომ თავისუფლებისმოყვარე ციმბირელები მზად არიან ნებისმიერ შემთხვევაში აღსდგენენ საძულველი და დაუპატიჟებელი ოკუპანტების, მოსკოვის ურდოელი პარაზიტებისა და სისხლისმსვლების წინააღმდეგ.

ციმბირში მოსკოვი არ უყვართ. ამ სიძულვილს აქვს მყარი ისტორიული ფესვები — მართლაცდა როსტოვის უნდა უყვარდეთ დედაქალაქი და მისი ჩინოვნიკები ძალადობით გადასახლებულთ, კულაკების, თეთრგვარდიელების, პოლიტიკურების და სხვა დეკაბრისტების

შთამომავლებს? ამას გარდა — მოსკოვი ციმბირს ყოველთვის განიხილავდა როგორც კოლონიას, ციმბირი ყოველთვის განიხილავდა ევროპული რუსეთის მაცხოვრებლებს, ამათუ იმ ხარისხში, როგორც კოლონიზატორებს.

გამოყოფის იდეა ციმბირში მნიფდება დიდი ხნიდან. პირველი რუსეთელი პრეზიდენტის (ბორკა რასსტრელმისკის ელცინის — დ.ო.) და მისი კონსტიტუციის მცდელობებით რუს ხალხს ჩამოერთვა უფლება თვითგამორკვევისა — ჩამოერთვათ ყოველი საერთაშორისო ნორმების უგულველყოფით — მაგრამ პრინციპი სახალხო (ამბოხისა) საელოდ, ჯერ კიდევ ვერცინ ვერ შეცვალა.

რუსეთის ხელისუფალნი უბიძგებენ ციმბირულ სეპარატისტებს აქტიური ქმედებისაკენ. მკაცრი პროტესტი ნავთობსადენის გაყვანის წინააღმდეგ — იგივე პროტესტია ციმბირის, როგორც კოლონიის გამოყენების წინააღმდეგ.

ამავე დროს ფართოვდება საგაფიცო მოძრაობა ჩეკისტ-კაპიტალისტების საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ ციმბირის რესპუბლიკაში.

დასავლეთი არ დაეხმარა კონსტრუქციულ ძალებს, რუსული ქვეეთნოსების ეროვნულ-სეპარატისტებს და არარუს ხალხებს რუსეთის მიერ ოკუპირებული ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენაში, ეს არის უდიდესი შეცდომა, რომლის გამოც ახლა უნვეს ცივილიზებულ კაცობრიობას ზღვევა.

დასავლეთმა ვერ გაიგო და ეტყობა არ იცოდა (რამოდენიმე სოვეტოლოგ მეცნიერის გამოკლებით, მაგ. რიჩარდ პაიპსის და პრეზიდენტ ჯოხარ დუდაევისა), რომ რუსეთი, რფ, ეს არ არის სახელმწიფო, არ არის ქვეყანა, არამედ სისხლიანი შეკონინებული იმპერია, შხამიანი, მომაკვინებელი გველგესლა, რომელიც ყოველთვის იქნება კაცობრიობის მიმართ მტრულად განწყობილი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ დგას იქ ხელისუფლებაში.

ქრისტიანული სიახლეების სააგენტო გადმოსცემს: მოსკოვში გზარავს ურწმუნოება, აზროვნებისგან სრული უარი, რომ ლოცვას შეუძლია რაღაცის შეცვლა, მაგრამ ასეთ საყოველთაო დამახასიათებელ წარმართულ რწმენას, როგორიც აქ არის, მე არ შევხვედრივარ, არცერთ სხვა ქვეყანაში.

სხვათა შორის ბოლოდროინდელი სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად, რომელიც აწარმოა რუსეთის წამყვანმა სააგენტომ, მოქალაქეთა 75% უჩვენებს, რომ ისინი თავს მართმადიდებელ ქრისტიანებად მიიჩნევენ. როგორ შეიძლება ეს ასე იყოს? ქრისტიანობა ხომ ნებისმიერ წარმართობასთან შეუთავსებელია.

ვერ გამიგია, რატომ პირმოთნებენ რუსები — ისინი ხომ აშკარა წარმართები არიან!

გიახსუბთ: ისინი იმიტომ პირმოთნებენ, რომ იმპერიული მონობის 600 წლის მანძილზე ისინი ყველგან და ყველაფერში სიცრუეს მიაჩვიეს.

„პუტინის გეგმით“ საბილოდ ჩამოყალიბებულ ჩეკისტურ სახელმწიფოში უმკურნალებენ მხოლოდ ნამდვილ პოლიტიკურ ავადმყოფებს.

თითოეული ადამიანის, რუსეთსა და მსოფლიოში, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, ზნეობრივი ვალი მდგომარეობს იმაში, რომ იბრძოლოს ჩეკისტური რუსეთის ლიკვიდაციისათვის, ყოველმხრივ ჩაშალოს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები, ამით ისინი მიაყენებენ მაქსიმალურ ზარალს. რამდენადაც ზარალიანია რუსეთი, იმდენად უკეთესია მთელი მსოფლიოს ადამიანებისთვის.

დიმიტრი ორლოვი დაიბეჭდა შემოკლებით

„სიცოცხლეს ვაჭა!“ ..

(წერილი - მილოცვა)

ინინა ტალიაშვილი

„პოეზია უპირველეს ყოვლისაო“ - ბრძანა გალაკტიონმა მე-20 საუკუნეში. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ პოეზია ისეთივე უპირველესია, როგორც მაშინ, როცა სამყარო, ცა და მიწა შეიქმნა.

პოეზიას, მითუმეტეს ქართულ პოეზიას არასოდეს უცხოვრია ხალისით და დაღვინებით, იგი იმ შემოქმედთა პიროვნულ განწყობილებას და სულიერ მოძრაობას გამოხატავდა, რომლებიც უპირველეს პოეზიას ქმნიდნენ, იმ ეპოქის, დრო-ჟამის მოგონებას ასახავდა, რომელშიც ყოველი დროის პოეტს უხდებოდა მოღვაწეობა.

„ყოველი პროზაული ქმნილება ავტორის ბიოგრაფიის მთელი თუ არა, ნაწილი მაინც არის, ლექსი კი მისი ავტორის სულის ბიოგრაფია, მისი სულის კარდიოგრამაა, რადგან პოეზია წამიერ განწყობილებათა თუ შეგრძნებათა გამოხატვა-აღწერაა.“

„თუ ჩემი სულის ნაჟური ერთ მკითხველს მაინც გადაეძება, ან თავისად ეცნობა, ამოდ არ მიცხოვრია და ეგ არის“ ..

ეს გულწრფელი სიტყვები ჩვენი დროის შესანიშნავი ლირიკოსის, უნაზესის, უნატიფესი პოეტი ქალის ბელა შალვაშვილის ახალ წიგნს „ჩიტები წუხან თავის ენაზე“ აქვს წამძღვარებული.

ზუსტად მიუგნია პოეტს, წიგნის ანუ სულის კარდიოგრამის ენისთვის. თუ კი ჩიტები წუხან, ადამიანები, მითუმეტეს, ამ ძნელბედობის და რთული ცხოვრების პერიოდში...

და მაინც რას წუხან „ჩიტები“ რა თქმა უნდა საშობო ტკივილს, „კამკამა ზეცას“, „და... ჯვარს!“ გოლგოთას, იმას, რომ დროება უღმობელია და „გზა მიდის“ და მაინც უნდა გაუძლო, გაუძლო ამოვებას, წუხილს, სევდას, სიძულვილსაც კი... და უნდა „ასწიო თასი“ ... რათა სიმართლეს აეხადოს ფარდა და „ყველაფერი დალაგდეს“.

„ასწი თასი, საყვარელო, ასწი თასი და სიმართლეს აეხადებ ფარდა, არაფერი იკარგება ბუნებაში“



„სიცოცხლეს ვაჭა! - რომ გგონია შა, დასრულდაო, ის კი გრძელდება და ყველაფერს იწყებს თავიდან“ ..

ახდენილი ოცნებების გარდა. ასწი თასი, საყვარელო, ასწი თასი, - მტერს - დარჩენა ამ დაწყებულ თავთან.. არაფერი იკარგება ბუნებაში ჭეშმარიტად დასაკარგის გარდა. უჩინარით გადიქროლებს ყოფა რაშით, საჩინოსას დაგვიტოვებს ქარგას... ყველაფერი სწორად ხდება ბუნებაში მოკვდავისთვის არასწორს რომ ჰგავდა. დასაკარგი რაღა არი... ასწი თასი, რომ სიმართლეს აეხადოს ფარდა; ყველაფერი იკარგება ბუნებაში აუხდენელ ოცნებების გარდა.

ბელა შალვაშვილის ეს ლექსი მთლიანად მოვიყვანე აქ, რათა დაგანახოთ რომ იგი პოეტი-ფილოსოფოსია. მსგავსი ნიმუშები მრავლად მოიძებნება ამ წიგნში. ქალბატონი ბელა თავადაც ბუნებასთან, საქართველოს მთა-ბართან არის ნაზიარები და უჩვეულოდ მრავლისმეტყველად და სიზუსტით გადმოგვცემს ამ ზიარებას.

ეს პატარა წერილი მიზნად არ ისახავს ამ შესანიშნავი პოეტური კრებული სრულყოფილ შეფასებას. ის უფრო ვრცელი და დეტალური შესწავლის შედეგ დაინერება. მანამდე კი მინდა მივულოცო ჩვენს მრავალმხრივ შემოქმედს ახალი წიგნის გამოცემა ოცნლიანი შესვენების შემდეგ. რომელიც, დარწმუნებული ვარ აუცილებლად გაახარებს ჩვენს ჭეშმარიტ პოეზია მოწყურებულ მკითხველს.

აღნიშნული სტატია გამოქვეყნებულია 2007 წელს ბატონი იოსებ ბუაჩიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიის მასალებში.

ჩვენი მიზანია საქართველოს ფართო საზოგადოებას გაეცნოს ამ სტატიის შინაარსი შემოკლებული სახით.

ისინი წერენ - „საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიაზე გამოვლენილია სასარგებლო წიაღისეულის ასობით საბადო და პერსპექტიული ფართობები, სადაც მოიპოვება: ნავთობი, ქვანახშირი, ტორფი, მანგანუმი, სპილენძი, დარიშხანი, ტყვია, თუთია, ბარიტი, ბენტონიტური თიხები, ცეოლიტი, ტალკი, კირქვა, დიატომიტი, ანდეზიტი, დოლომიტი... აღსანიშნავია, რომ საქართველო მიეკუთვნება სასამელო წყლების უმდიდრეს ქვეყნებს... ჩვენი საზოგადოების უმრავლესობა შევარდნაძემ და მისმა მიმდევრებმა დაარწმუნეს, რომ ჩვენი სამშობლო მხოლოდ „ბორჯომის წყლით არის ცნობილი მსოფლიოში და მეტი ბუნებრივი რესურსები არ გავაჩინა“-ო, შეფოთებული იყვნენ და ჩემმა სტატიაში ოდნავ გამოაფხიზლა ისინი (ჩემს სტატიაზე იყო გამოხმაურებები). დიახ, არცთუ ისე ცუდად არის ჩვენი საქმე, საჭიროა მხოლოდ თანხები ამ რესურსების მოსაპოვებლად და წარმოების ასამუშავებლად.

სტატიის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ ჭარბ ბუნებრივ რესურსებზე „რომლის პრიორიტეტულობას საქართველოს ეკონომიკაში განსაზღვრავენ შემდეგი ფაქტორები: რესურსების ბუნებრიობა, სიუხვე, სტაბილურობა, მაღალი ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, ასევე დაბალი კაპიტალის უკუგების ხანმოკლე პერიოდი“ აქვე დასძენენ - „საქართველოს მტკნარი სასამელო წყლის ბუნებრივი რესურსები შეადგენს 573 მ3/წმ, ხოლო საექსპლუატაციო დასაშვებ რაოდენობად ავტორები თვლიან 26 მლრდ ლიტრს დღე-ღამეში (30 მ3/წმ), მაშინ როცა 16 მლრდ ლიტრი საკმარისია მსოფლიოს თითოეული მოქალაქის დღიური ნორმით დაკმაყოფილებისათვის.

ავტორები აგრძელებენ, თუ ერთი ლიტრი წყლის ღირებულება 30 ცენტი იქნა, საერთო შემოსავალი 15 მლრდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, 20%-იანი მოგების ნორმის პირობებში.

ავტორები მიზანშეწონილად მიიჩნევენ: „1) მიწისზედა და მიწისქვეშა მტკნარი სასამელო წყლის რესურსების კონსტიტუციურ დონეზე ქვეყნის სტრატეგიულ რესურსად დაკანონებას, 2) ქვეყნის პრეზიდენტთან სპეციალური სა-

ხელმწიფო კომისიის ფორმირების, წყლის ეკონომიკის სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერას შემდგომი მისი განხორციელების მიზნით“. კომისიის წევრებად უნდა შეირჩეს კვალიფიციური სპეციალისტები: ჰიდროგეოლოგები და ინჟინერ-გეოლოგები.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ავტორების პატრიოტული მიმართება გამოიყვანონ მოსახლეობა „ეკონომიკური კოლაფსიდან“, უმოკლეს ვადაში ყოველწლიური შემოსავლების 15 მლრდ დოლარის ეკვივალენტური მოგებიდან გამომდინარე.

ბატონი გურამი გახლავთ დიდი იოსებ ბუაჩიძის ვაჟი, იმ იოსებ ბუაჩიძისა, რომელმაც დააფუძნა ჰიდროგეოლოგი-

თუკი ჩვენი მიწისქვეშა სასამელო წყლის საშუალებით უნდა გადაწყდეს მსოფლიოს მოსახლეობის სასამელო წყლით მომარაგების პრობლემა, ისმება კითხვა, სულ რაღაც 3,5 მილიარდია საჭირო საქართველოს მოსახლეობის თითოეულ პირს ამ მოგებიდან თვიურად 300 ლარი რომ გადაეცეს, საბოლოოდ რომ ქვეყანა ამოვიდეს ეკონომიური „კოლაფსიდან“ (როგორც სტატიის ავტორები მიგვითითებენ). იმდენად გაგვიმეტა ჩვენმა მთავრობამ შიმშილით სასიკვდილოდ, რომ მე პირადად არა მაქვს იმედი მთავრობა წავა ასეთ ჰუმანურ ნაბიჯზე, მოგვცემს ჩვენი საკუთარი ქონებიდან ჩვენ საარსებო წილს. თუკი ჩვენ ვზრუნავთ მსოფლიოს ყველა მოქალაქის სასამელო წყლით მომარაგებაზე, მაშინ ჩვენი ქონების, სასამელო მიწისქვეშა წყლის ექსპორტისაგან მიღებული 15 მილიარდიდან, განა ასე შეუძლებელია 3,5 მილიარდი გამოიყოს საქართველოს 5 მილიონი მოსახლეობის საბოლოოდ სიღარიბიდან

გამოხმაურება ბატონების გ. ბუაჩიძისა და შ. გიორგაძის სტატიაზე - „ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური განვითარების გონივრული, საქართველოს მიწისქვეშა სასამელო წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საფუძველზე და შრომისა და ადამიანის სიმდიდრე“

ის და საინჟინრო გეოლოგიის დარგი საქართველოში და შექმნა ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სკოლა, რომელშიდაც ასობით მეცნიერ-მუშაკი გამოიზარდა და მათ შორის 11 დოქტორი, სწორედ ამ ღირსეული მოღვაწის ღირსეული შვილი, მაღალი დონის მეცნიერი, გურამ ბუაჩიძე და მასთან ერთად მეორე ავტორი, აყენებს ქვეყნისა და მთავრობის წინაშე ასეთ პერსპექტიულ გეგმას. არც არის გასაკვირი მათი ეროვნული პატრიოტიზმი, შემართება, რევოლუციური მოსოდეება - ქვეყანა გამოიყვანოს ეკონომიური ჩიხიდან, სწორედ ბუნებრივია გურამ ბუაჩიძე და მასთან შ. გიორგაძე რომ აღმოჩნდნენ ამ საკითხის დაყენების და მოგვარების ავანგარდში, ითავეს ეს საშვილიშვილო საქმე, მაგრამ ამასთანავე გამიჩინდა რამდენიმე კითხვა და აზრი: 1. მიწისქვეშა მტკნარი წყლების ინტენსიური ექსპლუატაცია რამდენად შეამცირებს რესურსებს და რა დრო არის საჭირო ამ რესურსების შევსებისათვის? 2. რატომ არის, რომ საქართველოს მოსახლეობა არ არის დაკმაყოფილებული სასამელო წყლით და ამ დროს ძვირფასი რესურსი უნდა გაიყიდოს მსოფლიოზე? 3. ამასთან მჯერა და მწამს ამ საქმის მიზანშეწონილობა და საქართველოს მოსახლეობის სიღარიბიდან გამოყვანის შესაძლებლობა წყლის რესურსების გამოყენებით, მაგრამ კარგად მოგესხენებათ რამდენი 15 მლრდ დოლარი გაუფლანგია ჩვენს სვავ, გაუმადლარ მთავრობას და ვაითუ იგივე მოელის ამ წმინდათანმინდა „ხელშეუხებელ“ სტრატეგიულ რესურსს?

ამოსაყვანად? იგივე შექმლო გაეკეთებინა ჩვენს მთავრობას შარშან, როცა მის ბიუჯეტში 7 მილიარდი დოლარი იყო შემოსავალი. მან ერთი მილიარდი დოლარი არ გაიმეტა მოსახლეობაზე გასაცემად. მსოფლიოში ამდენად დაფასებულ, ხოლო საკუთარ სამშობლოში კი ასე აბუნად აგდებულ მეცნიერებს, რომლებსაც საცხოვრებელი მინიმუმიც კი არ გავაჩინა, არ გვჯერა რომ ჩვენმა მთავრობამ, წყლის გაყიდვით, თუნდაც 15 მილიარდი რომ მიიღოს, ჩვენ რაიმეს შეგვახვედროს, მინდა ეს გაითვალისწინოს სტატიის ავტორებმა. თუკი ისევ მოსახლეობა დაზარალდება, იქნებ საჭიროც არ იყოს ამ სიმდიდრის გამომზეურება და მასზე ყურადღების გამახვილება? სტატია უკვე გადაცემული მქონდა დასაბეჭდად, რომ გავიგე თავზარდამცემი ამბავი. გურამ ბუაჩიძე, მორიგი საველე სამეცნიერო სამუშაოს შესრულების დროს გამოეყო ექსპედიციის მონაწილეებს და ცალკე წასული საკვლევი ობიექტის მოსაძებნად, ფერდობიდან გადაჩეხილა. გურამი იყო საოცრად ფაქიზი, სათნოებით და სიკეთით სახვე პიროვნება და დიდად განვიცდი აუნაზღაურებელ დანაკლისს მის ოჯახთან ერთად.

ელენა აბაშიძე
გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოსა (წინამძღოლი კოტე ჩოლოყაშვილი, გამგეობის თავმჯდომარე ია ბაგრატიონ-მუხრანელი) და კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მხრიდან დღითიდღე უფრო აქტიურდება მუშაობა მეფობის, ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის შესახებ კონსტიტუციური მონარქიის სახით. სულ უფრო ხშირად ტარდება ერთობლივი კონფერენციები, იცემა ბროშურები, იბეჭდება ბუკლეტები მონარქისტული იდეოლოგიის გაძლიერების მიზნით. ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ როგორია მართლმადიდებლური სწავლება საღვთო ხელისუფლებაზე. გთავაზობთ, რამდენიმე თავს „სახელმწიფოებრივი კატეხიზმოდან“ (რედ.)

საქართველოს სახელმწიფოებრივი კატეხიზმი

„ღვთის თვალში არაა იმაზე უკეთესი ხელისუფლება, ვინც ხელისუფლება მართლმადიდებელი მეფისა“
ღირსი სერაფიმ საროველი

დე ნურავინ ირწმუნებს მაცთურთა სისინს, რომელნიც ამბობენ, თითქოს, ქრისტიანისთვის სულერთია სამოქალაქო ცხოვრებაში როგორი წეს-წყობილებაა, - წერს დაუღალავი მისიონერი, ახალმონამე მეუფე ანდრონიკე, - არა, ჩვენ - ქრისტიანები - ამ სოფლად ვცხოვრობთ და ამ ქვეყნიდან არ გავალთ, უფრო ადრე, ვინც შემოქმედმა დაგვიწესა (1 კორ. 5. 10). ამდენად სულერთი სულაც არაა რა ხდება ჩვენს სამოქალაქო ყოფაცხოვრებაში, რადგანაც ცხოვრების ესა თუ ის წესი, ესა თუ ის წყობა ან ხელს უწყობს ჩვენს ცხოვრებას ანდა, პირიქით, დაბრკოლებას უქმნის.

თავისი ზეციური ერთმმართველობის ადარად მოაწყო ღმერთმა მინაზე მეფობა, თავისი ყოვლისმპყრობელობისდა მიხედვით - მეფე თვითმპყრობელი; თავისი წარუვალი სასუფეველისადა დარად, საუკუნიდან და უკუნისამდე რომ ჰგეოს, - მეფობა მემკვიდრეობითი. ნეტარება ხალხსა და სახელმწიფოს, რომელშიც ერთიან, საყოველთაო, ნათელ, ძლიერ, ყოვლადმიმზიდველ, ყოვლისმამოძრავებელ ცენტრად ქცეულა მეფე, მსგავსად მზისა თავის გალაკტიკაში, და რომელიც სიბრძნით, სულგრძელებით, სიყვარულით ხალხისადმი, საყოველთაო სიკეთის სურვილით, კეთილი რჩევისათვის ყურის მიპყრობით, თავის წინამორბედთა და საკუთარი კანონების პატივისცემით ზღუდავს თავის შეუზღუდველ თვითმპყრობელობას ნებითა ზეციური მეუფისათა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი კატეხიზმი

შეუძლებელია ქრისტიანებს ჰქონდეთ ეკლესია, მაგრამ არ ჰყავდეთ მეფე“.
მსოფლიო პატრიარქი ანტონი

„სამეფო ხელისუფლება არსებითად

აუცილებელი და საერთო სარგებლობის მომტანია, - განგვიმარტავს წმ. იოანე კრონშტადტელი, - სალი და მშვიდი გონების ადამიანები ყოველთვის აღიარებდნენ ხალხისთვის სამეფო ხელისუფლების აუცილებლობასა და სარგებლობას



წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლისტროპარი
 ძღვევანი ყოვლადდიდებულნი საქურველითა ცხოველსყოფელისა ჯვარისათა წარმართენ, სანუთოა სამეფოა სიბრძნით განაგე და ეკლესიაა ქართლისაა ღვანლითა შენითა განაშუენე და ან იხარებწინაშე უკუდავისა მეუფისა, წმიდაო დიდო კეთილმსახურო მეფეო ვახტანგ, მეოხ გუეყავნ ჩუენ ცოდვილთა.

და სამეფო თვითმპყრობელობის ხელყოფას პირდაპირ უაზრობად სთვლიდნენ. მეფე თვითმპყრობელურად მართავს ხალხს, მსგავსად ღვთიური ხელისუფლების ერთმმართველობისა, მეფეთა მეფის დარად, როგორც თავი სახელმწიფოსი, ამ ვეებერთელა პოლიტიკური გვამისა, რომელიც მწყობრად შენაწევრებულა და გამთლიანებულა ერთი თავით... მაშასადამე, ერთმმართველობა და თვითმპყრობელობა სახელმწიფოსი, ეკლესიასთან კავშირში აუცილებელია

და არის უდიდესი სიკეთე მისთვის, ისე როგორც სამყაროსთვის ღვთიური ერთმმართველობა და ყოვლისმპყრობელობა“.

„მაშასადამე, საჭირო კია გავიმეოროთ: ღვთისა გეშინოდეთ, მეფესა პატის-ცემდეთ? (1 პეტრე 2.17). მოხარული ვიქნები, თუკი არაა საჭირო; ვფიქრობ, ეს არ იქნება ზედმეტი. გვაქვს მოვალეობა არამარტო ღვთის წინაშე, არამედ მეფისაც; ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება. ერთიც და მეორეც ერთად შეიძლება და საჭიროცაა აღვასრულოთ. მოციქულის ამ ნააზრევში განსაკუთრებულად ღირსშესანიშნავი რა შეიძლება შევნიშნოთ? - წერს ფილარეტ განმანათლებელი, სურს რა განგვიმარტოს, რომ სახარების მცნება მეფის პატივისცემაზე ქრისტიანებს სამარადჟამოდ მიეცათ. - ვიდრე ვუპასუხებდეთ წარმოდგენილ კითხვას, საჭიროა მოვიგონოთ, პირველ საუკუნეში დაწერილი ქრისტიანობა ამ საუკუნის ადამიანებისთვისაა შემოთავაზებული, თუმცა კი სხვაფრივ, სული სახარებისა, როგორც სული ღვთისა მოიცავს ყოველ დროს; და ამდენად რასაც ის წარმოთქვამს პირველ საუკუნეში საჭიროა და დამაკმაყოფილებელი ჩვენშიაც, ისევე როგორც სხვა საუკუნეებში.

მეფე - სოსხალი სატი ღვთისა

„მეფე განსულიერებული ხატია ზეციური მეუფისა“.
ღირსი მამსიმი ბერძენი

მართლმადიდებელი ეკლესია თავისი წმინდანების პირით ყოველთვის შეუცვლელად ასწავლიდა, რომ „ქრისტიანი მეფის სახე და წოდება (ღირსება) დედამინაზე ცოცხალი ხატი და მსგავსებაა ქრისტე მეუფისა, რომელი არს ცათა შინა. რამეთუ რამდენადაც ადამიანი სულით თვისით ხატი და მსგავსია ღვთისა, ესრეთ ცხებული ღვთისა თავისი სამეფო წოდებით ხატი და მსგავსია უფალი ქრისტესი: ქრისტე მეუფე ცათა შინა მედღესასწაულე ეკლესიაში უპირატესია: მეფე ცხებული ქუეყანასა ზედა მადლითა და წყალობითა ზეციური ქრისტესი უპირატესია მებრძოლ ეკლესიაში“ - სიტყვისამებრ წმ. დიმიტრი როსტოველისა.

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.